# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, **23** აგვისტო, 2006 წელი.

№ 163 (5504)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge   ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika   ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



*ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!*

## ძმანო სომეხნო!..

2 გვ.

## ჩვენ ხელისუფლებასთან ფულის ხარჯვაში შეჯიბრებას არ ვაპირებთ

2-3 გვ.



## ენერგობარონები ხელშეუხებლობას ხელისუფლებისგანვე ითხოვენ

4-5

## რუსები საქართველოში: მითი და რეალობა

7



12

## საქართველოში „სიკვდილის ბრიგადები“ მოქმედებენ

## საქმეს – მახვილი, სათქმელს – ალვირი

6



## ჭრიჭინა ლაბრადორის ნაცვლად

11

⊙ ამაზე იფიქრეთ

# ძმანო სომეხნო!..

## პასუხად ქართველებისათვის „ჯავახკის“ მიერ გამოგზავნილ წერილზე

ძმანო სომეხნო! წავიკითხე თქვენი წერილი, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში ამა წლის ოც აგვისტოს გამოქვეყნდა და სადაც ქართველებს გვწერთ გასაოცრად სწორად დანახულ ჩვენში არსებულ სიმახინჯეზე. მისი ასე მძაფრად წარმოჩენისათვის მადლობას მოგახსენებდით, იგი ძმური სიყვარულით რომ იყოს დაწერილი, გულში ჩაგიკრავდით, მაგრამ წერილში გაღიზიანება და ღვარძლი უზომოდ დიდია. თქვენს მიერ დანახული მახინჯი და მანკიერი მხარე, რომელიც მართლაც არსებობს ჩვენში, წერილში გამოყენებულია ერის შეურაცხყოფისათვის, რაშიც შეცდით. ეს არ გეკადრებით, რამეთუ ჩვენი წარსული, ისტორია, ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია და არსებულ ურთიერთობებს ეს არ უნდა აკადროთ!

თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, რომ ეს ორი ქრისტიანული სახელმწიფო ერთად იგერიებდა მომხდურ მტერს. თქვენ ისიც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ზარმაცი და ქურდი ერი (რაც თქვენ გვიწოდეთძ ვერ ააგებდა სვეტიცხოველს, ოშკს, ხახულს, გელათს, ჯვარსა და უამრავ სხვა ტაძარსა და მონასტერს, რომლებიც ძალზედ ბევრია ჩამოსათვლელად, ვერ ააგებდა დღეს სამების დიდებულ ტაძარს თბილისში (იქნებ ესეც თქვენ ააშენეთ?ძ.

ქართველთა დღევანდელი ყოფა და ზოგიერთი სიმახინჯე, რაც მართლაც არის, არ იძლევა უფლებას ერის ლანძღვისა, იმ ერისა, რომელიც ყოველთვის მზადაა, გაჭირვების ჟამს თქვენს გვერდით იდგეს. ამასვე ველით თქვენგან.

სიკეთე ღვთის მადლია, მადლის ურცხვად დავიწყება კი უმადურობაა. დამერწმუნეთ, თქვენს მიერ დანახული ბლენძია, გაუტანელი ქართველები — როგორც თქვენ უწოდებთ — სპიტაკში მიწისძვრის დროს დასახმარებლად პირველები არ ჩამოვიდოდნენ! მეფე დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქი ანისი არ იქნებოდა განთავისუფლებული ურჯულოებისაგან და სომხებისთვის გადაცემული, რომ არა ქართველთა კეთილი ნება, რომ არა ქართველთა კეთილშობილური თვისება, თურქთა ჟლეტას გამოქცეული ათასობით სომეხი თავს ვერ შეაფარებდა ჩვენს ქვეყანას და ვერ დამკვიდრდებოდა ქართულ მიწაზე!

თქვენი წინასწარმეტყველება, რომ ჩვენ ვერასდროს შევქმნით სამართლებრივ სახელმწიფოს, რადგან შინაგანი კულტურა არ გაგვაჩნია, ღვარძლით თქმული უმეცრებაა, ამით თქვენ შეურაცხყოფთ თქვენსავე კულტურასაც, ქართულ მიწაზე მცხოვრებ სომხებსაც. ეს არ გეკადრებათ და ნურც თქვენი ერის შვილებს ჩააყენებთ უხერხულ მდგომარეობაში, რომლებიც თქვენებრ არ ფიქრობენ. მე უამრავი მეგობარი მყავს სასომხეთში — მხატვრები, მწერლები, მოქანდაკენი, არქიტექტორები და ჩვენი დამოკიდებულება ძმურია, ხალასი. გთხოვთ, თქვენი ქმედებით იმათ ნუ შეურაცხყოფთ, ისინი სხვაგვარად ფიქრობენ.

თქვენ თუ მართლა გაწუხებდათ საქართველოს ბედი, ერთი სასიკეთო ხმა მიგეწვდინათ აფხაზეთის ომის დროს „ბაგრამიანის ბატალიონისათვის“ ქართველების მიმართ უნამუსო საქციელის გამო.

თქვენი ზოგიერთი უნიჭო „ვაი მეცნიერი“ ხშირად ჩვენი სახელოვანი პიროვნებების გვარებსა და სახელებს სომხებად ნათლავს, ქართულ ძეგლებს სომხურად მიიჩნევს, ისაკუთრებს. ასეთები მთელს მსოფლიოში თავს თქვენვე გჭრიან და გარცხვენენ.

ჩვენ, ქართველები, ამ გამოუსწორებელ სენზე მწვავე რეაქციას არ ვახდენთ, რადგან სიმართლეს დაცვა არ სჭირდება! ჩვენ ულიმღამო სომეხი „ვაი პატრიოტების“ გამო სომეხ ერს არასდროს ვაკადრებთ უკადრებელს! თქვენ საკუთარი შესანიშნავი, ბრწყინვალე ტაძრებიც გაქვთ, მწერლობაც, მხატვრობაც და მიხედეთ იმ ქურდებს, რომლებიც ამ უზნეობას სჩადიან.

როცა მართალს ვისმენ საკუთარ ერზე თქმულს, თუგინდ სიმახინჯეზე, ნაკლზე, ვაფასებ მას მადლიერებით, ამას ითხოვს ჭეშმარიტება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე ან ნაკლის გამოსწორება მსურს, მაგრამ, როცა სიმართლის გვერდით უმართებულო ღვარძლი და ბრალდებები იღვრება, ეს სწორედ შინაგანი კულტურის ნაკლებობის კლასიკური მაგალითია, რაც თქვენს წერილში ნათლად სჭვივის.

ძმანო სომეხნო! თქვენებრ არ ფიქრობენ სომხეთში, ეს თქვენი პატარა ჯგუფის ფიქრია!

ჩვენ, ქართველებს, ურცხვად უმეცარნი გვიწოდეთ, მაშინ, როდესაც თქვენს წერილში ნათლად ჩანს თქვენი სიბეცე, სამსახური ჩვენი საერთო მტრისადმი, რაც ყველაზე დიდი უმეცრებაა!

ამაზე იფიქრეთ, ძმებო, თქვენი ზღვარსგადასული სითამამე წამგებიანი არ აღმოჩნდეს!

**მერაბ ბერძენიშვილი,**
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე.

### „ჯავახკის“ მორიგი წერილი ქართველებს

*ქართველებო! თქვენ სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ ააშენებთ, რადგან არ გაქვთ შინაგანი კულტურა.* ***თქვენ გღუპავთ დაბალი პროფესიონალიზმი და ტოტალური უმეცრება, ამბიციურობა, ბლენძიაობა, გაუტანლობა.***

*ებრძვით ერთმანეთს და უმოწყალოდ ხოცავთ, არა გაქვთ ერთიანობა. ეს თქვენი გენეტიკური კოდის ბრალია. ქაოტურები და უშნო ამპარტავნები ხართ. 15 წელია ვერ დაწყნარდით, ვინაიდან არა გყავთ გამორჩენილი ლიდერები.*

*ზარმაცები და ქურდები ხართ. პერმანენტულად მიმდინარეობს მაღალჩინოსანთა დაპატიმრებები.*

***სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ქაოსია და განუკითხაობა. ყველაფერ ამას რეპრესიებით ვერ გამოასწორებთ. თქვენი ქვეყანა წალეკა რესტორან-ბარებმა, უგემოვნო შოუებმა.***

*თქვენი, ოდესღაც თეატრისა და ესტრადის ლომები და არწივები განდევნეთ და მათი ადგილი დაიკავეს მრხავანა ტურებმა და ყვავებმა.*

*მხედველობაში გვაქვს:* ***„ღამის შოუ“, „ცოცხალი შოუ“, „საპონი“, „ლიმონი“, „ფარული კამერა“, „ჯეოგარი“ და სხვა,*** *რომლებიც გამოირჩევიან მეტად დაბალი, ულიმღამო იუმორით (მაგ. ვანო ჯავახიშვილი — გადამფრენ ხინკლებსაც ვირუსები აქვსო“?! დ. გოგიჩაიშვილს შეკითხვაზე — „ვანო,* ***როგორ ბრძანდებითო?*** *უპასუხა —* ***„სექსუალურადო*** *(?!ძ და მრავალი სისულელე, რასაც Зевак-ი ახალგაზრდობა სიცილითა და ტაშით ხვდება. რაც ამ შოუებში ულიმღამო ვითომცდა იუმორია, რომელიც მიმდინარეობს ჩაწერილი სიცილ-ხარხარის აკომპანემენტით, მიუთითებს თქვენს დაბალ კულტურაზე, ახალგაზრდობის გონებრივ შეზღუდულობასა და მათ გამოლენჩებაზე, რაც ქვეყნის, ერის გადაგვარებაზე მიუთითებს.*

***ბედნიერები ხართ, რომ ვერ ხედავთ იმას, თუ რაოდენ უბედურები ხართ.*** *გისურვებთ წარმატებებს.*

*ქ. ახალციხე „ჯავახკი“.*
*25 ივლისი 2006 წ.*

*P.S. ტრაბახობთ — „მე ქართველი ვარ, ე. ი. ევროპელი ვარ!“*
***კი ბატონო, ხართ, აბა, რა?! მარტო ქ. ვენაში 2600 ქართველი ზის ციხეში.***
***კი ბატონო, ხართ, აბა, რა?! ევროპული ჰალსტუხები გიკეთიათ, სინამდვილეში კი ჰალსტუხიანი პაპუასები ხართ!!!...***

⊙ ინფორმაცია

### სამძიმარი — ეგვიპტეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა მწუხარებას 2006 წლის 21 აგვისტოს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ქალაქ ქალიობში რკინიგზაზე მომხდარი ავარიის გამო, რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის სახელით, სამძიმარს უცხადებს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობასა და დაღუპულთა ოჯახებს.

მედიანიუსი

### საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება

2006 წლის 17 აგვისტო № 647
თბილისი

**სს „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ**

1. სს „ინტელექტბანკის“ დროებით ადმინისტრატორს გ. კაპანაძეს გაუგრძელდეს მოქმედების ვადა 2006 წლის 1 სექტემბრამდე.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა (გ. კალანდაძეძ უზრუნველყოს ამ განკარგულების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება.

3. ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (სარაჯიშვილის 1აძ.

**ე. გალდავა**

⊙ პრეზიდენტი

# საჩხერეშიც გაიხსნა



„ჩვენთვის დღეს მნიშვნელოვანი დღეა. ვხსნით კიდევ ერთ ახალ თანამედროვე სამხედრო ბაზას საქართველოში. რეგიონში გვყავს ყველაზე პატარა, თუმცა ყველაზე გაწვრთნილი, მომზადებული არმია, რომელიც მოტივირებულია მაღალ დონეზე დაიცვას ქვეყანა და შეასრულოს საბრძოლო ამოცანები“, — განაცხადა გუშინ, საჩხერის სამთო-მსროლელთა სკოლის გახსნის ცერემონიაზე იქ ჩასულმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

სკოლა, რომელიც ყველა საერთაშორისო ნორმებს აკმაყოფილებს, საჩხერის რაიონული ტერიტორიიდან ერთი კილომეტრით არის დაშორებული. სკოლაში 150-მა კურსანტმა ფრანგი ინსტრუქტორების დახმარებით მომზადება უნდა გაიაროს. სამთო-მსროლელთა გადამზადებისათვის სკოლის მშენებლობა და ტექნიკური აღჭურვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობების ფინანსური მხარდაჭერით მოხდა, ამიტომ მისი გახსნის ცერემონიას აშშ-ს სენატის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე რიჩარდ ლუგარი და საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალენ კური ესწრებოდნენ. ახლადგახსნილ სკოლაში სწავლება სექტემბრიდან დაიწყება და მასში კურსანტები ქართულ ჯარში საკონტრაქტო პირობებით იმუშავებენ.

საქართველოს პრეზიდენტმა საჩხერეში სკოლის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას თავდაცვის სფეროს სამომავლო ამოცანებზეც ისაუბრა. „დღეს გახსნილი ბაზის გარდა, უკვე გვაქვს თანამედროვე ბაზა სენაკში და მომავალი წლის 26 მაისს გორში გავხსნით ისეთ ბაზას, როგორიც ეკადრება ქვეყანას, რომელიც ევროკავშირის და მომავალში ნატოს წევრი გახდება“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ არჩევნები

# ჩვენ ხელისუფლებასთან

## ამბობს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი

**— ბატონო დავით, როგორ ემზადება რესპუბლიკური პარტია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის?**

— რესპუბლიკური პარტია, ერთი მხრივ, ჩვეულ რიტმში აგრძელებს თავის საქმიანობას, რაც გულისხმობს პარტიის ზრდას და გაძლიერებას წევრთა რაოდენობის მატების, ადგილობრივი ორგანიზაციების შექმნის, ოფისების დაფუძნების თვალსაზრისით, ანუ ჩვეულ რიტმში ვმუშაობთ. ეს პირდაპირ არ უკავშირდება რაიმე არჩევნებს. მეორე მხრივ, უკვე ვიწყებთ სერიოზულ მუშაობას ადგილობრივი არჩევნების კონტექსტში. ეს მუშაობა მრავალმხრივია, ჩვენ გვჭირდება აქტივის გამოკვეთა, ვინც შესაძლოა პოტენციური კანდიდატი იყოს ამა თუ იმ საარჩევნო ოლქებში.

იმავდროულად, კამპანიის უზრუნველსაყოფად ხალხი გვჭირდება მოსახლეობასთან, საარჩევნო კომისიებში სამუშაოდ. ასევე, გრძელდება კონსულტაციები სხვა ოპოზიციურ პარტიებთან. ძალიან სერიოზულად გვიშლის ხელს არჩევნების თარიღის გაურკვევლობა, რითაც ხელისუფლება მანიპულირებს. ამავე დროს, ხელისუფლებამ უკვე დიდი ხანია დაიწყო საარჩევნო კამპანია და მრავალ მილიონ ლარს ხარჯავს ხალხის თანხებიდან, საბიუჯეტო სახსრებიდან. მათთან ფულის ხარჯვაში შეჯიბრს, ცხადია, არ ვაპირებთ. ჩვენ გვექნება სხვა სტრატეგია და ტაქტიკა, რომლითაც ამომრჩევლებს მივაწვდენთ ჩვენს ხმას კონკრეტულად არჩევნებთან დაკავშირებით.

**— ხელისუფლება საარჩევნო კამპანიისთვის აქტიურად იყენებს ტელევიზიას, ანუ ამ მხრივ ყველა ბერკეტს ფლობს, ამას ემატება დრაკონული საარჩევნო კანონი. ასეთ პირობებში, ისეთი რა სტრატეგია უნდა შეიმუშაოთ, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოთ?**

— უპირველესად, ჩვენი სტრატეგია ეფუძნება იმას, რომ საქართველოში მოსახლეობა, ამომრჩეველი უკვე პოლიტიკურად იმდენად მომზადებულია, რომ მას ხელისუფლება ზიზილ-პიპილოებიანი საარჩევნო კამპანიით ვერ გააკვირვებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხელისუფლების საარჩევნო კამპანია თავად ხელისუფლებისთვისაა კონტრპროდუქტიული. მოსახლეობა არც ისეთი გულუბრყვილოა, ვერ ხედავდეს, სად არის რეალური საქმე და — სად პიარკამპანიისთვის გაკეთებული. ასე რომ, თავისთავად ხელისუფლება ქმედებებით, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის სტილით აკეთებს იმას, რასაც ოპოზიცია უნდა აკეთებდეს. მოჭარბებული აგრესიული, ინტენსიური საპროპაგანდო წნეხით ის ამომრჩეველს პირიქით — ცოტა სხვაგვარად განაწყობს.

დოკუმენტი

*მრავალმა მკითხველმა გვთხოვა სოჭის 1992 წლის 24 ივნისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების სრული ტექსტის გამოქვეყნება. ყველა მის ინტერპრეტაციას ისე ახდენს, როგორც მას აძლევს ხელს, მოგვეცით საშუალება, თვითონ გავარკვიოთ სინამდვილეში რა როგორ არისო, გვწერენ. ვასრულებთ მათ თხოვნას. თუმცა, ეს ხელშეკრულება ჩვენი გაზეთის 1992 წლის 26 ივნისის ნომერში უკვე იყო გამოქვეყნებული.*

# შეთანხმება

## საქართველო - ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ

**რუსეთის ფედერაცია და საქართველოს რესპუბლიკა, რომლებიც ისწრაფვიან, რაც შეიძლება მალე შეწყდეს სისხლისღვრა და ყოველმხრივ მოწესრიგდეს კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის,**

**ხელმძღვანელობენ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენის სურვილით,**

**ადასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის პრინციპების ერთგულებას,**

**მოქმედებენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის სულისკვეთებით,**

**მხედველობაში იღებენ მიმდინარე წლის 10 ივნისის ყაზბეგში მიღწეულ მორიგებებს,**

**შეთანხმდნენ:**

### მუხლი 1.

1. შეთანხმების დადების მომენტიდან დაპირისპირებული მხარეები მოვალეობას კისრულობენ განახორციელონ ყველა ღონისძიება 1992 წლის 28 ივნისისათვის შეიარაღებული შეტაკებების შეწყვეტისა და ცეცხლის სრული შეწყვეტისათვის.

2. 1992 წლის 28 ივნისს ცეცხლის შეწყვეტის მომენტიდან დაპირისპირებულ მხარეებს გაჰყავთ თავიანთი შეიარაღებული ფორმირებები შეხების ხაზის მიმდებარე დერეფნის შექმნის მიზნით.

3. ფორმირებათა გაყვანა ხორციელდება სამი დღე-ღამის განმავლობაში. შეხების ხაზის გავლას, დერეფანს, მის განედებს განსაზღვრავენ მეთვალყურეთა ერთობლივი ჯგუფები.

### მუხლი 2.

კონფლიქტის რაიონში დემილიტარიზაციისა და კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ჩაბმის შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით რუსეთის მხარეს ცეცხლის შეწყვეტისა და დაპირისპირებულ მხარეთა განცალკევების მომენტიდან 20 დღის განმავლობაში გაჰყავს ცხინვალის რაიონში დისლოცირებული 87-ე ინჟინერ-მესანგრეთა პოლკი და 292-ე ცალკე საბრძოლო ვერტმფრენთა პოლკი უზრუნველყოფისა და მომსახურების ქვედანაყოფებითურთ.

### მუხლი 3.

1. ცეცხლის შეწყვეტის, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის, თავდაცვის ძალების დაშლისა და უშიშროების რეჟიმის უზრუნველყოფისათვის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით აღნიშნულ ზონაში იქმნება შერეული საკონტროლო კომისია კონფლიქტში ჩაბმული მხარეების შემადგენლობით, რომელიც განახორციელებს თავის ფუნქციებს ყაზბეგის მორიგებათა შესაბამისად შექმნილ სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფთან ურთიერთმოქმედებით.

2. კომისიის მუშაობის მონაწილე მხარეთაგან თითოეული მის შემადგენლობაში ნიშნავს თავის წარმომადგენლებს. საკონტროლო კომისიის ადგილსამყოფელი იქნება ქალაქი ცხინვალი.

3. აღნიშნულ ამოცანათა შესრულებისათვის საკონტროლო კომისიასთან მხარეთა შეთანხმებით იქმნება შერეული ძალები მშვიდობის დამყარებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით. კომისიასთან აგრეთვე შეიქმნება მეთვალყურეთა შერეული ჯგუფები, რომლებიც განლაგდებიან უშიშროების ზონის პერიმეტრზე.

4. საკონტროლო კომისია და მასთან შექმნილი ძალები დაუყოვნებლივ შეუდგებიან ამ შეთანხმებით მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

5. ამ შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონტროლო კომისია გამოიძიებს მის გარემოებებს და განახორციელებს სასწრაფო ღონისძიებებს მშვიდობისა და მართლწესრიგის აღდგენის, აგრეთვე იმისათვის, რომ აღარ დაუშვან ასეთი დარღვევები.

6. საკონტროლო კომისიის და მასთან შექმნილი ძალების საქმიანობას აფინანსებენ მხარეები თანაბარ წილობრივ საფუძველზე.

### მუხლი 4.

მხარეები დაუყოვნებლივ შეუდგებიან მოლაპარაკებას კონფლიქტის ზონაში არსებული რაიონების ეკონომიკური აღორძინებისა და ლტოლვილების დაბრუნებისათვის პირობების შექმნის შესახებ.

მხარეებს დაუშვებლად მიაჩნიათ ეკონომიკური სანქციებისა და ბლოკადების გამოყენება, ნებისმიერი სხვა დაბრკოლების შექმნა საქონლის, მომსახურებისა და ადამიანების მოძრაობის თავისუფალ გზაზე და ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის პირობები.

### მუხლი 5.

მხარეები შეეცდებიან ობიექტურად და აწონ-დაწონილად გააშუქონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოწესრიგების პროცესი. ამ მიზნით საკონტროლო კომისიასთან იქმნება სპეციალური მრავალმხრივი პრესცენტრი.

### მუხლი 6.

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან. დაიდო სოჭში 1992 წლის 24 ივნისს სამ ცალად ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე. ამასთან, ყველა ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

| რუსეთის ფედერაციის სახელით | საქართველოს რესპუბლიკის სახელით |
|---|---|
| **ბ. ნ. ელცინი** | **ე. ა. შევარდნაძე.** |

არჩევნები

# ფულის ხარჯვაში შეჯიბრებას არ ვაპირებთ



მეორე, ჩვენი სტრატეგია უშუალოდ მოქალაქეებთან ურთიერთობას ეფუძნება არა იმდენად მასმედიით და ტელევიზიით, არამედ უშუალოდ მათთან შეხვედრებს. ამიტომ ჩვენ ინტენსიურად ვმოძრაობთ მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენ არ ვართ კონცენტრირებული მხოლოდ თბილისზე. მიგვაჩნია, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ძალზე მნიშვნელოვანია რაიონებში, სოფლებში, ქალაქებში განვიარებული მოვლენები. უშუალო შეხვედრების დროს გაცილებით მეტი მიიღწევა, ვიდრე ძვირადღირებული სატელევიზიო კლიპებით. ამის გარდა, ჩვენ მედიის საშუალებით კამპანია ჯერ არ დაგვიწყია. ამ მხრივ, ხელისუფლებასთან შედარებით, გაცილებით მეტი რეზერვი გვაქვს, შესაბამისად, მედიის საშუალებითაც მივაწვდენთ ხმას მოსახლეობას.

კიდევ ვიმეორებ, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ხელისუფლების უგუნურება და გაუაზრებელი ნაბიჯები თავად აკეთებს ოპოზიციის გასაკეთებელ საქმეს. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ ჩვენ შედეგს გულხელდაკრეფილები დაველოდებით, მაგრამ ოპოზიციის დიდ საქმეს ხელისუფლება აკეთებს.

**— თქვენ ხელისუფლების მიერ საარჩევნო კამპანიისთვის საბიუჯეტო თანხების ხარჯვა ახსენეთ. ამბობენ, ხელისუფლებამ ამ მხრივ ბიზნესმენებსაც შეაწერა ფულიო...**

— ტელევიზიით ყოველდღე უჩვენებენ ძალიან ძვირადღირებულ სარეკლამო რგოლებს. აგვისტოში, როდესაც პოლიტიკური ცხოვრება თითქოს შენელებული იყო, დღეში მინიმუმ 10-15 ათასი დოლარი იხარჯება მხოლოდ ამ საარჩევნო კლიპებზე, აღარაფერს ვამბობ იმ ღონისძიებებზე, რომელთაც მხოლოდ საარჩევნო დატვირთვა აქვს — სადღაც ონკანია გასახსნელი, სადღაც ღობეა შესაღები...

რაც შეეხება ბიზნესზე ზემოქმედებას, ამის მკაფიო მაგალითია ერთიანი ნაცმოძრაობის ეგიდით გახსნილი, ე.წ. უფასო სასადილოები. ამ საქმეში ჩადებულია ამ საბიუჯეტო ან ქველმოქმედებაგალღვიძებულ ბიზნესმენთა თანხები, რომელთაც ხელისუფლება პირდაპირ უყენებს მოთხოვნებს, პოლიტიკურ ქულებს კი თავად იწერს.

**— რომელ ოპოზიციურ პარტიასთან გეგმავს რესპუბლიკური პარტია წინასაარჩევნო ალიანსს?**

— ჩვენ მჭიდრო პოლიტიკური ალიანსი გვაკავშირებს კონსერვატიულ პარტიასთან. გვაქვს საერთო ფრაქცია, ალბათ, ჩვენი საარჩევნო გეგმები ამ პარტიას დაუკავშირდება. სერიოზულად ვმუშაობთ, აგრეთვე, საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ერთად ყოფნისთვის, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია მომავალი პოლიტიკური პროცესებისთვის, განსაკუთრებით — პარლამენტის შიგნით განვითარებული მოვლენებისთვის. თუმცა, ამ საკითხებზე გადაწყვეტილებებს არჩევნების მოახლოებისას მივიღებთ. რომც გვქონდეს გადაწყვეტილი, მას ამ პროცესის გარკვეულ ეტაპზე განვაცხადებთ.

**— ეთანხმებით თუ არა პოლიტოლოგთა ერთი ნაწილის მოსაზრებას, რომ დეკემბერში არჩევნების ჩატარება ხელისუფლებას ხელს აძლევს დროის მოსაგებად, რათა ეს დრო წინასაარჩევნო კამპანიისთვის მაქსიმალურად გამოიყენოს?**

— ჯერჯერობით არჩევნების თარიღიც არ დანიშნულა. დაინიშნოს და ჯანდაბას, იყოს დეკემბერში. ხელისუფლების მიერ თარილით მანიპულირებას ერთი მიზანი აქვს, რაც შეიძლება მეტი მილიონის დახარჯვის საშუალება ჰქონდეს თავის მოსაწონებლად.

თუ ვინმეს მოესურვება 2006 წლის და 2007 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის ანალიზის გაკეთება, სრულიად აშკარაა, რომ ამ წლის თბილისის ბიუჯეტში 120 მილიონი ლარია მობილიზებული, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საარჩევნო კამპანიის წარმოებას. ის ღონისძიებები და პროგრამები, რომლითაც ხელისუფლება ამომრჩევლის გულის მოგებას ცდილობს, მომავალი წლის ბიუჯეტში საერთოდ აღარაა გათვალისწინებული, ანუ დღეს ხელისუფლება თამაშობს მოქალაქეზე მზრუნველის როლს, ხოლო მომავალი წლიდან ეს ასე აღარ იქნება, პირიქით — მოსალოდნელია მეტროს, წყლით სარგებლობის ტარიფის გაძვირებები და ბევრი სხვა. ამიტომ წლეულს საბიუჯეტო სახსრების მაქსიმალური მობილიზება და მისი დახარჯვა, ეს არის ხელისუფლების უპირველესი მიზანი. ამიტომ შეირჩა დეკემბერი.

მეორე სერიოზული ფაქტორია ის, რომ რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლება მუდმივი პარანოიკული შიშის ქვეშ იმყოფება, რომ მას რევოლუციას მოუწყობენ. ამიტომ ცდილობენ, არჩევნებისთვის ისეთი თარიღის შერჩევას, რომელიც მაქსიმალურად უარყოფით გარემოს შექმნის რაიმე ტიპის საპროტესტო აქციებისთვის. დეკემბრის შუა რიცხვებში ჩატარებული არჩევნები ნიშნავს, რომ ძირითადი პოლიტიკური ციებ-ცხელება მოსალოდნელია საშობაოდ, წინასაახალწლოდ, როდესაც, ხელისუფლების გათვლებით, უსამართლობით აღშფოთებული ხალხის მობილიზება და ქუჩაში გამოყვანა გაჭირდება.

აი, ასეთი პარანოიკული შიშებისა და განცდების გამო შეირჩა დეკემბერი.

**— გურამ შარაძე თქვენ ფსევდოოპოზიციას და სოროსის დანიშნულს, გიწოდებთ, თითქოსდა, სოროსმა 11 მილიონი დოლარი გამოატანა თინა ხიდაშელს, პარტიის თავმჯდომარედ სწორედ ამიტომ მოევლინა უსუფაშვილიო. რას იტყოდით ამაზე?**

— ბატონ შარაძის საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, მისი ინტერვიუების აქტიური მკითხველი არ გახლავართ. გურამ შარაძემ ისეთი პიროვნების სახელი დაიმკვიდრა საზოგადოებაში, მისი ნათქვამის კომენტირება ფუჭი საქმეა, რაც შეეხება 11 მილიონს, ის ჩემამდე არ მოსულა. თუ შარაძე 11 მილიონს მაპოვნინებს, ძმურად შუაზე გავუყოფ.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

ინფორმაცია

## „რაოესიც“ თელასის ბედს გაიზიარებს



**ჩვენ თბილისიდან გავდევნეთ ამერიკული კომპანია „ეი-ი-ეს-ი“, იგივე ბედი ეწევა რუსულ კომპანია „რაო ეესაც“. ჩვენ გვჭირდება პარტნიორები და არა მძარცველები. ეს განცხადებები გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გააკეთა. ნათელაშვილის თქმით, „ლეიბორისტულმა პარტიამ“ რუსული კომპანია „რაო ეესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ანატოლი ჩუბაისს „კატეგორიული მოთხოვნა“ გაუგზავნა. „ლეიბორისტები“ საქართველოში სპეციალური კომისიის გამოგზავნას ითხოვენ, რომელიც „მოსახლეობიდან ამოღებული მილიონების ბედს“ შეისწავლის. ამასთანავე, შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ ანატოლი ჩუბაისმა უნდა გააკეთოს განცხადება საქართველოში დენის ტარიფის გაიაფების თაობაზე და შეასრულოს ის დაპირება, „რასაც ეს კომპანია საქართველოში შემოსვლამდე იძლეოდა“.**

ინტერპრესნიუსი

## საქართველო და ირანი თავისუფლად ივაჭრებენ

**რიგით მე-6 ქვეყანა, რომელთანაც საქართველო თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას გააფორმებს, ირანის ისლამური რესპუბლიკა იქნება“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განუცხადა. მისივე თქმით, ანალოგიური ხელშეკრულების გაფორმება იგეგმება თურქეთის რესპუბლიკასთანაც.**

**როგორც ჩოგოვაძემ აღნიშნა, ხელშეკრულება, სავარაუდოდ ირანი-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომის ფარგლებში მოხდება. მისივე თქმით, კომისიის სხდომის გამართვის თარიღი დადგენილი არ არის, თუმცა, მინისტრის თქმით, იგი ირანში, სავარაუდოდ, სექტემბერში შედგება.**

**დღეისათვის, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, უკრაინასთან, რუსეთთან, ყაზახეთთან, აზერბაიჯანსა და მოლდოვასთან მოქმედებს. თუმცა, ამ ქვეყნებში შეზღუდვები სხვადასხვა პროდუქციაზე მაინც არსებობს.**

## როგორ მოვიზიდოთ ინვესტორები?

**სულ ახლახანს მთავრობაში კანონპროექტი „განსაკუთრებული ინვესტიციების შესახებ“ მომზადდა, რომელიც პირდაპირ ინვესტორების მოზიდვისა და წახალისებისაკენაა მიმართული.**

**კანონპროექტის მიხედვით, თუ კი ინვესტორი 8 მილიონის ინვესტიციას შემოიტანს, მაშინ მას სურვილისამებრ განსაკუთრებული ინვესტორის სტატუსი მიენიჭება და ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა და საჭიროების შემთხვევაში გარკვეულ დახმარებასაც გაუწევს.**

**„განსაკუთრებული ინვესტიციების შესახებ“ კანონპროექტის ძირითადი არსი ინვესტიციების ხელშეწყობა და წახალისებაა. პროექტის მიხედვით განსაკუთრებულ ინვესტიციებზე მთავრობის მონიტორინგი დაწესდება. განსაკუთრებული ინვესტიციის მატარებელი ინვესტიციისათვის საქმიანობისა და სხვადასხვა ლიცენზიების მიღება მარტივდება. ინვესტორს პარტნიორობას საინვესტიციო ბანკი გაუწევს და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაშიც დაეხმარება“, — განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ვატო ლეჟავამ.**

ჯი-ეიჩ-ენი.

◉ ინფორმაცია

## წადითო, ეუბნება რუსებს

აშშ-ს კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის რიჩარდ ლუგარის აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის ზონები რუსეთის




სამშვიდობო ძალებმა უნდა დატოვონ. აღნიშნული განცხადება ლუგარმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ლუგარის განმარტებით, აშშ ეთანხმება საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, რომლის მიხედვითაც, კონფლიქტის ზონები რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უნდა დატოვონ.

ასევე, კონგრესმენის თქმით, აშშ მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და იმედი აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებს მშვიდობიანად მოაგვარებს.

მედიანიუსი

## აფხაზო თავად-აზნაურებო, სწორდით!

გალში თავად-აზნაურებისა და მათი თანამოაზრეების ახალი გაერთიანება დაფუძნდა. საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „ერთიანობა“ თანამედროვე საზოგადოებაში თავად-აზნაურთა პრესტიჟის ამაღლებასა ისახავს მიზნად.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ გახდა ცნობილი, პირველ ეტაპზე ორგანიზაცია აფხაზეთის თავად-აზნაურთა სოცილაურ-კულტურულ და საყოფაცხოვრებო პირობებს შეისწავლის და მის პროპაგანდას შეუწყობს ხელს.

ამ დროისთვის „ერთიანობის“ წარმომადგენლები გალის მოსახლეობას თხოვნით მიმართავენ, რათა ორგანიზაციას მათ ხელთ არსებული ძველი ფოტოსურათები და დოკუმენტები გადასცენ.

თავად-აზნაურთა გაერთიანება საქართველოს ყველა ცნობილი გვარის წარმომადგენელს იწვევს და მის საქველმოქმედო გეგმებში მონაწილეობას სთავაზობს.

„ერთიანობის“ ოფისის ადგილობრივი წარმომადგენლები არიან დიანა და თენგიზ ინალიშვილები და ჯუსტან გერგედავა. ორგანიზაციის ოფისი გალის კულტურის სახლშია განთავსებული.

## გადახდა უნდა ვალსაო...

აზერბაიჯანისადმი არსებული ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ შეთანხმების თანახმად, საქართველო აზერბაიჯანის ვალს სრულად 2025 წლის სექტემბერში დაფარავს.

დოკუმენტის თანახმად, საქართველომ 2003-2006 წლებში დაგროვილი ვალის ძირითადი თანხა და შესაბამისი პროცენტი უნდა გადაიხადოს, რაც მთლიანობაში 13,4 მილიონ დოლარს შეადგენს.

ამ თანხის ნაწილს, 2,07 მილიონ დოლარს საქართველო მიმდინარე წლის ბოლომდე დაფარავს, ვალის ძირითადი თანხის — 11,37 მილიონ დოლარის გადახდას 2011 წლის მარტიდან დაიწყებს და 2025 წლის სექტემბრისთვის დაასრულებს.

აზერბაიჯანთან აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოსა და პარიზის კლუბის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდა, რომელიც საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაციას ითვალისწინებდა და 2004 წლის 21 ივლისს გაფორმდა.

ჯი-ეიჩ-ენი.

◉ ჟურნალისტური გამოძიება

# ენერგობარონები ხელშეუხებლობას

**1992-2006 წლები — ხელისუფლების „ენერგეტიკული“ და სოციალური ზნეობის დაცემის ხანა**



ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველომ „შესძლო“ გახდეს გინესის წიგნის „ღირსეული“ კანდიდატი. ამ განცხადების საფუძველს გვაძლევს ის, რომ ჩვენი ქვეყნის გარდა მსოფლიოში არ მოიძებნება არც ერთი სახელმწიფო, სადაც ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პროცესში, რომელზეც სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნა აღემატება 100 პროცენტს, აღნიშნული საქონლის მფლობელი, განვლილი დროის განმავლობაში, ინაზღაურებდეს მის ღირებულებას საშუალოდ მხოლოდ 10 პროცენტის ფარგლებში.

ეს, მით უმეტეს, გასაკვირია, როცა ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე ნებისმიერი პროდუქციის მფლობელი, რომელზეც მოთხოვნა 100 პროცენტია, ყიდვა-გაყიდვისთანავე საქონლის ღირებულებას ინაზღაურებს, აგრეთვე, 100 პროცენტით. მაგალითად, საწვავზე, პურზე, შაქარზე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პროცესს დღემდე უშუალოდ მართავს ხელისუფლება, რომელიც განვლილი დროის განმავლობაში, აღნიშნული პროცესის გასაუმჯობესებლად, როგორც თავად ხმამაღლა აცხადებდა, პერიოდულად ქმნიდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს.

დავიჯეროთ, რომ ხელისუფლება ამით ელოდებოდა დადებით შედეგებს მაგრამ ვისთვის? — სახელმწიფოსთვის, თუ ხელისუფლებაში ამა თუ იმ მაღალი რანგის თანამდებობებზე მოკალათებული ვაჟბატონებისთვის?

როგორც ირკვევა — უკანასკნელებისთვის.

შექმნილ ვითარებაში ერთი რამ გასარკვევია — ეს ყველაფერი შეგნებულად ხდებოდა თუ არა?

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება ქვეყნის ენერგეტიკის მართვის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას ასაბუთებდა და დღესაც ასაბუთებს საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნების არსებობით და, რაც მთავარია, ქვეყნის განვითარების, ეგრეთ წოდებულ, ეტაპობრიობით, რომელთა გავლა ჩვენი სახელმწიფოსთვის, მათი აზრით, აუცილებელია ან, უფრო სწორად, გარდაუვალია.

განვლილი დროის მანძილზე არაერთხელ ირკვეოდა, რომ ხელისუფლების მიერ ნაკარნახევი გზით „სიარული“ ხალხისთვის საზარალოა, ერთეულებისთვის კი ძალზე კარგია. სახიფათოა, მაგრამ რას იზამ — თუ გსურს სხვის ხარჯზე მდიდარი გახდე, ყოველთვის მზად უნდა იყო... მკაცრი განსჯისთვის.

ქვეყნის ენერგეტიკაში შექმნილ გაწუკითხაობაში საქართველოს ცვალებადი და მრავალსახოვანი ხელისუფლება მიზანშეწონილად თვლის აუცილებლად გაზარდოს ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი და ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოს ელექტროენერგიის გენერაციის სექტორის ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ელექტროჰიდროსადგურებით, რომლებიც ელექტროენერგიის გამომუშავების წყაროდ იყენებენ სამამულო, და არა იმპორტირებულ წყალს, რომლითაც ბუნებამ უხვად დააჯილდოვა საქართველო, და ამავე დროს, ხელისუფლებისთვის ძალზე კარგად იყო ცნობილი იმის შესახებ, რომ ენერგოტარიფის ზრდა გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკის გაუარესებას, რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება დღემდე თავის მხრივ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს სავსებით სწორად და გამართლებულად მიიჩნევს. რაც შედეგობრივ დანაშაულის ტოლფასია.

აღსანიშნავია, რომ განვლილი დროის განმავლობაში ქვეყნის ჰიდროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულების საშუალო მაჩვენებელმა რეალურად მნიშვნელოვანი ცვლილება არ განიცადა, რასაც ელექტროჰიდროსადგურების ხელმძღვანელები კულუარულ საუბრებში თავად აცხადებენ. უფრო მეტიც, დღესდღეობით ეს მაჩვენებელი არ აღემატება ერთ თეთრს.

კომპეტენტური გათვლების საფუძველზე, რაც არაერთხელ გაუკეთებიათ საქართველოს ენერგეტიკოსებს და, კონკრეტულად, საქართველოში ცნობილ პროფესიონალ ენერგეტიკოსს მირონ ფირცხელანს, საშუალო შეწონილი ელექტროენერგოტარიფის ზრდა არ არის გამართლებული არც ქვეყნის თბოელექტროსადგურების გამომუშავებული ელექტროენერგიის, და არც იმპორტირებული ელექტროენერგიის თვითღირებულების მომატებით.

უფრო მეტიც, ბატონ მირონის გათვლებით, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი არ შეესაბამება სინამდვილეს — „სემეკ“-ის მეშვეობით ხელოვნურად არის გაზრდილი.

აქედან გამომდინარე, დასაჯერებელია ის, რომ ჰიდროელექტროენერგიის და ელექტროგადაცემის თვითღირებულება ელექტროენერგოდისტრიბუციის თვითღირებულებასთან და საბოლოოდ, ელექტროენერგიის სამომხმარებლო ღირებულებასთან შედარებით უნდა იყოს ნაკლები 4-ჯერ, 6-ჯერ, 9-ჯერ, 12-ჯერ და ამჟამად, 17-ჯერ?

აღსანიშნავია, რომ ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყნის ელექტროჰიდროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის „სემეკ“-ის დამტკიცებული ტარიფის მიხედვით, ღირებულების დაფარვის კოეფიციენტი ამჟამად მიუახლოვდა განვლილი წლების მანძილზე თავის მაქსიმუმს — 24-31 პროცენტს, რითიც სამამულო ჰიდროელექტროსადგურები ფარავენ გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალურ თვითღირებულებას თითქმის 75-100 პროცენტით.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომხმარებლისგან ელექტროენერგიის ღირებულების ამოღების კოეფიციენტი „თელასი“-სთვის ან „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის“ ოფიციალურად მიახლოებულია 80 პროცენტს, სინამდვილეში კი 100 პროცენტს და უფრო მეტს, ისმის სავსებით ლოგიკური კითხვა:

**— სად მიდის, ან ვის მიაქვს ელექტროენერგიის დანარჩენი 50 პროცენტი და სინამდვილეში, ელექტროენერგიის ღირებულების 70 პროცენტი, თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტს? ქვეყნის ელექტროენერგოგენერაციის და ელექტროსისტემის სექტორებისათვის და რა მიზეზის გამო რჩება აუნაზღაურებელი მათი პროდუქციის, გაწეული სამუშაოს ღირებულების დანარჩენი ნაწილი, წარმოდგენილი 55 და 75 პროცენტით?**

ამ მნიშვნელოვან კითხვაზე დღემდე ჩვენი ქვეყნის ცვალებადმა ხელისუფლებამ, მისმა სამართალდამცავმა სტრუქტურებმა არ გასცეს კონკრეტული და, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ობიექტური პასუხი. რატომ? — რა, კვალიფიკაცია არ ჰყოფნით? ცოდნა არ აქვთ? — ნება არ აქვთ, ნება, დიახ ნება...

მიუხედავად ამ გარემოებისა, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე ფაქტი სახეზეა და მათი მხრიდან რეაგირება, პრაქტიკულად, შედეგების მიხედვით ნულის ტოლფასია, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის ხელისუფლება თავისი პასიურობის ან აქტიურობის გამო უშუალოდ არის ჩაბმული სამამულო ენერგეტიკაში არსებულ მაქინაციებში. ეს კი საგანგაშოა, რადგან მიმდინარეობს საქართველოს ენერგეტიკის აშკარა შეგნებული ნგრევაა...

ამავე დროს, როგორც ყველასთვის ცნობილია, სახეზეა შეუსაბამობა ელექტროენერგიის სამომხმარებლო ღირებულებას და მოსახლეობის შემოსავლებს შორის, თუ არ გამოვრიცხავთ ხელისუფლების წარმომადგენლებს და ეგრეთ წოდებულ, ახალ ქართველებს.

ისიც უდავოა, რომ დღემდე ხელისუფლების მხრიდან ენერგეტიკაში გატარებულმა, ეგრეთწოდებულმა, რეფორმებმა, რომელსაც მოჰყვა რამდენჯერმე ენერგეტიკის მესვეურების თანამდებობებიდან გადაყენება, არანაირად არ ამოძირკვა დარგში განვითარებადი კორუფცია.

მაშინ, რა ხდება ქვეყნის ენერგეტიკაში ხელისუფლებისგან გამომდინარე ისეთი, რომ ჩვენს ქვეყანაში — ეკონომიკის და მოსახლეობის მიმართ — შეიქმნა არსებობისთვის კატასტროფული მდგომარეობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, იწვევს ამა თუ იმ სამომხმარებლო დანიშნულების საქონელზე საბაზრო ფასების მუდმივ და მნიშვნელოვან ზრდას, ეროვნული ვალუტის — ლარის გაუფასურებას?

ამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საკითხების გასარკვევად ჩვენმა სააგენტომ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება. შედეგი კი ასეთია:

1992 წლიდან ადგილობრივმა ენერგოსადისტრიბუციო კომპანიებმა, ჩვენთვის გაურკვეველია, რის საფუძველზე გადასცეს ენერგოსადისტრიბუციო საქმიანობა კერძო სტრუქტურებს და ფიზიკურ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალი არ აღემატებოდა 2500-2700 ლარს და ეს მაშინ, როცა მათ ხელთ სარეალიზაციოდ არსებული ელექტროენერგიის ღირებულება ყოველთვიურად შეადგენდა არაერთ მილიონ ლარს, და მათ მიერ რეალიზებული ელექტროენერგიის ღირებულებიდან ამოღების მაჩვენებელმა კი, როგორც გაირკვა, არ გადალახა 10-25-პროცენტიანი ზღვარი? ამავე დროს მომხმარებელი ელექტროენერგიის ღირებულებას 100 პროცენტით თუ არა, 60-75 პროცენტით ფარავდა.

რას და ვის დავაბრალოთ ამგვარი დანაშაულებრივი ფაქტის არსებობა?

ხელისუფლება არსებულ შედეგებს ხსნიდა იმით, რომ იურიდიული და ფიზიკური პირები ელექტროენერგიას მასობრივად იპარავდნენ, რისი დროული აღკვეთის საშუალება მას არ გააჩნდა და ამით აღიარებდა თავის უუნარობას.

დავიჯეროთ, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ კარდინალურად გამოესწორებინა შექმნილი მდგომარეობა, როცა ის ამის ვალდებულიც იყო?

ამავე დროს ხელისუფლება ხმამაღლად აცხადებდა, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა მომხდარიყო ენერგეტიკის გაკერძოება, რასაც პირდაპირი კანონით კრძალავდა საქართველოს კონსტიტუცია.

მაგრამ ის, რაც შეუძლია კანონით განახორციელოს კერძო მეპატრონეს, თავისი კანონიერი უფლებების დასაცავად, დავიჯეროთ, რომ ხელისუფლებას არ შეეძლო?

ცხადია — შეეძლო.

მაშინ, რატომ არ გამოიყენა თავისი კანონიერი უფლებები?

გადადგმული ნაბიჯით, ხელისუფლებამ „შესძლო“ უფრო მეტად გაემყარებინა გაწუკითხაობა ელექტროსადისტრიბუციო სექტორში ან, უფრო სწორად, მისცა ფართო ასპარეზი იმათ, ვინც ახდენდა ელექტროენერგოსადისტრიბუციო სექტორის საწარმოსაფინანსო მაჩვენებლების გაყალბებას ქვეყნის, მისი ენერგეტიკის საწინააღმდეგოდ.

1995 წლიდან საქართველოს იმჟამინდელ ერთიან ენერგომართვის სტრუქტურას — დეპარტამენტ „საქენერგო“-ს, ვერ დაგვიდგენია ვისი განკარგულებით, გამოეყვნენ საქალაქო და სარაიონო ენერგოგამანაწილებელი-სადისტრიბუციო სამსახურები, რომლებიც მთლიანად დაექვემდებარნენ მერიებს და გამგეობებს.

ამით საქართველოს ენერგეტიკაში დამკვიდრდა უფრო მასშტაბური გაწუკითხაობა, რომელსაც ხელს უწყობდნენ სამართალდამცავი ორგანოები — პროკურატურა, შსს, პოლიცია, სასამართლო, რომლებმაც არ ჩათვალეს საჭიროდ მიეღოთ კანონით განსაზღვრული, მკაცრი ზომები, რათა უზრუნველყოფილიყო ენერგოგამანაწილებელი ობიექტების უსაფრთხოება, რითიც ხელისუფლებას მიეცა, ეგრეთწოდებული გამამართლებელი საფუძველი იმისათვის, რომ გადაებრალებინა ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვის მაჩვენებლის არსებული დაბალი დონე ისევ მოსახლეობისთვის, რომელიც აიძულებდა ენერგოპერსონალს მათთვის ელექტროენერგია უნებართვოდ ჩაერთოთ.

ეს ხდებოდა მაშინ, როცა ქვეყნის პრეზიდენტი — ე. შევარდნაძე არა ერთხელ გამოსცემდა თავის ხელმოწერილ ბრძანებულებებს, განკარგულებებს და ბრძანებებს, რომელთა მიხედვით მოხმარებული ელექტროენერგიის არგადამხდელთათვის ელექტროენერგიის მიწოდება კატეგორიულად იკრძალებოდა.

მაგრამ რისთვის აკეთებდა ამას ე. შევარდნაძე, როცა მან და მისმა სახელისუფლებო გარემოცვამ ბრწყინვალედ იცოდნენ, რომ მათი, ეგრეთწოდებული მზრუნველობა ქალალდომანიას წააგავდა?

რატომ არც ერთხელ არ დასჯილა ის, ვინც არ ასრულებდა პრეზიდენტის მოთხოვნებს და რაზე არ მოითხოვა მათი დასჯა თავად პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ?

დაუჯერებელია ის, რომ ხელისუფლებას არ გააჩნდა ამ ამოცანის შესრულებისთვის საკმარისი ძალები. ცხადია — გააჩნდა.

შექმნილი მდგომარეობა არ გამოსწორდა არც იმის შემდეგ, რაც 1997 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“.

ქვეყნის იმჟამინდელი პრეზიდენტი ნუთუ არ ეკითხებოდა თავის ხელქვეითებს — სრულდება თუ არა ენერგეტიკის დარგთან დაკავშირებით მის მიერ გაცემული, კანონით გათვალისწინებული ბრძანებები, განკარგულებები,

ჟურნალისტური გამოძიება

# ხელისუფლებისგანვე ითხოვენ

ბრძანებულებები და ა.შ.? და თუ კითხულობდა, რა ზომებს მიმართავდა?

მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ნამოქმედარი გულგრილობა დანაშაულებრივი ხასიათისაა და შედეგობრივად წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რაც ამჟამინდელ ხელისუფლებას დღემდე არ მოუკითხავს არც ბ-ნ ე. შევარდნაძისთვის და არც მისი ხელქვეითებისთვის, თუ არ ჩავთვლით ყოფილ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დ. მირცხულავას.

რამ განაპირობა იმჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან აშკარა მფარველობა ენერგეტიკაში არსებული, გარე შეხედვით, ქაოსის, განუკითხაობის და სინამდვილეში კი ორგანიზებული კორუფციისა, რის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ელექტროენერგოგენერაციის ობიექტები, მათი ხელმძღვანელები და პერსონალი აღმოჩნდნენ მძევლის როლში კორუმპირებულ ხელისუფლების ხელში, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ არც ისე იშვიათად ზოგიერთ მათგანს „დიდ საპურმარილო სახელმწიფო მაგიდიდან“ პერიოდულად ერგებოდა უკანონოდ მიღებული „დოვლათის ნამცეცები“. ამის დადგენა კი არც ისე რთულია.

უფულობის გამო ნგრევის გზას დაადგნენ სახელმწიფო ჰიდროელექტროსადგურები. განსაკუთრებით – ენგურჰესი, რომელიც წლების განმავლობაში სახსრების უქონლობის გამო რჩებოდა მოვლა-პატრონობის გარეშე. 1997 წელს ხელისუფლება იძულებული გახდა ჩაეტარებინა ენგურჰესის 15 კმ-ან საწნეო გვირაბში სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამუშაოები ჩაუტარდა გვირაბის მხოლოდ 45-მეტრიან მონაკვეთს მდინარე ილორთან უშუალო შეხების ზოლზე, რაც საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ წყლის დანაკარგი საწნეო გვირაბში მნიშვნელოვნად შემცირებულიყო.

მიუხედავად ამისა, აუცილებელი იყო ხსენებული სამუშაოების ჩატარება და ეს იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში გვირაბი შეწყვეტდა თავის ფუნქციონირებას, რის შედეგად ენგურჰესი ელექტროენერგიას ვეღარ გამოიმუშავებდა.

იმ დროისათვის აშკარად საგანგაშო იყო, რომ მცირე ელექტროჰიდროსადგურების საქმიანობიდან გამომდინარე ქვეყნის ენერგეტიკაში არსებული დაუსჯელობა, რატომღაც მაინც არ ვრცელდებოდა გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულებაზე, რომელიც სრულად და ზოგ შემთხვევაში, 120-130 პროცენტით იფარებოდა.

რამ განაპირობა, რომ მათ მიმართ ხელისუფლების მხრიდან მომქმედი კანონმდებლობა 100 პროცენტით იყო დაცული, რითიც სავსებით გარანტირებულს ხდიდა მცირე ჰესების საწარმო-საფინანსო საქმიანობას და უფლებებს?

პასუხი აღმოჩნდა მარტივი, როცა ბოლომდე გავარკვიეთ, თუ ვინ იყო მცირე ჰესების რეალური მეპატრონე.

აღმოჩნდა, რომ მფლობელებს წარმოადგენდნენ – ხელისუფლების პირები ან მათი ნათესავები და ახლობლები, რაც საბოოლოო ჯამში, ერთი და იგივე იყო.

ამის აშკარა მაგალითს წარმოადგენს „ჩითახევჰესი“, რომლის ერთ-ერთ ოფიციალურ მფლობელს წარმოადგენდა სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერი ენერგეტიკოსი, კათედრის გამგე ოთარ კირვალიშვილი – სიმამრი იმ დროისთვის „დიდი და ცნობილი“ და ამჟამად წარსულში პოლიტიკოსის ვახტანგ რჩეულიშვილისა, რომელიც დღესაც, ამოფარებული თავის მეუღლეს, წარმოადგენს ბინათმშენებლობის ბიზნესში განთქმული სტრუქტურის – „ცენტრ პოინტი“-ს ერთ-ერთ რეალურ მეპატრონეს.

აქედან გამომდინარე, ნუთუ დასაჯერებელია ის, რომ ხელისუფლება ობიექტურად უძლური იყო დაემყარებინა ქვეყნის ენერგეტიკის სახელმწიფო სექტორში კანონის უზენაესობა?

ცხადია, რომ ამისთვის გააჩნდა ყველანაირი ძალაუფლება. მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებას ყველა მხრივ ჰქონდა დაცული თავისი პირადი ჯიბის „კანონის“ უზენაესობა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ენერგეტიკაში ამ დროისთვის შექმნილ განუკითხაობის ჟამს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს და დეპარტამენტ „საქენერგო“-ს მესვეურები არ აწყენინებდნენ თავის თავს. მათი პირადი ინტერესები მათ მიერ და ხელისუფლების მხრიდან კარგად იყო დაცული. ამის დასტურს იძლევა მათი პირადი ქონება, შექმნილი თანამდებობაზე ყოფნის დროს, რომელიც დღესაც თვალში ეცემა ნებისმიერ ადამიანს.

ნუთუ არ ჟღერს დამაჯერებლად ის, რომ ზოგიერთებისთვის ენერგოკრიზისი და განუკითხაობა ენერგეტიკაში, გადაბრალებული მოსახლეობაზე, დიდი სარგებლის მომტანია. საქართველოს ისტორიაში ეს სასირცხვილო დრო – 1992-2006 წლები ჩაიწერება, როგორც მისი ხელისუფლების ზნეობის დაცემის ხანა.

შექმნილ ვითარებაში, ხელისუფლება რითი და როგორ უნდა შებრძოლებოდა ქვეყნის ენერგეტიკაში არსებულ კორუფციას ისე, რომ მოსახლეობას ენახა მისი მოჩვენებითი, როგორც ირკვევა, აქტიურობა? ხელსიუფლებამ იფიქრა-იფიქრა და საბოლოოდ გადაწყვიტა:

საქართველოს კანონის „ენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 1998 წლის 20 ივლისის № 421 ბრძანებულების და 1999 წლის ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ასოციაცია-კავშირი „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი“ – „სესბი“, დამფუძნებლები იყვნენ წარმოდგენილები – „საქენერგო“-ს, „საქენერგოგენერაცია“-ს, „საქრუსენერგო“-ს, „ენერგოსერვის“-ს, „გორი ენერგო“-ს, „ქუთაისის ავტოქარხანა“-ს სახით.



„სესბი“-ს წესდების მე-4 მუხლის მიხედვით – „ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიზანია ელექტროენერგიის სიმძლავრის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობათა მართვისა და ელექტროენერგეტიკაში კონკურენციის ერთობლივი განვითარებისთვის ხელის შეწყობა“. სრულდებოდა თუ არა ამ მუხლის მოთხოვნა, შეწყდა თუ არა ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკაში განუკითხაობის ერა?

„სესბი“-ს დაფუძნების შემდეგ საქართველოს ენერგეტიკამ გაიარა შვიდი წელი. „სესბი“-სეულ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვამ ქვეყნის გენერაციას და ელექტროსისტემას მიაყენა ზარალი დებიტორული ვალის შექმნით, რომლის ჯამური მაჩვენებელი გადასცილდა 750 მილიონ ლარს.

ეს მაჩვენებელი თავისთავად მეტყველებს „სესბი“-ს საქმიანობის აშკარად უარყოფით მხარეზე ან, უფრო სწორად, მას ახასიათებენ, როგორც საქართველოს ენერგეტიკის 1999-2006 წლების დამანგრეველს.

აქედან გამომდინარე, ვერავინ ვერ შეგვედავება, თუ დამტკიცებულად ჩავთვლით იმას, რომ „სესბი“-ს შექმნის „მიზანი“ არ შესრულებულა! რაც ყველაზე მცირედ შესაფასებელია, როგორც „სესბი“-ს ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი ხასიათის გულგრილობა, და წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.

ფაქტობრივად, რას წარმოადგენს აღნიშნული დანაშაულის ძირითადი მიზეზი?

„სესბი“-ს პირველი გენერალური დირექტორის ი. შალამბერიძის მიმართ „სესბში“ განხორციელებულ უსაქონლო ოპერაციის გამო გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რის გამოც მას შეუფარდეს აღმკვეთი ღონისძიება.

ალბათ, ი. შალამბერიძემ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ჩაატარა ხსენებული უსაქონლო ოპერაცია და ამის გამო დაისაჯა. ჩავთვალოთ, რომ ეს ხუმრობაა. მაგრამ ყოველ ხუმრობაში, ნუ დავივიწყებთ – ჩადებულია სიმართლის მარცვალიც.

ხსენებული „ოპერაციის“ შედეგად საქართველოს ელექტროენერგოგენერაციის და ელექტროსისტემის ორგანიზაციებმა განიცადეს ზარალი ექვსი მილიონი ლარის ოდენობით, რაც დღემდე არ არის ანაზღაურებული.

ი. შალამბერიძე კი, მიუხედავად მის მიმართ წაყენებული ბრალდებისა, მოკლე ხანში განთავისუფლდა პატიმრობიდან.

დღესდღეობით ეს პიროვნება იკავებს „სემეკ“-ში ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობას და აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ენერგოსამედიატორო საქმიანობაში, წარმოდგენილია ენერგეტიკის დარგში ღვაწლმოსილ, ფინანსური სქემების ავტორიტეტად.

„სესბი“-ს მომდევნო ორი გენერალური დირექტორის – დ. ჯიბლაშვილის და ი. ნატროშვილის მიმართ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რომლის შედეგად ისევ საქართველოს ელექტროენერგოგენერაციის და ელექტროსისტემის ორგანიზაციებს მიადგათ ზარალი, თბილისის პროკურატურის შეფასებით, ეს ზარალი განისაზღვრა არა ერთი მილიონი ლარით!..

მათ მიმართ აგრეთვე გამოყენებული იყო აღმკვეთი ღონისძიება... მაგრამ, ეგრეთწოდებულ, საპროცესო გარიგების შედეგად მათ დააკისრეს, პროკურატურის გათვლების მიხედვით, დაეფარათ ენერგეტიკის მიმართ მიყენებული ზარალი და შემდგომ „გაუშვეს“ თავისუფლებაზე.

ჩვენთვის უცნობი „დაბრუნებული“ თანხები პროკურატურის მიერ იყო გადაბარებული სახელმწიფო ბიუჯეტის მისამართით, „სესბი“-ს დებიტორების, ან კიდევ, სხვა იურიდიული პირების სახელზე.

ჩვენთვის ისიც უცნობია – აღნიშნული თანხები ვისი „ჯიბიდან“ იყო ამოღებული: ჯიბლაშვილ-ნატროშვილის თუ „სესბის“, ანუ, უფრო სწორად, მისი წევრების კუთვნილი თანხიდან?

პირველი ვარიანტი მისასალმებელია, თუკი ნაქურდალი ფული დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს.

მეორე ვარიანტი კი ძალზე საგანგაშოდ ჟღერს, და იმიტომ, რომ საქართველოს ენერგეტიკამ, და არა ენერგობარონებმა, განიცადეს ორმაგი ზარალი, რაც დღემდე არ არის ანაზღაურებული.

მითუმეტეს, საგანგაშოა ამგვარი „სადამსჯელო“ ღონისძიება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „სესბში“ დაკავებულ თანამდებობას დაუბრუნდა ი. ნატროშვილი, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს იმას, რომ მისი „დასჯის“ მერე ხელისუფლებამ განახორციელა ი. ნატროშვილის ამნისტირება კი არა, უფრო მეტიც – მისი რეაბილიტაცია.

პატიოსანი ადამიანისათვის, კანონის უზენაესობის დამყარების თვალსაზრისით, ეს შეფასდება, როგორც ხელისუფლების მოსვლისთანავე ზნეობრივი დაცემა, რის შემდეგ მოსახლეობის ნდობის ფაქტორიც მის მიმართ აშკარად დაეცა.

საინტერესოა, ამის შესახებ რას ფიქრობს თავად ი. ნატროშვილი? მიიჩნევს თუ არა თავის თავს დაზარალებულ პირად, თუ პირიქით – ბედნიერია, რომ შესძლო გამოენახა საერთო ენა „ვარდების რევოლუციონერებთან“?

მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ, ხალხო, თუ ამით თქვენ ოდნავ დაგაწყნარებთ, შეგახსენებთ, რომ საქართველოს ისტორიის მანძილზე, წარსულშიც და აწმყოშიც, არსებულ ხელისუფლებას ამგვარი ცინიზმი და უზნეობა მრავალჯერ ახასიათებდა.

გვჯეროდეს, ბოლო კეთილი იქნება.

2002 წლიდან ხელისუფლებამ გადაწყვიტა ქვეყნის ენერგეტიკაში განეხორციელებინა მორიგი „კარდინალური“ ცვლილება და ამისათვის ხელშეკრულების საფუძველზე, „სესბის“ გენერალურ დირექტორის თანამდებობაზე მოიწვია ესპანეთის ორგანიზაციის წარმომადგენელი ბ-ნი ა. სოლისი, რომლის „სესბში“ ხუთწლიანი საქმიანობის შედეგად ელექტროენერგოგენერაციის და ელექტროსისტემის დებიტორული დავალიანება გაიზარდა 500 მილიონი ლარით!

2004 წელს მის მიმართ თბილისის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რის საფუძველზე ა. სოლისს ბრალი ედებოდა ჩვენი სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენებისათვის 700 ათასი ლარის ოდენობით.

ჩვენთვის უცნობია, ა. სოლისმა აღნიშნული ზარალი თავისი პირადი სახსრებით თუ „სესბის“ მეშვეობით, დაფარა თუ არა!

მიუხედავად ამისა, ა. სოლისმა თავისი საქმიანობა „სესბში“ განაგრძო. ნუთუ ეს არ არის სასირცხვილო ჩვენი ქვეყნისთვის, რითი და როგორ აგებს პასუხს ხელისუფლება მომხდარი ფაქტის გამო? რის სანაცვლოდ დათანხმდა ხელისუფლდება ა. სოლისის დაბრუნებას?

ა. სოლისის საქმიანობა „სესბში“ ამით არ შემოიფარგლა, რის შედეგად ჩვენმა სახელმწიფომ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი, რამაც ისევე უარყოფითად იმოქმედა მის ეკონომიკაზე, ენერგეტიკაზე და, რაც მთავარია, ქვეყნის მოსახლეობაზე.

საკითხი ეხება მსოფლიო ბანკის კრედიტს 27 მილიონი დოლარის ოდენობით, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს გარანტიით იყო აღებული და გამოყენებული „სესბის“ მმართველობითი სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, რისი მეშვეობით ა. სოლისი და მეტნაკლებად, „სესბის“ ადმინისტრაცია ხუთი წლის განმავლობაში გახლდათ უზრუნველყოფილი ევროსტანდარტების მიხედვით ყოველთვიური სახელფასო ფონდით, განვითარდა „სესბის“ ტექნიკური ბაზა, რის ფონზეც, ვიმეორებთ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყნის ელექტროენერგოგენერაციის და ელექტროსისტემის დებიტორულმა დავალიანებამ გადააჭარბა 750 მილიონ ლარს.

მსოფლიო ბანკს აღნიშნული კრედიტი კი, ჩვენ, ჩვენი შვილები და შვილიშვილები ვალდებულები ვართ, რომ დავუბრუნოთ მას სახელშეკრულებო პირობების დაცვით.

ვინ არის ა. სოლისი, რომელმაც „შეყლაპა“ ჩვენი კუთვნილი თანხები და, რომელიც ხშირად, კულუარულ საუბრებში, იმეორებდა – „რა უნდა ვქნა, თუ ვერ გამოვასწორებ „სესბში“ არსებულ მდგომარეობას? დავიხურავ ქუდს და შინ წავალ, ჩემს ესპანეთში“.

და ეს იმიტომ, რომ ხელისუფლების მხრიდან, მასთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ა. სოლისს არ აკისრია არანაირი ფინანსური ვალდებულებები საქართველოს სახელმწიფოს წინაშე.

ფაქტობრივად, აღნიშნული სესხის გამცემმა – მსოფლიო ბანკმა საქართველოს ხარჯზე გააუმჯობესებინა ა.სოლისის პირადი მატერიალური მდგომარეობა, რათა მას ეხელმძღვანელა საქართველოს ენერგეტიკის ნგრევის, გაკოტრების პროცესისთვის.

ნუთუ ეს არ წარმოადგენს, ეკონომიკურ დივერსიას? რამ განაპირობა მსოფლიო ბანკის მხრიდან აღნიშნული კრედიტის ათვისების პროცესის უკონტროლობა? მსოფლიო ბანკმა რატომ არ დასვა საკითხი საქართველოს ხელისუფლების წინაშე, თუ ეცნობოდა ყოველწლიურად „სესბი“-ს საქმიანობის შედეგებს, კრედიტის ხაზის შესაჩერებლად?

**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“**

(დასასრული იქნება)

ინფორმაცია

## ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდათ

დავალიანების გამო ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა რეგიონებს, მათ შორის გარდაბნის, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის და ზესტაფონის რაიონებს. თუმცა ზესტაფონის „ფეროშენადნობი“ ქარხანა სანქციას გადაურჩა და მას ბუნებრივი აირი ჩვეული რეჟიმით მიეწოდება,- აცხადებენ სს „იტერა-საქართველოში“.

თუ კი სხვა რაიონები, რომლებიც ამ ეტაპზე გაზის გათიშვისაგან გადარჩნენ, არსებულ დავალიანებას 1 სექტემბრამდე არ დაფარავენ, მაშინ ბუნებრივი აირის მიწოდებას მათაც შეუწყვეტენ.

## რუსულმა სამხედრო ტექნიკამ წალკა დატოვა

გუშინ 9:00 საათზე წალკის ტერიტორია რუსული ტექნიკით დატვირთულმა კვლავ თერთმეტმა ვაგონმა დატოვა. ეშელონი წალკიდან აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით რუსეთში გაემგზავრა. მორიგი, რიგით უკვე მე-16 ეშელონი წალკიდან 29 აგვისტოს გავა.

ეშელონში ერთი ტანკი თ-72, ხუთი ითლ-70 ორი, ითჩ-4 და ასევე რიაქტიული ჭურვები იყო მოთავსებული: 122 მმ. სამოცდაათი ტონა, ხოლო 152 მმ. ოთხმოცდათორმეტი ტონა.

სამხედრო ტექნიკა ერთი კვირის განმავლობაში ახალქალაქის რუსული ბაზიდან გამოჰქონდეთ.

ХО-ეიბ-ენი.

## ბატონ ბორდიუჟას დაავიწყდა...

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ნ. ბორდიუჟას განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარს აქვეყნებს.

ბორდიუჟას თქმით, შესაძლოა, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დარეგულირებაში მიიღონ მონაწილეობა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ასეთმა განცხადება, შეიძლება მხოლოდ გაკვირვება გამოიწვიოს. „ბატონ ბორდიუჟას ეტყობა, დაავიწყდა, რომ საქართველო დიდი ხანია აღარ არის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი და რა გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნეს მიღებული ამ გაერთიანების ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე მას არანაირი ძალა არ ექნება,“ – ნათქვამია განცხადებაში.

## „გაიტანეთ, გაიტანეთ!“



გუშინ ზუგდიდის ერთ-ერთ აფთიაქში ბავშვებმა ვადაგასული წამლების ბუნკერი აღმოაჩინეს.

აღნიშნულ აფთიაქში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობაა ჩასახლებული. ისინი ადგილობრივ ხელისუფლებას ბუნკერის წამლებისგან გაწმენდას სთხოვენ, რადგან დევნილების თქმით, ვადაგასული წამლებით შესაძლებელია მათი ბავშვები მოიწამლონ.

მედიანიუსი

ფიქრები ხმამაღლა

# საქმეს — გასჭირი, სათქმელს — ალჭირი

## პირზე მომდგარსა სიტყვასა თქმა კი უნდა, თუმცა...

**რა დასამალია და, პრეზიდენტს კი არა, მეც, პროფესიით ჟურნალისტს, აღარ ძალმიძს მედიის ბაზარზე გამოტანილი ყველა გამოცემის წაკითხვა! მათი არც შეძენის საშუალება მაქვს და არც ათასი რაგინდარათი თავის გამოტენის სურვილი! ისიც მეყოფა, თავისუფალი მედიის პირობებში ყველა სახელმწიფო დაწესებულების საინფორმაციო წყარო რომ გადაიკეტა და გაზეთისათვის აუცილებელი, თუნდაც ჩვეულებრივი მასალის აღება ჯოჯოხეთურად გაძნელდა! უნდა ვაღიარო, რომ ამ „სულიერი ამბოხისა“ და პროტესტის შედეგად მევე ვრჩები წაგებული — ზოგი საყურადღებო და ანგარიშგასაწევი რამ წაუკითხავი მრჩება. ღმერთმა უშველოთ ჩემს მეგობრებს — ხან ერთი „შემომაპარებს“ რაიმე ფასეულს, ხან მეორე — როგორღაც იოლას გავდივარ...**

ასე იყო ამას წინათაც. მოვიდა ჩვენი კოლეგა ალექსანდრე ხუხუა და ცხვირწინ დამიდო დიდი ესპანელი ფილოსოფოსის, თანამედროვე ევროპული ინტელექტუალიზმის ერთ-ერთი ბურჯის ხოსე ორტეგა ი გასეტის (1883-1955ძ შედევრი „მასების ამბოხი“, რომლის თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძეს ეკუთვნის და 1993 წელს „ხომლს“ გამოუცია.

— წაიკითხე, საჭირო წიგნია! — მიბრძანასავით თანამოკალმემ. სიმართლე გითხრათ, დიდხანს მედო უჯრაში, მერე ავიღე და გადავფურცლე. მალე მივხვდი, რომ მხოლოდ გადაფურცვლა საქმეს ვერ უშველიდა. და ახლა მადლიერებით ვიხსენებ ალექსანდრე ხუხუას ძალდატანებას... უთუოდ დიდი მადლობა უნდა ვუთხრა მთარგმნელს, რომლის გემოვნებასა და პროფესიონალიზმში ქართველ მკითხველს ეჭვი არასოდეს შეუტანია. მაგრამ უნდა გამოვტყდე — ეს შესავალი სულაც არ არის რეცენზიისთვის შემზადება — ეს ჩემს ძალებს აღემატება. საქმე სულ სხვა რამეშია. ეს წერილიც სწორედაც იმ „სულ სხვა რამემ“ შვა.

ათ წელზე მეტია, საქართველო ბორგავს, ნაპირებმორღვეულ მდინარესავით ბობოქრობს, ფეხის წვერებზე დგება, რომ ვიღაცას დაენახოს, ვიღაცას თავი მოაწონოს. არადა, ხშირად ეს ფაფხური, გაუთავებელი ბაქიბუქი სრულიად საპირისპირო შედეგებს იძლევა. ამ დროს ჩვენი მეზობლები — თუნდაც აზერბაიჯანი, სომხეთი, სხვებიც წყნარად არიან, ჩუმად აკეთებენ იმავე საქმეს, დამოუკიდებლობა, თვითდამკვიდრება რომ ჰქვია. იმათაც უამრავი პრობლემა აწუხებთ. აქვთ ჩავარდნებიც და წარმატებებიც. იქნებ აზერბაიჯანმა დაივიწყა ყარაბახი? არა მგონია! ის უკეთეს დროს ელოდება და ყველას გასაგონ-დასანახად იარაღს არ აჟღარუნებს. ჩვენ? ჩვენ როგორ ვიქცევით? **ცეცხლზე ნავთს ასხამს ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა მხრიდან ისტერიკამდე მისული განცხადებები, რის გამოც დაპირისპირებამ ჩრდილოელ მეზობელთან კულმინაციას მიაღწია. მე მგონია, ჩვენი პოლიტიკოსები ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ პრინციპულობასა და ისტერიკას. ჰგონიათ, რაც უფრო ხმამაღლა და შეურაცხმყოფლად იტყვიან სათქმელს, ოპონენტს მით უფრო იოლად შეაშინებენ...**

როცა ჩვენმა ახალგაზრდა პრეზიდენტმა საქმეს ხელი ენერგიულად მოჰკიდა, იმედი გაჩნდა, რომ წლობით შედედებული უძრაობის ჭაობი დაშრებოდა. როცა ამ ენერგიას აქა-იქ მოუზომავი ნაბიჯები და გამოთქმები გამოერია, ეს მის ახალგაზრდობასა და გამოუცდელობას მივაწერეთ. ვიფიქრეთ, დალვინდება, ცხოვრებაც თავისას ასწავლისო. ერთხელ იმასაც ვწერდი, მე, რიგითმა ადამიანმა, შეცდომა რომ დავუშვა, ქვეყანა ბევრს არაფერს წააგებს, მაგრამ ხელისუფლის შეცდომამ შეიძლება სახელმწიფო დაღუპოს-მეთქი. ამას დღენიადაგ იმეორებს პრესა და ტელევიზია, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პოზიცია და ოპოზიცია, მაგრამ... ქარავანი ისევ თავისი გზით მიდის. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისთვის კოდორის კრიზისიც კმარა...

**ხელისუფლება ჯიუტად იმეორებს, რომ საქართველოს ისტორიის ათვლის წერტილი 2002 წლის ნოემბრიდან იწყება. მართლა ასეა? რა ვუყოთ სახელმწიფოებრიობის ოცდაათსაუკუნოვან ისტორიას თუ არა, ბოლო ოც საუკუნეს მაინც, როცა საქართველო, ასე თუ ისე, მტრისგან თავის დაცვასაც ახერხებდა და კაცობრიობის კულტურის საგანძურშიც მნიშვნელოვანი ფასეულობები შეჰქონდა? კი, ბატონო, ნიადაგ ამაზე მინიშნებები და ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი გაუმართლებელია, მაგრამ არც ის არის სწორი, რომ მამა-პაპათა დამსახურება მივივიწყოთ, წყალში გადავყაროთ.**

კალამი ცოტა გამექცა, მაგრამ ეს საკითხები პირდაპირ კავშირშია გასეტის ზემოხსენებულ წიგნთან. ავტორის გარდაცვალების შემდეგ მთელი ნახევარი საუკუნე გავიდა, იქ განხილული პრობლემები კი დღევანდელივით ჟღერს. როცა წიგნის 142-143-ე გვერდებს ჩაიკითხავთ, უთუოდ იტყვით, ამ დალოცვილმა, პირდაპირ ათიანში მოარტყაო. მაინც, რა ასეთი აღმოჩენა გააკეთა საქვეყნოდ აღიარებულმა ფილოსოფოსმა? მოდით, ორიოდე ამონარიდს შემოგთავაზებთ და დასკვნები თქვენ თვითონ გააკეთეთ:

**„...სამწუხარო სურათს გვთავაზობს პატარა ხალხების თავქარიანობა, მათი ფუქსავატური ქცევა. რაკილა ყური მოჰკრეს, ევროპული ცივილიზაციის მზე ჩაესვენაო, და, მაშასადამე, მიხვდნენ, რომ ევროპას უკვე აღარ შეუძლია მსოფლიოს მართვა, ყოველი ერი თუ ეროვნება სიხარულით ცას ეწია, გამარჯვების ყიჟინა დასცა, ცალ ფეხზე ხტომასა და ხელების ქნევას მოჰყვა; გალაღებული და ამაყად თავალებული თითის წვერებზე იწევა, ბაქიბუქობს, მედიდურად იფხორება, თითქოს გვანიშნებს, რომ უკვე დიდი გახდა და შეუძლია თვითონვე განაგოს თავისი თავი. აი, რატომაა, რომ დღეს, საითაც არ გაიხედავ, ყველგან ფუთფუთებს ათასნაირი „ნაციონალიზმი“.**

ხომ მაგარია, ა? მაგრამ სათქმელი ბოლომდე ჯერ კიდევ არ მითქვამს. არ მითქვამს, რომ... ჩვენი პატივცემული ავტორი უდიერად ეკიდება პატარა ერებს, მათ მისწრაფებას თვითდამკვიდრებისაკენ. არც ის მიმაჩნია მართებულად, რომ პატარა ერების გამოღვიძებას „ნაციონალიზმად“ ნათლავს — რა ქნან, სწორედ რომ ფეხის წვერებზე უნდა აიწიონ, რათა სიდიდით განებივრებულმა ქვეყნებმა ისინიც შეამჩნიონ... ეს სითამამე სულაც არ არის მკრეხელობა! რა ვუყოთ, თუ ევროპის ჯუჯა სახელმწიფოებივით „ინკუბატორში“ ყველა ვერ მოხვდა, თუ გარშემო ათასი ჯურის ავის მდომელი ახვევიათ? დარწმუნებული ვარ, გასეტი ჩვენსავით პატარა ერის შვილი რომ იყოს, თავის სათქმელს ცოტა სხვანაირად იტყოდა!

მაგრამ ერთ რამეში ცამდე მართალია პატივცემული ფილოსოფოსი: **თავისი სათქმელი ყველამ უნდა თქვას — დიდმაც და პატარამაც. ოღონდ — განცხადების ფორმას გააჩნია!** ჩვენს მაგალითზე: **როცა ეკონომიკა მკვდარია და ქვეყანა ძირითადად შემოწირულობების ხარჯზე ცხოვრობს, როცა მისი კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული ძლევამოსილ მეზობელზე, ფინიასავით წარამარა არც უნდა უყეფდეს და არც ფეხებში ედებოდეს!** რუსეთს ჩვენზე ნაკლებად არა ჰყავდა გამწარებული ბალტიისპირეთი, მაგრამ სამივე რესპუბლიკამ შესაშური პრინციპულობით (და არა მუქარით და შეურაცხმყოფელი გამოხდომებით!ძ ბევრ საკვანძო საკითხში თავისი გაიტანა! სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ხოსე ორტეგა ი გასეტი, როცა წერს: „...საერთაშორისო ასპარეზზეც გვხვდებიან ეროვნება-მასები, რომლებიც მზად არიან ისტორიის შემოქმედი დიდი ერების, კაცთა მოდგმის ამ რჩეული უმცირესობის წინააღმდეგ. რაოდენ სასაცილოა, როდესაც ხედავ, როგორ ყელყელაობს ესა თუ ის ერთი ციცქნა, რუკაზე ძლივს შესამჩნევი რესპუბლიკა, თითის წვერებზე დგება, ხმას იმაღლებს თავისი მიყრუებული კუნჭულიდან, ლანძღვა-გინებით იკლებს ევროპას და თან თავს იწონებს თავისი ისტორიის სიძველით“.

აქ გასეტი ტიპური დიდმპყრობელია. მეც, ჩემო მკითხველო, შეძრული ვარ პატარა ერებისადმი მისი აგდებული დამოკიდებულებით. და თუ მას არც რუსთაველი სმენოდა და არც გურამიშვილი, არც ვაჟა და არც გალაკტიონი, ესეც, სწორედ რომ ჩვენი სიმცირის ბრალია. მოდით, მაინც დიდსულოვნად მივუტევოთ მას ეს შეცოდებანი და ასევე დიდსულოვნად დავეთანხმოთ, რომ... **საკუთარი „მეს“ წარმოჩენასაც თავისი კულტურა და ჩარჩოები უნდა ჰქონდეს, თორემ რუსეთში არც ჟირინოვსკები დაილევიან, არც მიტროფანოვები და არც სლისკები, რომლებიც, შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ ჩვენი გაბიაბრუებისათვის. ვიყოთ პრინციპულნი, მაგრამ კორექტულნი! მუდამ წითელ ქსოვილს ნუ ავუფრიალებთ ცხვირწინ ისედაც გავეშებულ ხარს!** განა ამისათვის არა გვაქვს ბრწყინვალე ანდაზა-თქმანი, რომლებიც მეტი სიფრთხილისკენ მოგვიწოდებენ — „ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი“, „ჯერ გადახტი, „ჰოპლა“ მერე დაიძახე“, „დათვი რომ მოგერევა, „ბაბაია“ დაუძახე“, „ძალა აღმართს ხნავს...“ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ გულზე ხელები დავიკრიფოთ, არამედ იმას, რომ გონივრულად ვიმოქმედოთ. ჩვენს პოლიტიკოსებს ჩვენი რჩევა თუ არ ესმით, გაეროს მაინც მიაყურადონ, გაეროს, რომელმაც ამას წინათ არაორაზროვნად გვირჩია, გამაღიზიანებელი გამოთქმებისგან თავი შეიკავეთო. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკამ რამდენჯერმე უკვე შეგვაქცია ზურგი! განა ოციანი წლების გერმანიისა და ინგლისის მაგალითები საკმარისი არ არის?

აგერ, ახლახანს, შეძრწუნებულები თვალს ვადევნებდით, როგორ იწვოდა ტყე ადიგენის რაიონში. ეს მასშტაბები, ესპანეთისათვის, რა თქმა უნდა, არც ისე შემაშფოთებელია, მაგრამ საქართველოსთვის ნამდვილად დამღუპველია. ამ დროს გარემოს დაცვის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა გვამცნო, რომ დახმარება შემოგვთავაზა რუსეთმა, მაგრამ... უარი ვუთხარით.

**რა მოვიმკეთ? უარესს რომ ვერ იფიქრებ — სულ ცოტა, განადგურდა 700-800 ჰექტარი ტყე. ჩვენ რომ ამბიციები მოგვეთოკა და რუსეთის შემოთავაზება მიგვეღო, შესაძლოა, ხანძარი ორიოდე დღეშიც ჩაგვექრო.**

რა ვუთხარით ამ უარით რუსეთს? თქვენზე მაგრები ვართო? ვაი, რომ მაგრები კი არა, მთხლე ვყოფილვართ! ჰოდა, ვის წისქვილზე დავასხით წყალი, როცა ჩრდილოელ მეზობელს უარი შევუთვალეთ? ცხადია, უარს დავით ტყეშელაშვილი ვერ ეტყოდა — ეს ქვეყნის პირველი პირის გადასაწყვეტი იყო. **ახლა ვინ ზღავს ასეულ მილიონობით ზარალს, პრეზიდენტის ამ სიჯიუტემ რომ მოგვიტანა? თავისი ფონდიდან აანაზღაურებს (რომელიც ჩვენი გადასახადებიდან ფორმირდებაძ თუ საკუთარი ჯიბიდან?**

აი, ამიტომ ვამბობდი, რომ სათქმელს მოზომვა, ასგზის აწონ-დაწონვა სჭირდება, რომ მერე თავში საცემად არ გაგვიხდეს საქმე.

**დიახ, საქართველოს თავისი მისია აკისრია და ის ფინიშთან პირნათელი უნდა მივიდეს. ამისათვის საჭიროა თავაუღებელი შრომა და არა ტრაბახი და ბაქიბუქი. ეს ეხება ერსაც და ბერსაც, პრეზიდენტსაც და რიგით მოკვდავსაც.**

**თქვენ როგორ ფიქრობთ?**

**ელგუჯა ლეჟანიძე**

ჟურნალი




# ღმერთმა გისმინოთ, დედოფალო!

**სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინების ფონდის თანადგომით გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის“ 2006 წლის მეორე ნომერი.**

სიამოვნებით წაიკითხავ ჯანო ჯანელიძის, გენო კალანდიას, ფრიდონ ხალვაშის, დალილა ბედიანიძის, ირაკლი ციგროშვილის, ლევან ზარიძის, რობერტ მესხის, არქიმანდრიტ შიოს (გაბრიჭიძისძ მშვენიერ ლექსებს და გულწრფელად იტყვი: ჭეშმარიტი მკითხველის ადამიანური ბედნიერებაა, რომ ჟურნალის შემოქმედებითმა კოლექტივმა ამდენ მართალ, ძარღვიან, ტკივილითა და რწმენით აღსავსე პოეტურ სტრიქონს მოუყარა თავი...

გულდინჯად ჩაუჯდები თამაზ ხმალაძის, მურმან ჯგუბურიას (რომანის გაგრძელებაძ, მამუკა დოლიძის, გელა ჩქვანავას, ირმა ხურცია — ანდრიაძის, ციცი გურიელის, მაგდა კოტრიკაძის მოთხრობებს და უთუოდ გესიამოვნება, რომ „ცისკარი“ მხოლოდ საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებებს ბეჭდავს.

ჟურნალში (როგორც გარეკანიდანვე გამორჩევით მიგვანიშნებენძ ყურადღებას იპყრობს ჟურნალისტ მარიკა კახიძის გულახდილი დიალოგი ქართული პოეზიის თავმდაბალ დედოფალთან ანა კალანდაძესთან. შეკითხვაზე — „... XXI საუკუნის დამდეგს რას ეტყოდით თქვენს სამშობლოს, ერს; რა გტკივათ და რა გეიმედებათ?“ — მუდამ ოპტიმისტი ქალბატონი ანა უპასუხებს: „**ყოველთვის მეიმედებოდა და კვლავაც მეიმედება ქართველი კაცის მართალი და ამაყი ბუნება, მისი მარად ფხიზელი გონება! იგი არასოდეს დაუშვებს, ვინმემ ფეხქვეშ გამოგვაცალოს ჩვენი მიწა-წყალი და ქვეყანა ნასაყდრალს დაამსგავსოს! უდიდესი და უმდიდრესი ტრადიციის მქონე ერი არასოდეს ჩაიძირება გაწურჩევლობის ზღვაში...“**

ღმერთმა გისმინოთ, დედოფალო ანა!

რუბრიკით „ახალი თარგმანები“ ჟურნალში იბეჭდება ადონის სამარაკისის მოთხრობა, რომელიც ანი უძილაურმა თარგმნა.

„ცისკარი“ კიდევ ერთხელ ახსენებს თავის ერთგულ მკითხველს დიმიტრი გულიას ცნობილ ისტორიულ ნარკვევს — „აფხაზები, არსებითად, იგივე ქართველები არიან“. ნარკვევი თარგმნა დალი ყალიჩავამ.

„წერილების“ სერიით წარმოდგენილია კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას „იგი სიკეთით გახლდათ საცნობი“, რომელიც მერაბ კოსტავას გახსენებას ეძღვნება; აქვეა ჯანო ჯანელიძის „ღვთიური მშვენიერება, ანუ ნააზრევი ნააზრევისა“ (გიგა დათუაშვილის წიგნის „დაფანტულ ნააზრევად“ გამოსვლის გამოძ; ეკა გუნთიაშვილის „ფერთა საკითხი გია ბულაძის თეორიულ ნააზრევში“ და მზევინარ ძირკვაძის „ზურაბ გორგილაძე ქართულ კრიტიკაში“.

„ცისკრის“ ამ ნომერში წარმოდგენილია მხატვარ გურამ ქუთათელაძის რამდენიმე ნამუშევარი და ცნობილ ადამიანთა გამონათქვამები ამ უცნაური ბედის მქონე ცნობილ შემოქმედზე.

თვით ჟურნალის მთავარი მხატვარი გიორგი წერეთელი გახლავთ.

შინაარსით საოცრად ტევადი და ტექნიკურად ლამაზი (ფინანსურ სიდუხჭირეს რა ვუთხარი, თორემ ბევრად უკეთესი შეიძლებოდა!ძ ჟურნალი ისევ ახარებს თავის ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს. დარწმუნებული ვარ, მომდევნო ნომერი კიდევ უკეთესი იქნება...

**სპარტაკ ქობულია**

**სიმართლე კი ასეთია**

# ოსები საქართველოში: მითი და რეალობა

*ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ცნობილ დემოგრაფს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ანზორ თოთაძეს. იგი მრავალმხრივი მეცნიერია, რომელიც დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს განიხილავს ეკონომიკური, სოციოლოგიური, ისტორიული და პოლიტიკური პრობლემების ურთიერთგადაკვეთის მიჯნაზე, რაც პრობლემის ახლებურად დანახვისა და ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას აძლევს ავტორს. სწორედ ამით გამოირჩევა ბატონ ანზორ თოთაძის გამოკვლევები.*

*ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ მეცნიერის მორიგ ნაშრომს, რომელიც ნათელს ჰფენს ქართულ-ოსურ ურთიერთობებში ხელოვნურად შექმნილ ზოგიერთ პრობლემას.*

## კონფლიქტის ანატომია

**ქართველი და ოსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციული მეგობრობა, მოყვრობა და ურთიერთთანამშრომლობა სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა, რაც ჩვენს ხალხებს თავს მოახვიეს გარეშე ძალებმა. დღეს, როდესაც იმედის სხივი გამოჩნდა, ეს ძალები კვლავაც ცდილობენ, ხელი შეუშალონ „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენას, რისთვისაც ქმნიან სიყალბესა და სიცრუეზე აგებულ „იდეოლოგიას“. ამის დასტურია უკანასკნელ ერთ წელიწადში ოსი სეპარატისტ ავტორების მიერ მოსკოვში ზედიზედ ოთხი სქელტანიანი წიგნის გამოცემა; ამით სურთ შექმნან ცრუ წარსული ისტორიის ხელახალი გადაწერის გზით და თავდაყირა დააყენონ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ჭეშმარიტი ისტორია. ყოველივე ეს აფერხებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობას, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ინტეგრაციის პროცესებს.**

ასეთ გამოხდომებს საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. ეს საჭიროა როგორც ქართველების, ისე ოსებისათვის, რადგან ცრუ ცოდნა და გაყალბებული ისტორია ნოყიერ ნიადაგს ქმნის ისეთი მავნე მოვლენების განვითარებისათვის, რომლებიც არც ამჟამად და არც მომავალში კეთილად არ წაადგება ჩვენი ხალხების საერთო საქმეს.

უკანასკნელ წლებში მომრავლდა ოსი ცრუმეცნიერების, ფაქტობრივად, დილეტანტების მიერ დაწერილი საკმაოდ სქელტანიანი წიგნები, რომლებშიც საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ისტორია თავდაყირაა წარმოდგენილი. ისინი არაფრისაგან თხზავენ თავიანთ ცრუ ისტორიას, უწყალოდ ამახინჯებენ წერილობით წყაროებს, სტატისტიკურ მონაცემებს და, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ცდილობენ სასურველი სინამდვილედ წარმოაჩინონ. ყოველივე ეს ემსახურება ერთ მიზანს – გაამართლონ საქართველოს მიწა-წყალზე თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა, საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ოს სეპარატისტებს ამ საქმეში გვერდში უდგანან, ყოველმხრივ აქეზებენ და ეხმარებიან რუსული რეაქციული ძალები, ურომლისოდაც ისინი ასეთ უხეშ ჩარევას საქართველოს შინაურ საქმეებში ვერ გაბედავდნენ. ოსი სეპარატისტები ხელყოფენ საქართველოს მიწა-წყალს და ქართველთა მიერ თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ზრუნვას ქართველთა აგრესიად მიიჩნევენ. რუსული რეაქციული ძალების პოლიტიკასთან წილნაყარი და წამოჩიტული დილეტანტი ოსი მეცნიერები სარგებლობენ საქართველოში შექმნილი რთული ვითარებით, რომელიც ყოველთვის თან ახლავს დამოუკიდებლობის მოპოვებას, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას და გამონაგონი ისტორიით ცდილობენ თავიანთი ხალხი დააყენონ აგრესიის გზაზე, შუღლი და მტრობა დათესონ ქართველ და ოს ხალხებს შორის, რომელთაც ურთიერთმეზობლობისა და თანაცხოვრების საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ.

ოსი ხალხის ისტორია ძირითადად მხოლოდ ქართულ წყაროებშია დაცული, რადგან ოსებს დამწერლობა არ ჰქონიათ. რომ არა ქართული წყაროები, მათ თავიანთი ისტორია ფაქტობრივად არც ეცოდინებოდათ. მაგრამ ისინი ამჟამად ქართულ წყაროებს როგორც აწყობთ, ისე კითხულობენ და ისტორიულ რეალობებს მრუდე სარკეში წარმოაჩენენ. ავიწყდებათ, რომ უძველესი ქართული ისტორიული თუ ლიტერატურული წყაროები, რომელთა ნაწილი თარგმნილია უცხო ენებზეც, ცნობილია არა მარტო ქართველოლოგებისათვის, არამედ უცხოელი, მათ შორის, ცნობილი რუსი ისტორიკოსებისათვისაც. ამიტომ ვინც წამდაუწუმ სქელტანიან წიგნებს სცემს მოსკოვში და „ვისაც სურს შექმნას ახალი წარსული ისტორიის ხელახალი გადაწერის გზით“, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ უძველეს ქართულ წყაროებს ბევრად უფრო თვალსაჩინო მკვლევარები სწავლობენ, ვიდრე კონიუნქტურას აყოლილი ოსი დილეტანტი მეცნიერები, რომელთა ნაშრომებში იკვეთება მხოლოდ მათთვის სასურველი ერთი იდეა – ოსეთი ორი – სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილისაგან შედგება. ამისათვის კი საჭიროა ვამტკიცოთ მითი იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ, შიდა ქართლში, ოსები უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ და იგი არასოდეს ყოფილა საქართველოს ტერიტორია, რასაც ისინი დიდი მონდომებით აკეთებენ კიდეც. მათი აზრით, 1774 წელს ერთიანი ოსეთი, როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი, შეუერთდა რუსეთს და საქართველოს არაფერი ესაქმება რუსეთის ტერიტორიასთან. მთელი 70 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს ავტონომიურ ოლქს, განიცდიდა კოლონიურ ჩაგვრას და აქ მოსახლე ოსების ცხოვრების დონე უაღრესად დაბალი იყო. ამიტომ, მათივე აზრით, სამხრეთ ოსეთის პრობლემა უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად, რომელიც აღიარებულია გაეროს მიერ და რომელიც იძლევა **ხალხთა თვითგამორკვევის გარანტიას**. 2006 წლის ივნისში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის დროს, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიის ანექსია მიმდინარეობს და საქართველო „არც ერთ მეტრს“ არავის დაუთმობს, ამ განცხადების გაკეთებამდე ცოტა ხნით ადრე რუსული დიპლომატის ლექსიკონიდან რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სიტყვიერი აღიარებაც კი გაქრა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთოდ დაივიწყა სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დე იურედ ყოფნა და ბოლო პერიოდში არაერთხელ განაცხადა, რომ ის „საერთაშორისო დონეზე აღიარებული კონფლიქტის ზონაა,“ რომლის სტატუსი მოლაპარაკების გზით უნდა განისაზღვროს. რუსეთის საგარეო უწყებამ „**ერთა თვითგამორკვევის უფლებაც**“ გაიხსენა (გაზ. „24 საათი“, 15 ივნისი, 2006წ. ამრიგად, ის, რაც წიგნებში დაიწერა, უკვე უმაღლესი დონის შეხვედრის დროს ან უშუალოდ მისი მომზადებისას ითქვა. ასე რომ, წიგნების გამოსაცემად ტყუილად როდი იხარჯებიან.

ალბათ, მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე მეზობელი ქვეყნის ერის წარმომადგენლებიც არ ცხოვრობდნენ. ახლა მათ რომ ამ სახელმწიფოებში ტერიტორიების მისაკუთრება დაიწყონ ისტორიულ სამშობლოსთან მიერთების მიზნით, მსოფლიო საშინელ ხოცვა-ჟლეტას ვერ გადაურჩება. ამიტომ დიდმა სახელმწიფოებმაც ამ საქმეში სალი აზრით უნდა იხელმძღვანელონ, რადგან ასეთი სრულიად უსაფუძვლო პრეცედენტების დაშვების შემთხვევაში ფართო გასაქანი ეძლევა სწორედ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ფუძემდებლური პრინციპების უხეშ დარღვევებს.



საქართველოს მთავარი მდინარის – მტკვრის დინებამ განსაზღვრა ისტორიული ქართლის ზემო, შიდა და ქვემო ქართლად დაყოფა. ქართველი მემატიანეების, ადრეფეოდალური ხანის ქართული აგიოგრაფიული ძეგლებისა და VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის მიხედვით შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება იყო ზენა სოფელი. საქართველოს ეს ისტორიული პროვინცია XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით მოიცავდა ტერიტორიას „ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე“ (ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., გვ.24ძ. იმავე მემატიანის თქმით, უფლოსმა, რომელიც იყო ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის – ქართლოსის შთამომავალი და რომელსაც „ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავარადმდე და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა-ქართლი“ (ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 10ძ. ქართლის (იბერიისძ სამეფოს პირველმა მეფემ ფარნავაზ I-მა (ძვ. წ. IV საუკუნის მიწურული და III საუკუნის პირველი ნახევარიძ ქართლის სამეფო დაყო საერისთავოებად, მათ შორის ერთ-ერთი საერისთავო იყო შიდა ქართლი, ადრინდელი პერიოდის ზენა სოფელი. მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, ეს იქნებოდა ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (რომელიც შიდა ქართლს შუა იბერიის სახელწოდებით მოიხსენიებსძ თუ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი და სხვა ქართველი მემატიანეები თუ ძველი ქართველი მწერლები, იტალიელი მისიონერები თუ ევროპელი მოგზაურები, ყველას უკლებლივ შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედი მიაჩნია. მართლაც, არა მარტო შიდა ქართლის, არამედ მთელი საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედია.

საქართველომ თავის სახელმწიფოებრივ ძლიერებას XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია. ამ პერიოდში იგი ახლო და შუა აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რასაც მნიშვნელოვანწილად მისი მოსახლეობის რაოდენობაც განაპირობებდა. მართლაც, 1254 წელს, მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში 8 მილიონი კაცი ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული და ეს გარემოება არც იტალიელ მისიონერებს გამორჩენიათ მხედველობიდან, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ათეული წლები მოღვაწეობდნენ. თემურლენგის შემოსევების დროინდელ სპარსულ წყაროებში კი დასავლეთ საქართველოში „არაქართველი მოსახლეობის ყოფნისა და არსებობის არავითარი კვალი არ ჩანს“ (კ. ტაბატაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X–XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით. იხ. წიგნი: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ.248ძ.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ გარკვეული რაოდენობით მეზობელი, მაგრამ არა ჩრდილოეთ კავკასიელი, ერის წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ.

საქართველომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აღმოსავლეთში ქრისტიანობის შენარჩუნებაში. ამას უცხოელი მეცნიერებიც აღიარებენ. გერმანელი მეცნიერი კ. კოხი, რომელმაც 1836 წელს იმოგზაურა საქართველოში, აღნიშნავდა: „როდესაც ირგვლივ ბერძნები და მცირე აზიელები თანდათან ისლამის რჯულს იღებდნენ, ქართველები და სომხები (ნაკლებადძ, თავიანთი მამაპაპური რწმენის ერთგულნი რჩებოდნენ. აღმოსავლეთში ქრისტიანობა სრული განადგურებისაგან მათ გადაარჩინეს“ (კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბ., 1981, გვ. 171-172ძ. სპარსელი ისტორიკოსების ცნობით, თემურლენგი დიდ გაკვირვებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ საქართველოში მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში როგორ შემორჩა ქრისტიანული სარწმუნოება. იგი იქადნიდა, რომ უსათუოდ გამოასწორებდა წინაპართა მიერ დაშვებულ ამ შეცდომას და ბოლოს მოუღებდა ამ უმსგავსოებას (კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 249ძ. თემურლენგმა შეძლო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების, მათ შორის, ოსების გამუსულმანება.

მტრის გამუდმებული შემოსევების შედეგად საქართველო დაიშალა სამეფოებად და სამთავროებად. ამ პერიოდში რუსეთი საგრძნობლად ავიწროებს ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მოსახლეობას, მათ შორის ოსებს, ხოლო ყაბარდოელებმა ოსები საბოლოოდ ჩაკეტეს მთებში. ჩრდილოეთ კავკასიელებს მეტად მძიმე პირობები შეექმნათ არსებობისათვის. თანდათანობით ხდება მათი გადმოსახლება საქართველოში – კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე. მე-16 საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში ასე ჩნდებიან კახეთში – ლეკები, შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში – ოსები და აფხაზეთში – აფსუები. ცალკეულ სამეფოებად დაშლილ საქართველოს უკვე არ შესწევს ძალა თავისი ქვეყნის ტერიტორია გაანთავისუფლოს მომხდურებისაგან. თავდაპირველად შიდა ქართლის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის ნაწილში ოსები სახლდებიან ხიზნებად, ქართველი გლეხების გვერდით. შემდეგ, ჯერ ძალის გამოყენებით, მერე და მერე კი შიდა ქართლის ტერიტორიაზე მტრებთან გამუდმებულ ბრძოლებში ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის ამოწყდომის გამო, ოსები, ჩრდილოეთიდან გადმოსულ თავიანთი თანამოძმეების ახალ ნაკადებთან ერთად, თანდათანობით მოიწევენ შიდა ქართლის ბარის ტერიტორიაზე და იკავებენ ქართველთა ნასახლარებს ძირითადად ქართველი თავადების – ქსნის ერისთავების, მაჩაბლების, არაგვისპირელების, ამილახვრებისა და ციციშვილების კუთვნილ მამულებში როგორც ხიზნები. ოს მეცნიერს, პროფესორ გ. თოგოშვილს დაწვრილებით აქვს განხილული ოსების ჩამოსახლების საკითხი შიდა ქართლში XVII–XVIII საუკუნეებში. მას მოტანილი აქვს დოკუმენტური მასალა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობენ ფეოდალები მტრის შემოსევებისა და შინაფეოდალური ბრძოლების შედეგად შიდა ქართლის დაცარიელებული სოფლები კვლავ დაასახლონ (გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV–XVIII სს. თბ., 1969, გვ. 165-224ძ. და ოსები თავის დამოკიდებულებაში მოაქციონ. მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩნდება ტერმინი „სამხრეთელი ოსი“, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევარში – „სამხრეთი ოსეთი“. ამ ტერმინების გაჩენა, რუსული იმპერიული ძალების დიდ მცდელობასთან ერთად, იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ შიდა ქართლს ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედის გადაღმა უშუალოდ ესაზღვრებოდა ისტორიული ოსეთი, საკვლევი პერიოდისათვის – თაგაურის, ქურთათის, ალაგირისა და დიგორის ოსური თემები. ცხადია, ასეთ ვითარებას რომ არ ჰქონოდა ადგილი და ოსეთი უშუალოდ საქართველოს მეზობელი არ ყოფილიყო, მაშინ გაცილებით მეტი რაოდენობითაც რომ ჩამოსახლებულიყვნენ ოსები საქართველოში, მაინც არასოდეს გაჩნდებოდა აღნიშნული ტერმინები და არც მათი ავტონომიის შექმნის საკითხი დაისმებოდა ცენტრალურ საქართველოში, ისტორიულად და კულტურულად ქართულ მიწა-წყალზე, რაც რუსული იმპერიული ძალებით იყო ნაკარნახები. ოსებმა დაიწყეს ბრძოლა ქართული ტერიტორიების მისაკუთრებისათვის. ეს პროცესი საბოლოოდ შიდა ქართლის, ანუ ადრინდელი ზენა სოფლის ტერიტორიაზე 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით დასრულდა.



**ანზორ თოთაძე**

**(გაგრძელება იქნება)**

**რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან**

# უკრაინა სტალინის პოლიტიკაში

**სვიატოსლავ როგასი**

## ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდება

**სანამ ოპოზიცია არსებობდა, სტალინი იძულებული იყო მიემართა მანიპულაციისთვის. ეს სხვადასხვა ვარიაციით გრძელდებოდა მისი სიცოცხლის ბოლომდე. უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, ანასტას მიქოიანის ვაჟმა სტეფანემ შენიშნა: სტალინისთვის არსებობდა ორი საფრთხოებლა — უკრაინული ნაციონალიზმი და ლენინგრადის ოპოზიცია.**

**მართალია, მოსკოვთან და ჩრდილოეთ დედაქალაქთან შედარებით უკრაინა პროვინცია იყო, მაგრამ ის პროვინცია, ურომლისოდაც სახელმწიფო ვერ იარსებებდა.**

**1926 წელს უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომლის გენერალური მდივანიც იმ დროისთვის ლ. მ. კაგანოვიჩი იყო, ხორციელდებოდა „უკრაინიზაციის პოლიტიკა“. ამის გამომწვევი მიზეზი სულ ცოტა ორი მაინც იყო:**

პირველი — უკრაინული ნაციონალიზმის არსებობა, რომელიც ეფუძნებოდა ზაპოროჟიელი კაზაკობის „პირველყოფილი დემოკრატიის“ ისტორიულ ხსოვნას, კიევის საუნივერსიტეტო ინტელიგენციის საგანმანათლებლო საქმიანობას და ერობების და კოოპერაციების გამოცდილებას. ამას უნდა დავუმატოთ ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის, მართალია წარუმატებელი, მაგრამ მაინც გარკვეული გამოცდილება და პეტლიურას და მახნოს სამხედრო პრაქტიკა.

მეორე — უკრაინის ეკონომიკურმა განვითარებამ მასში შექმნა ეროვნული სურათის ორი დონე. სამრეწველო რეგიონები ძირითადად დასახლებული იყო რუსებით, სასოფლო კი — უკრაინელებით. სამოქალაქო ომის დროს ამ რეგიონების საზღვარზე მოხდა განხეთქილება, რომელიც გაფორმდა დონეცკ-კრივოიროგის რესპუბლიკის შექმნით, თუმცა მას დიდი ხნის არსებობა არ ეწერა.

ამას უნდა დაემატოს პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის გენერალური შტაბის გეგმებიც, რომელსაც სურდა რუსეთის იმპერიის დაშლა პატარ-პატარა ნაწილებად, და ამ გეგმაში უკრაინას პირველი ადგილი ეკავა.

ასე რომ, უკრაინის თემაში სტალინი გადააწყდა პრობლემას, რომელსაც ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ისტორიაში, კიევის რუსეთის თუ არა, ბოგდან ხმელნიცკის ომების დროიდან მაინც.

უკრაინის საქმეებში ფაქტობრივად არ ყოფილა განსხვავება საბჭოურ და ცარიზმის დროინდელ სახელმწიფო პოლიტიკაში, რადგან სტალინმა გამოიყენა ალექსი მიხეილის ძის გამოცდილება, რომელმაც ხმელნიცკისთან პერეიასლავის ხელშეკრულების დადების შემდეგ, გადადგა რადიკალური ნაბიჯი — გადააკეთა საეკლესიო წიგნები (მათი მოსკოვური რედაქცია კიევურით შეიცვალა); ყოველივე ამას კი მოგვიანებით მოჰყვა კიდეც პატრიარქ ნიკონის რეფორმა, ანუ მოსკოვის მთავრობა, პოლიტიკური და სახელმწიფო მიზნებიდან გამომდინარე, უკრაინის პოლიტიკური კლასის მხარეს დადგა.

მაგრამ 1920 წელს, მთელი მისი გარეგნული მიმზიდველობის მიუხედავად, „უკრაინიზაციამ“ გამოიწვია ახალი პრობლემები, გაამწვავა რა კონკურენცია რუს და უკრაინელ პოლიტიკოსებს შორის. თანაც, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დიდი გალიზიანება გამოიწვია იმან, რომ უკრაინული ენა თავს მოახვიეს სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს და სახელმწიფო მართვის ორგანოებს.

1927 წელს სკოლების 80 პროცენტი გადავიდა უკრაინულ ენაზე, მოხდა მთელი საქმის წარმოების ორი მესამედის უკრაინიზაცია, მთლიანად უკრაინულ ენაზე მიმდინარეობდა რადიომაუწყებლობა და კინოფილმების გამოშვება (აღსანიშნავია, რომ უკრაინაში განხორციელდა უდიდესი კულტურული სამუშაო, მოხერხდა მოსახლეობაში მასობრივი უწიგნურობის დაძლევა. რესპუბლიკის ეკონომიკა იღებდა საკავშირო ბიუჯეტის 50 პროცენტს).

გაირკვა, რომ უკრაინული ენის ასეთ ხელოვნურ მხარდაჭერას იწონებდნენ მხოლოდ ნაციონალისტები, რომლებიც, პრინციპში, არაკონსტრუქციულად იყვნენ განწყობილნი. აშკარა გახდა, რომ ეს პრობლემა სწრაფად ვერ გადაიჭრებოდა.

საქმე ისე შორს წავიდა, რომ სტალინთან შესახვედრად კიევიდან ჩამოვიდა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი შუმსკი, რომელიც კაგანოვიჩს უჩიოდა ერთპიროვნული ხელმძღვანელობის მეთოდებს და „უკრაინიზაციის“ პროცესში მათი არასაკმარისი აქტიურობის გამო, შუმსკის წინადადებით, რესპუბლიკაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ უკრაინელები უნდა დაენიშნათ (შუმსკის, ალბათ, დაავიწყდა ან საერთოდ არ ჰქონდა წაკითხული სტალინის ნაშრომი რუსული კულტურის ლიდერის როლის შესახებ). საბოლოო ანგარიშით, გენერალურმა მდივანმა კაგანოვიჩს და უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ძალზე ფრთხილად გააკრიტიკა ზედმეტი აჩქარება „უკრაინიზაციის“ პოლიტიკის საქმეში.

**„ჯერ ერთი, — წერდა სტალინი, — მას ვერ გაურჩევია ჩვენი პარტიული და სხვა აპარატების უკრაინიზაცია პროლეტარიატის უკრაინიზაციისგან. უკრაინიზაცია შესაძლებელია და აუცილებელიცაა, მაგრამ, ამასთან უნდა დავიცვათ საჭირო ტემპი, ჩვენი ის პარტიული, სახელმწიფო და სხვა აპარატები, რომლებიც მოსახლეობის სამსახურში დგანან. მაგრამ დაუშვებელია პროლეტარიატის ზემოდან უკრაინიზება. არ შეიძლება რუს მუშათა მასები ვაიძულოთ, თქვან უარი რუსულ ენასა და კულტურაზე და თავიანთ კულტურად და ენად აღიარონ უკრაინული. ეს ეწინააღმდეგება ეროვნებათა თავისუფალი განვითარების პრინციპს. ეს იქნებოდა არა ეროვნული თავისუფლება, არამედ ეროვნული ჩაგვრის თავისებური ფორმა. უეჭველია, რომ მოხდა უკრაინის პროლეტარიატის შემადგენლობის უკრაინიზაცია, ისევე როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ლატვიასა და უნგრეთში, სადაც მას თავის დროზე გერმანული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ თანდათანობით გახდა ლატვიური და მადიარული. ამ ხანგრძლივი, სტიქიური, ბუნებრივი პროცესის ზემოდან უკრაინიზაციის მცდელობით შეცვლა ისეთი უტოპიური და მავნებლური პოლიტიკის განხორციელებას ნიშნავს, რომელიც უკრაინის არაუკრაინელი პროლეტარიატთა ფენაში ანტიუკრაინულ შოვინიზმს გააღვივებს. ჩემი აზრით, შუმსკის არა აქვს სწორად შეგნებული უკრაინიზაცია და არ ითვალისწინებს ამ საფრთხეს.**

**მეორეც. შუმსკი, მართალია, სწორად უსვამს ხაზს უკრაინული კულტურისა და საზოგადოებრიობისთვის ახალი მოძრაობის დადებით ხასიათს, მაგრამ ვერ ხედავს ამ მოძრაობის „ჩრდილოვან მხარეებს“. შუმსკი ვერ ამჩნევს, რომ უკრაინაში, ადგილობრივი კომუნისტური კადრების სისუსტის პირობებში, ამ მოძრაობას, რომელსაც მთლიანად მართავს არაკომუნისტი-ინტელიგენცია, შეიძლება ზოგან მიეცეს საერთო-საბჭოური კულტურისა და საზოგადოებრიობისგან უკრაინული კულტურისა და საზოგადოებრიობის გაუცხოების, „მოსკოვის“, რუსების, რუსული კულტურის და მისი უდიდესი მიღწევის — ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი. მე არ ვამტკიცებ, თითქოს, ასეთი საშიშროება სულ უფრო რეალური ხდება უკრაინაში. მსურს მხოლოდ ვთქვა, რომ ასეთი დეფექტებისგან ვერ განთავისუფლებულა თვით ზოგიერთი უკრაინელი კომუნისტიც კი. ვგულისხმობ ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, როგორიც არის ცნობილი კომუნისტის ხვილევოის სტატიას, რომელიც უკრაინულ პრესაში გამოქვეყნდა. ხვილევოის მოთხოვნები უკრაინაში „პროლეტარიატის სასწრაფო დერუსიფიკაციის“ შესახებ, მისი მოსაზრება, რომ „უკრაინული პოეზია რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაექცეს რუსულ ლიტერატურას, მის სტილს“, ხვილევოის განცხადება, რომ „პროლეტარიატის იდეები ჩვენთვის მოსკოვური ხელოვნების გარეშეც არის ცნობილი“, მისი გატაცება უკრაინის „ახალგაზრდა“ ინტელიგენციით, როგორც რაღაც მესიის როლის მატარებლით, მისი სასაცილო და არამარქსისტული მცდელობა ჩამოაშოროს კულტურა პოლიტიკას — ყოველივე ეს და უკრაინელი კომუნისტის კიდევ მრავალი სხვა გამონათქვამი ახლა, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურია. მაშინ როცა, დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი აღტაცებით შეჰყურებს დროშას, რომელიც მოსკოვში ფრიალებს, უკრაინელ კომუნისტ ხვილევოის სხვა ვერაფერი უთქვამს მოსკოვის სასარგებლოდ გარდა იმისა, რომ მოუწოდოს უკრაინელ მოღვაწეებს „რაც შეიძლება სწრაფად“ გაექცეს „მოსკოვს“. და ეს არის ინტერნაციონალიზმი?**

**რა უნდა ვთქვათ არაკომუნისტური ბანაკის სხვა უკრაინელ ინტელიგენტებზე, თუ კომუნისტები ჩვენს საბჭოურ პრესაში იწყებენ ლაპარაკს და წერას ხვილევოის ენით? შუმსკის ვერ შეუგნია, რომ უკრაინული კულტურისთვის მოძრაობის გაძლოლა შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტთა რიგებში ხვილევოის მსგავს უკიდურესობებთან ბრძოლის გზით. მხოლოდ ასეთი უკიდურესობების წინააღმდეგ ბრძოლით შეიძლება ვაქციოთ აღმავლობის გზაზე მყოფი უკრაინული კულტურა და საზოგადოებრიობა საბჭოთა კულტურად და საზოგადოებრიობად“,** — წერდა **სტალინი.**



გენერალური მდივნისთვის ცნება „საბჭოთა“ „საერთო-სახელმწიფოებრივის“ სინონიმი იყო.

კომუნისტმა მწერალმა მ. ხვილევოიმ წამოაყენა ლოზუნგი „შორს მოსკოვისგან!“ იგი მოითხოვდა, რომ უკრაინაში ბრმად არ გადაეღოთ რუსული ლიტერატურის მიღწევები და დაეცვათ ეროვნული ტრადიციები.

ამ მოწოდების, ერთი შეხედვით, არაპროფესიული შეზღუდულობის მიუხედავად, მის უკან, სინამდვილეში, იდგა უკრაინული ინტელიგენციის ნაწილის მიერ თავისი პროვინციალურობის კომპლექსის დაძლევის მცდელობის არაერთსაუკუნოვანი პრობლემა.

„შორს მოსკოვისგან“? მაგრამ საით — თურქეთში, გერმანიაში თუ პოლონეთში? ან იქნებ, ეცადათ „უკრაინის გლობუსის“ შექმნა? „შორს“ — ისტორიულად და ფაქტობრივად ნიშნავდა მხოლოდ მოძრაობას პოლონეთის და კათოლიკური ეკლესიის მიმართულებით. ეს ასევე ნიშნავდა უკრაინაში ანტისაბჭოურობისთვის ეთნიკური ხასიათის მიცემას, რაც შეიძლება განმარტებული ყოფილიყო მხოლოდ როგორც ცენტრალური ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრა და სახელმწიფოს ღალატი.

თანაც, „უკრაინიზაცია“ აღიზიანებდა და შეურაცხყოფდა უკრაინელთა იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ რუსული საზოგადოების ბირთვს, რომლებმაც შეიტანეს უდიდესი წვლილი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო და კულტურულ მშენებლობაში და რუსებთან ერთად იცავდნენ ერთიან მართლმადიდებლურ ტრადიციებს (განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ევროპასთან უკრაინის კულტურული დაახლოება აღკვეთა მართლმადიდებელ-კაზაკთა აჯანყებამ ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით. იგი მოხდა ბრესტის უნიის მიღებისთანავე, რომელმაც მისცა კიდეც სანქცია პოლონურ და კათოლიკურ კოლონიზაციას კიევის მიმართულებით).

ამიტომ შუმსკის მიღებისას (ნომენკლატურული თვალსაზრისით ამ ფიგურას არ შეიძლება ჰქონოდა გენერალურ მდივანთან შეხვედრის იმედი რაიმე საგანგებო შემთხვევის გარეშე) სტალინი, ალბათ, აუცილებლად გაიხსენებდა ეროვნულ საკითხში კადეტთა პარტიის პროგრამასაც: რუსეთის დაყოფას ეროვნული პრინციპით, საბოლოო ანგარიშით, მოჰყვებოდა „სუვერენულ სახელმწიფოთა თავისუფალი კავშირის“ შექმნა, შემდეგ კი — „რუსეთის დაშლა, სახელმწიფოს მთლიანობის ნგრევა და დამოუკიდებელი ეროვნული სუვერენული სახელმწიფოების კავშირის შექმნა“.

20-იანი წლების დამლევს რუსეთში არსებობდა ხელისუფლების 2930 ეროვნული-სასოფლო ორგანო, 110 ეროვნული თემი-ვოლოსტი, 33 ეროვნული რაიონი და ორი ეროვნული ოლქი. ეროვნულ წარმონაქმნთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ასევე რუსული ოლქები და ეროვნული რესპუბლიკები.

„უკრაინიზაციის“ პერიოდში სტალინმა იგრძნო, რომ ვერ შეძლებდა სეპარატიზმის პრობლემის სწრაფად გადაჭრას, და, როგორც იტყვიან, დაამუხრუჭა.

სულ მალე ხარკოვში გაიმართა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, და კაგანოვიჩმა აღნიშნა, რომ „ფრთხილად უნდა მივუდგეთ რუსი მუშების უკრაინიზაციას და უკრაინელი მუშებით მრეწველობის ბუნებრივ გაჯერებას“, აგრეთვე „გადახრებს ეროვნულ საკითხებში“.

**გარკვეულწილად, სწორია ს. მიქოიანის სიტყვები „უკრაინული ნაციონალიზმის საფრთხობელის“ შესახებ, მაგრამ საქმე მარტო უკრაინაში არ არის. ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სტალინი ქვეყნის ერთიანობის უზრუნველყოფას მიიჩნევდა. წლების შემდეგ იგი სულ უფრო მკაცრად ადევნებს თვალყურს საფრთხეს, რომელიც იქმნებოდა ამ მხრიდან, და ასე იქნება მანამ, სანამ ამას არ გააფორმებს მსგავსი დანაშაულობებისათვის სიკვდილით დასჯის შესახებ ბრძანებულების სახით.**

*„ЛГ“.*

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 162.**

**წინასწარმეტყველი**

# ხელისუფლების ასტროლოგები ნოსტრადამუსის საიდუმლოებებს იყენებენ

**ასტროლოგები ყოველთვის იყვნენ დაკავშირებული ხელისუფლებასთან. ხელისუფლება ან სდევნიდა მათ, ან თავისი მიზნებისთვის იყენებდა. პოლიტიკოსების და ვარსკვლავთმრიცხველების ურთიერთობის შესახებ გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტს ესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასტროლოგიის ისტორიის სპეციალისტი, ნოსტრადამუსისა და მისი წინასწარმეტყველების შესახებ ოთხი წიგნის ავტორი ალექსეი პენზენსკი.**

– მე ვიცი ერთი ისტორია ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების შესახებ, რომელსაც თითქოს უთქვამს, რომ საბჭოთა ხელისუფლება 73 წელს და 7 თვეს იარსებებდა. წერილის – დაუკვირდით, არა წინასწარმეტყველების, არამედ სწორედ საფრანგეთის მეფის ანრის სახელზე გაგზავნილი წერილის კონტექსტიდან ირკვევა, რომ ეს თურმე მაშინდელ საფრანგეთს ეხებოდა. სწორედ 90-იანი წლების მიჯნაზე დაიწყეს სსრ კავშირში ნოსტრადამუსის და მისი წინასწარმეტყველების შესწავლა. მათ მიუმატეს 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერს 73 წელი და 7 თვე და მიიღეს 1991 წლის ივლისი. იმ დროს გაიმართა კენჭისყრა რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის შესახებ, რომელიც მიშელ ნოსტრადამუსის ძველი „წინასწარმეტყველების“ მიხედვით დანიშნეს.

**– ვისი გადაწყვეტილება იყო ეს?**

– როცა ეს მიამბეს, კონკრეტული პირები არ დაუსახელებიათ. ალბათ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს იმათ, ვიზეც ეს მაშინ იყო დამოკიდებული. მთავარია, რომ ელცინი ამას დათანხმდა. სწორედ 1999 წლის დეკემბერში პირველად დაასახელა რუსეთის პრეზიდენტმა თავისი მემკვიდრე. მანამდე დიდი კამპანია გაიმართა. ამ წინასწარმეტყველების შესახებ რუსეთში უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე დასავლეთში. ჩემი აზრით, საქმე ეხება ნოსტრადამუსის სახელით სპეკულირებას ეფექტის გაძლიერების მიზნით: დაე, ხალხმა დაინახოს, რომ ყველაფერი უკვე ნაწინასწარმეტყველები იყო. ამით მხოლოდ გაიზრდება ინტერესი ნოსტრადამუსის ნაშრომების მიმართ. მაგრამ ადამიანებს არ სურთ ირწმუნონ მის წინასწარმეტყველებათა სხვა ახსნა-განმარტებები, თითქოს შუა საუკუნეებში მცხოვრები ამ ფრანგის წინასწარმეტყველება მათ უკეთესი ცხოვრების იმედს უსახავდა.

**– მოდით, დავიწყოთ თვით ამ საკითხის სათავეებით!**

– ასტროლოგიის სამშობლოდ ითვლება ძველი აღმოსავლეთი. ვარსკვლავთმრიცხველები დიდი პატივით სარგებლობდნენ ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში, სადაც არსებობდა ტაძრის ასტროლოგია.

**– რა ხდებოდა დამწერლობის გამოგონებამდე, ან პრიმიტიულ ტომებში?**

– იქ შეინიშნება ხაზი ასტროლარიიდან ასტროლოგიისკენ. ასტროლარია არის ციური მნათობების თაყვანისცემა. ადამიანებმა შენიშნეს, რომ ზოგი მნათობი ერთ ადგილზე დგას, ზოგი კი მოძრაობს რთული ტრაექტორიით. რა თქმა უნდა, ეს უწინარეს ყოვლისა იყო მზე და მთვარე, რომლებსაც უძველესი ადამიანები ცოცხალ ღმერთებს უწოდებდნენ, მიაწერდნენ რაღაც თვისებებს, ცდილობდნენ მათთან კარგი ურთიერთობის ქონას და ა. შ. ტრადიციულ მეცნიერებას მიაჩნია, რომ ასტროლოგია არის ასტროლარის შემდეგ გადადგმული ნაბიჯი, როცა ციურ მნათობებს აღარ ეთაყვანებიან, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ისინი ახდენენ გავლენას დედამიწაზე მიმდინარე მოვლენებზე. ასტროლოგია, პრინციპში, შეუძლებელია დამწერლობის გარეშე, რადგან პლანეტების მოძრაობის გამოთვლას, რუკების შექმნას საკმაოდ სერიოზული ცოდნა სჭირდება.

თვით სიტყვა „ჰოროსკოპი“ ბერძნულია და „დროის მაჩვენებელს“ ნიშნავს. ევროპაში პირველ ჰოროსკოპებს უკვე ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეების მიჯნაზე ადგენდნენ. ასტროლოგია ძალზე პოპულარული იყო რომის იმპერიაში. იმპერატორ დომიციანეს, რომელიც ტახტზე ავიდა ახალი წელთაღრიცხვის 81 წელს, თავისი დაღუპვის წინ უთქვამს: „მთვარე სისხლისფრად შეიღებება მერწყულის ნიშანში, და მოხდება რაღაც ისეთი, რაზეც მთელი მსოფლიო ალაპარაკდება“.

როცა იმპერატორმა ჰკითხა ასტროლოგ ასკლეტარიონს, თუ როგორ მოკვდებოდა თვითონ ვარსკვლავთმრიცხველი, ასკლეტარიონმა უპასუხა, რომ მას სულ მალე დაგლეჯდნენ ძაღლები. წინასწარმეტყველის „ტყუილში გამოჭერის“ მიზნით, იმპერატორმა ბრძანა მისი მოკვლა და დიდი პატივით დაკრძალვა.

„ასეც მოიქცნენ, – წერს ისტორიკოსი, – მაგრამ, საიდანღაც მოულოდნელად ამოვარდა ქარიშხალი, რომელმაც გაფანტა კოცონი, და ვარსკვლავთმრიცხველის ნახევრადდამწვარი გვამი ძაღლებმა დაგლიჯეს“.

დომიციანესგან განსხვავებით, იმპერატორმა ტიბერიუსმა რომიდან განდევნა ასტროლოგები. მაგრამ ეს იმიტომ კი არ გაუკეთებია, რომ ისინი თაღლითებად მიაჩნდა. მიზეზი ძალზე პროზაული იყო – ტიბერიუსს ეშინოდა, რომ ასტროლოგები ეტყოდნენ მისი გარდაცვალების დღეს. სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა ყველას, ვინც ეცდებოდა ვარსკვლავთმრიცხველებთან იმპერატორის დაბადების თარიღის დაზუსტებას, რადგან თუ იცი ადამიანის დაბადების დრო და საათი, შესაძლებელია ჰოროსკოპის შედგენა. ჰოროსკოპით კი, როგორც მაშინ მიაჩნდათ, შეიძლებოდა მისი გარდაცვალების თარიღის დადგენაც.

**– არაბულმა მეცნიერებამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპელთა მსოფლმხედველობაზე. ალბათ, ამ მხრივ არც ასტროლოგია იყო გამონაკლისი.**

– არაბულმა ასტროლოგიამ, რომელიც ძალზე განვითარდა IX-X საუკუნეებში, XII საუკუნიდან ევროპაშიც შემოაღწია, სადაც ასტროლოგია გავლენით სარგებლობდა XVII საუკუნის შუა ხანებამდე.

შუა საუკუნეების და აღორძინების ეპოქის მიჯნაზე ყველაზე ცნობილი ასტოლოგი, რა თქმა უნდა, ნოსტრადამუსი იყო. ევროპელი მონარქების კარზე სავალდებულო იყო შტატიანი ასტროლოგის ყოლა. როცა გამოჩნდნენ ენციკლოპედისტები და ვოლტერი, მათ დაიწყეს ასტროლოგიის აბუჩად აგდება. თუმცა, ასტროლოგია შეცვალა კიდევ უფრო უხეშმა მისტიციზმმა, რომლის „წყალობითაც“ შესაძლებელი გახდა ადამიანის თავში ათასი სისულელის ჩადება.

**– რა არის ცნობილი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაახლოებული ასტროლოგების შესახებ?**

– ასტროლოგიით გატაცებული იყვნენ ბელორუსი და რუსი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეები, მწერლები. მქადაგებელი სიმონ პოლოცკი (ერისკაცობაში – სამუილ ემელიანეს ძე პეტროვსკი-სიტნიანოვიჩიძ (1629-1680ძ, რომელმაც შექმნა სტამბა კრემლში და ითვლება რუსეთში სილაბიკური პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ლეგენდის მიხედვით, მან თითქოს იწინასწარმეტყველა პეტრე დიდის დაბადება. ბულევმა, იგივე ნემჩინმა, თითქოს დაგვიტოვა წინასწარმეტყველებათა წიგნი, რაც არ დასტურდება.

**– რას იტყოდით შედარებით ახლო პერიოდზე?**

– ნაპოლეონი მისტიკურად განწყობილ ადამიანად ითვლებოდა, მაგრამ ასტროლოგიის მიმართ სრულიად გულგრილი იყო. ენციკლოპედისტების, დიდროს და სხვა ფრანგი ფილოსოფოსების ამ მოწაფეს არ სწამდა, რომ ციური სხეულები განსაზღვრავენ სიცოცხლეს დედამიწაზე.

XX საუკუნეში მოხდა საგულისხმო მოვლენა – აღორძინდა ასტროლოგიის პოპულარობა. ამასთან დაკავშირებით მრავალ საინტერესო და საკამათო ისტორიას ჰყვებიან ჰიტლერის შესახებ. ზოგიერთი უპასუხისმგებლო ავტორი ამტკიცებდა, რომ ფიურერი ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებლად მიდიოდა კონსულტაციისთვის პირად ასტროლოგთან. არადა ჰიტლერი, ისევე როგორც ყველა პოლიტიკოსი, უწინარეს ყოვლისა, პრაგმატიკოსი იყო.

ჰიტლერის რეჟიმთან თანამშრომლობდა ასტროლოგი კარლ ერნესტ კრაფტი. მისი ბედი ფრიად საინტერესოა. კრაფტმა ერთხელ იწინასწარმეტყველა ჰიტლერზე თავდასხმა და, ამ უკანასკნელის გაფრთხილების მიზნით, გაუგზავნა წერილი. მაგრამ, ბარათი დაიკარგა ფიურერის კანცელარიის ლაბირინთებში და დროულად ვერ მიაღწია ადრესატამდე.

1939 წლის 8 ნოემბერი, მიუნხენის ლუდხანა „ბუირგერბროიკელერი“. ჰიტლერმა 21 საათსა და 07 წუთზე დაასრულა გამოსვლა, რომელიც ჩვეულებრივზე ნახევარი საათით მოკლე იყო. წინათ ფიურერი ყოველთვის გამონახავდა დროს ვეტერანებთან კათხა ლუდის დასალევად. ამჯერად კი მან გადაწყვიტა დაეტოვებინა დარბაზი. 13 წუთის შემდეგ, როცა ავტომანქანების კორტეჟმა ჩაუარა რატუშს მარიენპლაცის მოედანზე და კაუფინგერშტრასეზე შეუხვია, ლუდხანაში მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა. წაიქცა საყრდენი სვეტი და ჩამოინგრა გალერეა, დაიღუპა რვა და დასახიჩრდა 6-მდე საპატიო სტუმარი. ამ საქმესთან დაკავშირებით გესტაპომ მოგვიანებით დაჰკითხა კარლ ერნესტ კრაფტი, რადგან ეჭვობდა, რომ იგი შეთქმულთა თანამზრახველი იყო.

ასტროლოგიით სერიოზულად იყო გატაცებული „ეს-ესის“ რაიხსფიურერი ჰენრიხ ჰიმლერიც. ნაციზმის მთავარ იდეოლოგს ალფრედ როზენბერგს კი მიაჩნდა, რომ ასტროლოგია „ებრაული მეცნიერება“ იყო, რადგან მის შემქმნელად ითვლება ბიბლიური პატრიარქი აბრაამი.

**– საბჭოური პერიოდის ასტროლოგებზე რას იტყოდით?**



– სტალინი არ სარგებლობდა ასტროლოგთა დახმარებით, ბრეჟნევი კი ხშირად მიმართავდა მათ. სერგეი ვრონსკი – ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანთა შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირში ნახევრად ოფიციალურად მისდევდნენ ასტროლოგიას (მას კოსმობიორიტმოლოგიას უწოდებდნენძ, ამბობდა, რომ უმაღლესი თანამდებობის პირებს ხშირად მიუმართავთ მისთვის კითხვით, თუ როდის გარდაიცვლებოდა მაო ძედუნი. ვრონსკის ნათქვამის შემოწმება შეუძლებელია: მართლა ოფიციალური ხასიათი ჰქონდა ამ მიმართვას, თუ ასეთი კითხვა დაუსვეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებთან ერთ-ერთი ქეიფის დროს. თანაც, კითხვა არაკორექტულად იყო დასმული – მთავარი ხომ მაშინ ჩინეთის პოლიტიკა იყო!

რაც შეეხება ჩვენს თანამედროვე პოლიტიკოსებს, ისინი პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: პრიმიტიულები, რომლებიც ვერ ერკვევიან ნიუანსებში და არ იციან, თუ როგორ შეიძლება ასტროლოგიის გამოყენება მათთვის სასარგებლოდ; და მიმნდობები, რომლებიც ყველას ენდობიან, არადა ცუდია, როცა პოლიტიკოსები ენდობიან დაზვერვას, ფუტუროლოგებს, სოციოლოგიურ გამოკითხვებს და ა. შ. პოლიტიკოსი არავის არ უნდა ენდობოდეს, თვით საკუთარ თავსაც კი.

**– რით განსხვავდება თანამედროვე ასტროლოგია ნოსტრადამუსის დროინდელისგან?**

– მაშინ ასტროლოგია უფრო ფატალური იყო. ითვლებოდა, რომ შეიძლებოდა ამა თუ იმ ადამიანის გარდაცვალების წინასწარმეტყველება. ტექნიკური თვალსაზრისით იგი ნაკლებად რთული იყო. ახლა გამოჩნდა მრავალი დამატებითი მეთოდიკა. ასტროლოგიაც შეიცვალა, უფრო გართულდა.

არადა, კაცმა რომ თქვას, როგორც ცოდნის სისტემა, როგორც სამყაროს შეცნობის საშუალება, ასტროლოგია ძალზე მოძველდა – როცა იცვლება მიზნები, შემეცნების საშუალებებიც უნდა შეიცვალოს. რისი გაგება შეიძლება დღეს იმის მეშვეობით, რაც სამი ათასი წლის წინათ შექმნეს ადამიანებმა, რომლებსაც თვალითაც არ უნახავთ, თუნდაც, სარეცხი მანქანა?

**– თუ აადვილებს ასტროლოგია მასების შეგნებით მანიპულირებას?**

– ამის მაგალითიც მრავლადაა. მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ტერიტორიაზე ჰიტლერელებმა ჩამოყარეს ფურცლები ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებით, რომლებშიც ეწერა, რომ ვერმახტი აუცილებლად გაიმარჯვებდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკელმა ისტორიკოსმა ჰერცშტაინმა მესამე რაიხში პროპაგანდის შესახებ წიგნს უწოდა „ომი, რომელიც ჰიტლერმა მოიგო“. მთავარია, რომ პროპაგანდამ წარმატებამდე მიგვიყვანოს, – ხშირად იმეორებდა ამ ფრაზას ფაშისტური გერმანიის მთავარი იდეოლოგი, 36 წლის იოზეფ გებელსი.

ПРАВДА



**ინფორმაცია**

## სადაზღვევო პოლისები დახიეს

**სამედიცინო დაზღვევის მუნიციპალური პროგრამით უკმაყოფილო „ვეტერანთა დარბაზის“ წარმომადგენლებმა გუშინ მერიის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს.**

**როგორც მისმა მონაწილეებმა განაცხადეს, იმ პოლისებით, რომელიც მათ მუნიციპალიტეტმა გადასცა, საჭირო წამლების უფასოდ მიღება შეუძლებელია.**

**პროტესტის ნიშნად ვეტერანებმა სადაზღვევო პოლისები დახიეს. აქციის მონაწილეთა განცხადებით, უკეთესი იქნებოდა, პოლისით გათვალისწინებული თანხა ვეტერანთა საავადმყოფოსთვის გადაერიცხათ, სადაც ისინი შესაბამის მკურნალობას გაივლიდნენ.**

**ვეტერანებთან შესახვედრად აქციაზე ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა ქაცარავა მივიდა. როგორც მან აღნიშნა, უმწეო მოქალაქეთა სამედიცინო დაზღვევის პროგრამა საკმაოდ წარმატებული პროექტია. მისივე განცხადებით პოლისით ვეტერანები ვერ გახდებიან სრულიად ჯანმრთელები, თუმცა მათ შესაბამისი მკურნალობა ნამდვილად ჩაუტარდებათ.**

**ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობასთან რამდენიმეწუთიანი საუბრის შემდეგ ვეტერანებმა მერიის მიმდებარე ტერიტორია დატოვეს.**

**ინტერპრესნიუსი**

## აბა, შემოწმება რისი შემოწმებაა?

**საქართველოს კონტროლის პალატამ მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით, დაასრულა 174 რევიზია-შემოწმება, რომელმაც 410 ობიექტი მოიცვა. როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ კონტროლის პალატიდან აცნობეს, ჩატარებული რევიზია-შემოწმებების შედეგად აღმოჩენილია სერიოზული დარღვევები.**

**საქართველოს კონტროლის პალატამ სამართალდამცავ ორგანოებში, სამართლებრივი რეაგირების მიზნით, სულ გადააგზავნა 113 რევიზია-შემოწმების მასალა, ანუ სულ ჩატარებული რევიზია-შემოწმებების 64,94 პროცენტი. მათ შორის, პროკურატურის ორგანოებში გადაგზავნილია – 75; შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში – 25; ფინანსურ პოლიციაში – 13;**

**სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილ მასალებთან დაკავშირებით, ექვსი თვის მონაცემებით, წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს 34 რევიზია-შემოწმების მასალაზე.**

**დღეისათვის მიმდინარეობს 39 რევიზია-შემოწმება 55 ობიექტზე.**

## მშენებლობა სამ თვეში დასრულდება

**მესტიის სამოქალაქო აეროპორტის მშენებლობა, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული ფირმა „ანალ 99“ აწარმოებს, სამ თვეში დასრულდება და 1 სექტემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება. რეკონსტრუქციის შემდეგ აეროპორტი AN-28 ტიპის თვითმფრინავებისა და ნებისმიერი ვერტმფრენის მიღებას შეძლებს.**

**„აეროპორტი სულ მალე ჩაგვბარდება და ფრენები ჩვეული წესით განახლდება. აქამდე კონტრაქტის საფუძველზე დაქირავებული ვერტმფრენი გვემსახურებოდა და მგზავრების გადაყვანას ისე ვახორციელებდით, თუმცა უკრაინული მხარისათვის შეკვეთა უკვე მიცემული გვაქვს და ერთი თვითმფრინავი კონკრეტულად სვანეთზე იმუშავებს. სავარაუდოდ ფრენების სიხშირე გაიზრდება, ხოლო მგზავრობის ღირებულება კი შემცირდება“, – განუცხადა ახალი ამბების სააგენტო ჯი-ეიჩ-ენს მესტიის რაიონის გამგებელმა ნინო ჯაფარიძემ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კაზაკები მზად არიან აფხაზეთში საომრად

**რუსეთისა და საზღვარგარეთის კაზაკთა ჯარების კავშირმა და აფხაზეთის კაზაკებმა სოხუმში მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას „ეკონომიკურ, კულტურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამხედრო სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“. როგორც კაზაკთა ჯარების მთავარმა იდეოლოგმა ვლადიმერ ვორონინმა თქვა, ხელშეკრულებაში ასევე დათქმულია, რომ აფხაზეთში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს, საჭიროების შემთხვევაში, გაუწევენ „ყოველმხრივ დახმარებას“, მათ შორის სამხედროსაც.**

როგორც ცნობილია, ატამანები უკვე კარგა ხანია იმუქრებიან, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ ქართველთა მხრიდან აგრესიის შემთხვევაში, იქ გაგზავნიან კაზაკებს. სხვათა შორის, სადღეისოდ რუსეთის სამხრეთის კაზაკთა ჯარები – დონის, ყუბანის და თერგის კაზაკობა – გადიდებულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი. დონელი ატამანის ნიკოლოზ კოზინეცის თქმით, ომი კაზაკებისთვის ჩვეული საქმეა: ამ ბოლო წლების განმავლობაში ისინი იბრძოდნენ არა მარტო აფხაზეთში, არამედ დნესტრისპირეთსა და იუგოსლავიაშიც.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კაზაკთა პატრიოტიზმის ფაქტორი ყოველთვის როდი არის გადამწყვეტი იმათთვის, ვინც აპირებს სხვის ომში წასვლას და ოჯახის ბედის ანაბარად მიტოვებას.

როგორც ერთ-ერთმა კაზაკმა ვლადიმერ ივანოვიჩმა თქვა, რომელიც თავის დროზე აფხაზეთში იბრძოდა, იგი საომრად წავიდა იმიტომ, რომ ძალზე დატანჯა უმუშევრობამ და უფულობამ. ვლადიმერს ჰქონდა სახლ-კარი, მეურნეობა, მაგრამ მთელი სურსათ-სანოვაგე მხოლოდ ოჯახის გამოსაკვებად თუ ყოფნიდა. ჰოდა, მანაც გადაწყვიტა, წასულიყო ომში, სადაც თავს იგრძნობდა „საჭირო ადამიანად“. თუმცა, შინ დაბრუნების შემდეგ, მის ოჯახს პრობლემები არათუ შეუმცირდა, არამედ მათმა რიცხვმა მოიმატა კიდეც.

არაოფიციალური მონაცემებით, სამხრეთის ფედერალურ ოლქში მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი უმუშევარია. მარტო გასულ წელს როსტოვის ოლქში ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი 9,5 პროცენტით გაიზარდა



და 38,3 ათას შეადგინა, სოფლად მომუშავეთა რიცხვი კი 5, 7 პროცენტით შემცირდა. უმუშევართა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს – 49 პროცენტს – შეადგენენ 14-29 წლის ახალგაზრდები. სინამდვილეში, ოფიციალური სტატისტიკა ბოლომდე არ ამბობს სიმართლეს, რადგან უმუშევართა რიცხვი დონეზე რამდენჯერმე უფრო მეტია. ყველაზე რთული სიტუაცია ამ მხრივ შეიქმნა ნოვოშახტინსკში, ბელა-კალიკვაში, კუიბიშევის, ტარასოვის, ჩერტკოვის და კონსტანტინოვსკის რაიონებში, სადაც კაზაკობის უმრავლესობა ცხოვრობს.

თანაც, რუსეთის სამხრეთ ნაწილში მნიშვნელოვნადაა გამწვავებული სოციალური პრობლემები, ისეთი, როგორიც არის ბავშვთა სიკვდილიანობა, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის დაბალი დონე, დიდია არალეგალური მიგრაცია. შედარებისთვის: თუ რუსეთის ფედერაციის მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 190 ათას რუბლს შეადგენს, სამხრეთი ფედერალურ ოლქში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 100 ათასი რუბლია, რუსეთის სამხრეთის ზოგიერთ რეგიონში კი – უფრო ნაკლებიც.

იმავე როსტოვის ოლქში მცხოვრებთა ნახევარზე მეტი სოფლის მოსახლეობაა. მრავალ მათგანს საკარმიდამო მეურნეობის გარდა სხვა საარსებო წყარო არ გააჩნია. მიზერულ ხელფასზე კი, რომელსაც იღებენ, მაგალითად, ცეცხლფარეშები ან სკოლის დამლაგებლები, ლაპარაკიც არ ღირს.

იქნებ, სოფლად ცხოვრება უკეთესი ყოფილიყო, კაზაკებს ომზე რომ არ ეჭიროთ თვალი, სადაც თავს „საჭირო ადამიანებად“ გრძნობენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კაზაკობას აფხაზეთის ხელისუფლება დიდი სიხარულით არ ელის. ისინი ამტკიცებენ, რომ საკუთარი ძალებით შეძლებენ თავიანთი მიწა-წყლის დაცვას.

**მარია ბონდარენკო**

НЕЗАВИСИМАЯ

22 აგვისტო

# სოხუმი ქართველი ლტოლვილების დაბრუნების წინააღმდეგ ილაშქრებს

**გაერომ პირველად მიავლინა თავისი სახელმწიფო მოხელე – ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარი ანტონიუ გუტერიში საქართველოში, რათა ადგილზე გაცნობოდა იმ პირობებს, რომლებშიც უწევს ცხოვრება აფხაზეთიდან და ოსეთიდან ლტოლვილ დაახლოებით ნახევარ მილიონ ადამიანს. უმაღლესი კომისარი, რომელიც დასავლეთ საქართველოში ჩავიდა, პირდაპირ გაოგნებული დარჩა იმით, თუ რა სივიწროვეში და ელემენტარული საარსებო პირობების გარეშე ცხოვრობენ იძულებით ადგილნაცვალი პირები ზუგდიდის საქალაქო საავადმყოფოს შენობაში.**




„ეს აუტანელი პირობებია“, – განაცხადა გაეროს წარგზავნილმა და აღნიშნა, რომ დაეხმარება ლტოლვილებს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. „ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ ლტოლვილები მშვიდობიანად დაუბრუნდნენ მშობლიურ კერებს“, – თქვა გუტერიშმა. გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის პოზიცია ასეთია: ყველა ადგილნაცვალი პირი უნდა დაუბრუნდეს მშობლიურ კერებს, მაგრამ ეს მხოლო და მხოლოდ ნებაყოფლობით უნდა მოხდეს. შინ დაბრუნებულებს, საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გარდა, უშიშროების გარანტიებიც უნდა ჰქონდეთ, – აღნიშნა ანტონიუ გუტერიშმა.

მაგრამ რეალობა სხვაგვარია. გაეროს კომისართან შეხვედრის შემდეგ, თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქართველი ლტოლვილების დაბრუნების საკითხს აფხაზეთის სხვა რაიონებში, გალის რაიონის გარდა, თვალსაწიერ მომავალში არანაირი პერსპექტივა არ ექნება. „ქართველ ლტოლვილთაგან ვისაც სურდა გალის რაიონში დაბრუნება, უკვე დაბრუნდა. თუ კიდევ არიან მსურველები, საჭიროა მათი რაოდენობის განსაზღვრა. ჩვენ თავის დროზე მივმართეთ გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლეს კომისარს, რომ შეემუშავებინათ ლტოლვილების დაბრუნების გეგმა. გეგმა შეიმუშავეს, ჩვენ იგი მოვიწონეთ, ქართული მხარე კი უარს აცხადებს მის შესრულებაზე“, – თქვა შამბამ. თბილისი ხელს უშლის ლტოლვილების ხელახალ რეგისტრაციას და, საერთოდ, არ სურს მათი დაბრუნება რეგიონში მანამ, სანამ არ აღადგენს თავის იურისდიქციას აფხაზეთზე. „ქართველი ლტოლვილები, ფაქტობრივად, საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური ამბიციების მძევლები არიან“, – მიაჩნია შამბას.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

22 აგვისტო.



# მესაზღვრეები კოდორის ხეობაში მათი ქვედანაყოფების არსებობას უარყოფენ

**ქართველი მესაზღვრეები უარყოფენ თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კოდორის ხეობაში მესაზღვრეთა ქვედანაყოფების რიცხვის გადიდების შესახებ.**

„კოდორის ხეობაში არ არის მესაზღვრეთა არანაირი ქვედანაყოფები. მესაზღვრეთა ყოფნა კოდორის ხეობაში გამორიცხულია, რადგან ხეობა საქართველოს ტერიტორიაა და იქ გადის ადმინისტრაციული საზღვარი აფხაზეთის ტერიტორიასთან“, – განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის პრესცენტრის უფროსმა ლელა მჭედლიძემ.

როგორც მან თქვა, ქართველი მესაზღვრეები იმავე რაოდენობით იცავენ საქართველო-რუსეთის საზღვრის ყაბადო-ბალყარეთის მონაკვეთს.

„საქართველოს სასაზღვრო პოლიცია 2006 წლის 28 ივნისიდან შედის საქართველოს შინაგანი საქმეთა სტრუქტურაში, საომარი მოქმედების შემთხვევაში კი – გადადის უმაღლესი მთავარსარდლის და პრეზიდენტის დაქვემდებარებაში. სასაზღვრო პოლიცია არ შედის ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში“, – განმარტა ლელა მჭედლიძემ, როცა კომენტარი გაუკეთა თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის წარმომადგენლის განცხადებას.

აფხაზთა თავდაცვითი უწყების პრესცენტრის წარმომადგენელი ორშაბათს აღნიშნავდა, რომ ქართული მხარე ზრდის სამხედრო დაჯგუფებას კოდორის ხეობის ზედა ნაწილში, რაც არის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვში 1994 წლის 14 მაისს დადებული საბაზო შეთანხმების დარღვევა.

„ერთიორად გაიზარდა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქვედანაყოფების რიცხვი. ეს შენაერთები შეიარაღებული არიან მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით, ნაღმსატყორცნებით. ზემოაღნიშნული დეპარტამენტი „2006 წლისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა დამტკიცებული რაოდენობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, სტრუქტურულად შედის საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. ამრიგად, წინათ მიღწეულ მორიგებათა დარღვევით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილში თავმოყრილია ქართული არმიის ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე“, – ხაზგასმულია პრესცენტრის ინფორმაციაში.

АГЕНТСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ НОВОСТИ

# დაუდგენელი პირები ტყის ბილიკის დანაღმვას ცდილობდნენ

**20 აგვისტოს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებიც ახორციელებდნენ ადგილმდებარეობის შემოწმებას, „აღმოაჩინეს კამუფლაჟის ფორმაში ჩაცმული ორი დაუდგენელი პირი, რომლებიც ცდილობდნენ სოფელ აჩაბეთის საგუშაგოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 100 მეტრში დაენაღმათ „პაუკ“ სათვალთვალო საგუშაგოსთან მისასვლელი პოზიციები“. ეს განაცხადა შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობის საკითხებში ვლადიმერ ივანოვმა.**



როგორც მან თქვა, სამშვიდობოთა პატრულმა ორჯერ გაისროლა ჰაერში, რის შემდეგაც დაუდგენელი პირები ტყეში მიიმალნენ. „ადგილმდებარეობის შემოწმებისას იპოვეს ჩაღრმავებული ადგილები გრუნტში, რომლებიც მომზადებული იყო ნაღმების ჩასადებად. თვით ასაფეთქებელი მოწყობილება არ აღმოუჩენიათ“, – განაცხადა ივანოვმა. როგორც მან აღნიშნა, ამ ინციდენტის შესახებ შეატყობინეს ქართულ და ოსურ მხარეებს. ამჟამად ეძებენ დამნაშავეებს.

REGNUM

22 აგვისტო

◎ შვებულება

# ჭრიჭინა ლაბრადორის ნაცვლად

**თუ პუტინმა მხოლოდ ახლა დაიწყო თავისი დასვენება-მუშაობა სოჭში, მისი ამერიკელი კოლეგა ბუში სულ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა შვებულებიდან. ჩვენ ვცადეთ გაგვერკვია, თუ რას აკეთებდნენ პრეზიდენტები დასვენების დროს და რა არის საერთო რუსეთისა და შეერთებული შტატების მეთაურთა არდადეგებს შორის.**

რა თქმა უნდა, ბუშის ტეხასის შტატში მდებარე კროუფორდის რანჩო ვაშინგტონი არ არის. თუ ვაშინგტონში ველური ვნებათაღელვა სუფევს, კროუფორდში ველურ – გარეულ ინდაურებს შეხვდებით. თუ ვაშინგტონს პოლიტიკური „კალიების“ გუნდი მოედო, კროუფორდში ჩვეულებრივ კალიებს ვნახავთ. ვაშინგტონში შხამიანი „დემოკრატი-გველები“ არიან, გველები არც კროუფორდშია იშვიათობა, მაგრამ იქაური ქვეწარმავლები, ვაშინგტონელებისგან განსხვავებით, ასე მწარედ არ იგესლებიან. ვაშინგტონში პენტაგონის შეფი გაუთავებლად ლაპარაკობს ჯავშანტექნიკაზე, კროუფორდში კი მრავლად არიან ჯავშნოსნები – ეს ზოოლოგიაა და არა გამაღლებული შეიარაღება.

მაგრამ რანჩოშიც კი ბუში მაინც რჩება ამ პლანეტაზე ერთადერთი „ცოცხლადდარჩენილი“ ზესახელმწიფოს ლიდერად. შემთხვევითი არ არის, რომ პრეზიდენტის ვერტმფრენის ანგარი, იმავდროულად პრესცენტრის როლსაც ასრულებს. იგი მიმგვანებულია თეთრი სახლის ბრიფინგების დარბაზს: მძიმე ლურჯი ფარდები, მუხის კათედრა, რომელსაც ამშვენებს პრეზიდენტის ოვალური ბეჭედი შემდეგი წარწერით: „დასავლეთის თეთრი სახლი. კროუფორდი. ტეხასი“. ეს უბრალო იმიტაცია კი არა, იმიჯია: პრეზიდენტი არასდროს ისვენებს, იგი მუდამ დგას ქვეყნის ინტერესების სა-



დარაჯოზე. იგივე შეიძლება ითქვას სოჭში „ბოჩაროვ-რუჩეის“ რეზიდენციაზე, სადაც, როგორც ხაზგასმით აღნიშნავენ ხოლმე კრემლში, პუტინი „გამუდმებით მუშაობს“.

სოჭში პრესის ყურადღება მიპყრობილია ძაღლ კონისკენ. კროუფორდში ერთხელ ასეთივე როლი შეასრულა ჭრიჭინამ, რომელიც შეფრინდა ანგარში ბუშისა და რაისის პრესკონფერენციის დროს. როცა იგი კონდოლიზას ფეხებთან დახტა, რეპორტიორები დანაძლევდნენ კიდეც – გაჭყლეტდა თუ არა მწერს ფეხით სახელმწიფო მდივანი? მაგრამ, ეს არ მომხდარა...

რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ბუშის რანჩოს დისპოზიციას. პრეზიდენტი და პირველი ლედი ჩერდებიან პატარა „მთავარ სახლში“. დანარჩენები კი იკავებენ მათთვის კუთვნილ ადგილს სამი ძირითადი კატეგორიის მიხედვით – სტუმრები, შტატი და რეპორტიორები. რადგან რეპორტიორები ყველაზე დაბალ კასტას მიეკუთვნებიან, რანჩოს ტერიტორიაზე მათ არ უშვებენ და ცხოვრება უწევთ 25 მილის მოშორებით მდებარე ქალაქ ვეიკოს სასტუმროებში. სოჭშიც დაახლოებით იგივე ხდება.

წლევანდელი ზაფხული კროუფორდში ცხელი გამოდგა, ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ბუშმა დააარსა „100 გრადუსის კლუბი“ (ფარენჰაიტით). ამბობენ, რომ კლუბის წევრად გახდომის მსურველმა აუცილებლად უნდა გაირბინოს სამი მილი ან ველოსიპედით უნდა დაფაროს ათმილიანი დისტანცია, ოღონდ, ერთი პირობით – ჰაერის ტემპერატურა სამნიშნა ციფრს უნდა აღწევდეს, სულ ცოტა – 100 გრადუსს მაინც. ის ვინც, გაუძლებს ამ გამოცდას მიიღებს სამხედრო ყაიდის ნაცრისფერ მაისურს, რომელსაც ამშვენებს ტეხასის ვარსკვლავი და აწერია შემდეგი სიტყვები: „პრეზიდენტის 100 გრადუსის კლუბი“.

მიმდინარე წელს ბედი სცადა 18 ადამიანმა, რომელთა შორის თეთრი სახლის ახალი პრესმდივანი ტონი სნოუც იყო. უმრავლესობამ, მათ შორის სნოუმაც, გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

კროუფორდის რანჩოში სტუმრობისას, პუტინმა თავაზიანი უარი განაცხადა ბუშის კლუბში გაწევრიანებაზე, თუმცა „მეგობარ ჯორჯს“ მოუწოდა გამხდარიყო მისი ციმბირული „მინუს 40 გრადუსის“ კლუბის წევრი – რა თქმა უნდა, ცელსიუსით.

**მელორ სტურუა,**
**მინეაპოლისი.**



# ბუში ერაყიდან წასვლას არ აპირებს

**ჯორჯ ბუშმა გამორიცხა ერაყიდან ამერიკელი ჯარების გამოყვანის შესაძლებლობა მანამ, სანამ იგი დარჩება შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე.**

ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე ბუშმა აღიარა, რომ შეერთებული შტატების ჯარიკაცების ყოფნა ერაყში ცუდად მოქმედებს ამერიკელებზე. მაგრამ, იქვე დასძინა, რომ ჯარების გამოყვანა „დიდი შეცდომა“ იქნებოდა და ეს ერაყს ტერორისტთა თავშესაფრად აქცევდა.

პენტაგონი იტყობინება, რომ გასულ დღე-ღამის განმავლობაში, დასავლეთ ერაყის ანბარის პროვინციაში მოკლეს ოთხი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

ბუშის პრესკონფერენცია მიეძღვნა იმ დახმარებას, რომლის გაწევასაც ლიბანისთვის აპირებს ვაშინგტონი, მაგრამ ჟურნალისტებმა პრეზიდენტს დაუსვეს კითხვები ერაყთან დაკავშირებით, რადგან ამ პრობლემამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანწილად მოახდინოს გავლენა ნოემბრისათვის დანიშნული შეერთებული შტატების კონგრესის შუალედური არჩევნების შედეგებზე. რესპუბლიკური პარტიის მრავალი წარმომადგენელი გამოთქვამს შეშფოთებას, იმის გამო, რომ ერაყში წარუმატებლობამ, შესაძლოა, დაასხას წყალი დემოკრატთა წისქვილზე და მათ მოუტანოს გამარჯვება არჩევნებში.

„მრავალი ადამიანი – კარგი, ღირსეული ხალხი – ამბობს, რომ ერაყიდან დაუყოვნებლივ უნდა გავიდეთ, – თქვა ბუშმა. – მაგრამ, ისინი ცდებიან. ასეთი ნაბიჯის გადადგმა უდიდესი შეცდომა იქნებოდა“.

პრეზიდენტის თქმით, თუ ამერიკელთა ჯარები დატოვებენ ერაყს მანამ, სანამ ამ ქვეყნის მთავრობა შეძლებს სახელმწიფოს უნარიან მართვას, ეს საფრთხეს შეუქმნის თვით შეერთებული შტატების უშიშროებას.

ამჟამად ამერიკელთა ჯარები ერაყის არმიასთან ერთად, ცდილობენ გაწმინდონ ბაღდადი მოთარეშეებისა და კამიკაძეებისაგან. გასულ კვირას ერაყის ომის 600 ვეტერანი დააბრუნეს იქ ამ ოპერაციაში მონაწილეობისთვის, რომელსაც ეწოდება „ერთად – წინ“.

# უკრაინას არ სურს სსრ კავშირში ყოფნა

**უკრაინის დამოუკიდებლობის 15 წლისთავის წინ (აღინიშნება 24 აგვისტოს) სოციალური გამოკვლევის ცენტრმა „სოფიამ“ ქვეყნის მცხოვრებლებს შორის გამართა გამოკითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ ეკიდებოდნენ ისინი თავიანთ სახელმწიფოს.**

უკრაინელთა უმრავლესობა ამაყობს, რომ ცხოვრობს დამოუკიდებელ სახელმწიფოში, თუმცა, ისინი გამოთქვამენ გარკვეულ სინანულს სსრ კავშირის დაშლის გამო.

უკრაინელი ხალხის სახალხო „სიყვარულის“ და „სიძულვილის“ რეიტინგში კი პირველი ადგილების უმრავლესობა დაიკავეს უახლესი პოლიტიკური ისტორიის პერსონაჟებმა.

როგორც გაირკვა, გამოკითხულთა 69,5 პროცენტი ამაყობს, რომ უკრაინის მოქალაქეა. უკრაინელთა 35,3 პროცენტი დამოუკიდებლობის დღეს აღიქვამს როგორც დღესასწაულს, 40,4 პროცენტი კი მას ჩვეულებრივ უქმე დღედ მიიჩნევს.

პატივისცემით სარგებლობენ სახელმწიფოებრიობის სიმბოლოებიც – ჰიმნი და ლურჯ-ყვითელი დროშა. გამოკითხულთა დაახლოებით 30 პროცენტში ისინი აღძრავენ სიამაყის გრძნობას, 38 პროცენტი კი, მართალია, ამ სიმბოლოებს პატივისცემით, მაგრამ ზედმეტი ენთუზიაზმის გარეშე ეკიდება.

საგულისხმოა, რომ უკრაინელთა ყველაზე საყვარელ პოლიტიკურ მოღვაწეთა სამეულში შევიდნენ გეტმანი ბოგდან ხმელნიცკი (78,5 პროცენტით), რომლის დროსაც უკრაინა გაერთიანდა რუსეთის იმპერიაში, ცენტრალური რადის მეთაური მიხეილ გრუშევსკი (59,7 პროცენტით), ანუ XX საუკუნის დამდეგის დამოუკიდებელი უკრაინის, ფაქტობრივად, პირველი პრეზიდენტი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, წარმოშობით უკრაინელი ლეონიდ ბრეჟნევი (52,2 პროცენტით).

უკრაინელი ხალხის შეგნებაში მთავარი უარყოფითი გმირები არიან იოსებ სტალინი (61,7 პროცენტით) და მიხეილ გორბაჩოვი (56,4 პროცენტით), აგრეთვე უკრაინელ-ნაციონალისტთა ლიდერი სტეპან ბანდერა (54,4 პროცენტით).



# ყრენ ექბერ

**21 აგვისტოს ამოიწურა ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ირანს უნდა შეესწავლა მსოფლიო გაერთიანების წინადადებები.**

ჯერ კიდევ ივნისის დამდეგს „ექვსეულის“ წევრებმა (რუსეთი, აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი) გადასცეს თეირანს წინადადებათა პაკეტი, რომლებიც ითვალისწინებდნენ ატომური ელექტროსადგურებისთვის განკუთვნილი სათბობის და სამრეწველო ტექნოლოგიათა მიწოდებას, თუ ირანი შეწყვეტდა ან შეაჩერებდა მაინც ურანის დამოუკიდებლად გამდიდრებას.

ირანის პასუხი მსოფლიო გაერთიანებას, ალბათ, დიდ შვებას არ მოგვრის. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერ მოთაქიმ დაადასტურა, რომ თეირანმა დაასრულა „ექვსეულის“ წინადადებათა შესწავლა. მინისტრმა გამოთქვა იმედი, რომ პრობლემის ყოვლისმომცველი მოგვარება შესაძლებელი იქნება „თანამშრომლობის, მოლაპარაკების საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ ირანს აქვს უფლება ახორციელებდეს პროექტებს ატომურ ტექნოლოგიურ სფეროში“.

უფრო კატეგორიული ხასიათის განცხადება გააკეთა ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ. როგორც მან თქვა, ირანი არ გადაუხვევს არჩეული გზიდან. ირანის ატომური ენერგიის ორგანიზაციის მეთაურის მოადგილე მოჰამად საიდმა კი,



თავის მხრივ განაცხადა, რომ „ირანელ მეცნიერთა ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით, უკვე შეუძლებელია ურანის გამდიდრების შეჩერება“.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ირანის სექტორის გამგემ ნინა მამედოვამ ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „თეირანი არ გასცემს რაიმე კონკრეტულ პასუხს „ექვსეულის“ წინადადებებს და ეცდება რაც შეიძლება დიდხანს გააჭიანუროს მოლაპარაკების პროცესი“.

მაგრამ ასე დაუსრულებლივ ვერ გაგრძელდება. ივლისის დამლევს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვა, რომ თეირანმა აგვისტოს დამლევამდე შეწყვიტოს ურანის გამდიდრება და გადამუშავება. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კი განაცხადა, რომ 31 აგვისტოს გაირკვევა, გაითვალისწინებს თუ არა ირანი უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში თეირანს კვლავ არ ენდობიან. როგორც სააგენტოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, ირანში მყოფმა ინსპექტორებმა გადაწყვიტეს შეესწავლათ ნათამზის მიწისქვეშა ბირთული ცენტრი, მაგრამ მის წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრა ირანის მხარემ.

## რუსული პრესა ცერად იცქირება

***საქართველო განიცდება „რევოლუციური“ ხელისუფლებით. აღთქმული დემოკრატიის ნაცვლად — პოლიციური სახელმწიფო, ტელეფონების მოსმენა, დახვრეტები სასამართლოს გარეშე. ტერიტორიების დაბრუნების ნაცვლად — გაურკვეველი ოპერაცია კოდორის ხეობაში. „მკ“-ს სპეცკორი მარინა პერევოზკინა საქართველოში იმყოფებოდა და დარწმუნდა, რომ ამ მოუსვენარ რესპუბლიკას კვლავ სწადია ცვლილებები...***

### შავი ბუმერი და შეშლილი მღებავი

**საქართველო გადაეჩვია რუსულ მეტყველებას. პრორუსული ორიენტაციის გაზეთიც კი, რომელსაც აქ „მოსკოვის აგენტურას“ ეძახიან, „ეროვნული ღირებულებების“ ნაცვლად წერს „ეროვნული ფასეულობებიო“. ვერაფერს იტყვი — კარგი აგენტურა კია! თბილისის ბისტროში უკვე ჟესტებით გიხდება ახსნა. ზუგდიდში კი რუსულად მოლაპარაკე ადამიანი ნამდვილად თეთრი ყვავია. ვინ ცნობისმოყვარეობით გიყურებს, ვინ ეჭვით.**

— რატომ არ გიყვართ ასე თქვენ, რუსებს, საქართველო? — ზუგდიდის ინტერნეტ-კაფეს მეპატრონე, რომელშიც მე მასალის რედაქციაში გასაგზავნად შევედი, აშკარად მონატრებულია ცოცხალ ოპონენტებს. დროის უმეტეს ნაწილს ის რუსული საიტების ფორუმებზე გამართულ დისკუსიებში ატარებს. — რატომ უცხადებთ ჩვენს ღვინოებს ბოიკოტს? თქვენ მუსლიმან-აფხაზებს დაუჭირეთ მხარი, მართლმადიდებელ ძმებს — ქართველებს კი უღალატეთ. ამისთვის იყო, რომ ჩეჩნეთი მიიღეთ, და ეს მხოლოდ დასაწყისია! მერე დაღესტანი ჩამოგცილდებათ, ყაბარდო, ადიღე, თათარსტანი, ბაშკირეთი! რუსეთს წირვა გამოუვა! ჩვენ კი ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებაში ამერიკა დაგვეხმარება.

ამაოდ ვემუდარებოდით ერთი საათი მაინც დაეცლია მშვიდად მუშაობა. ხუთი წუთით დაცხრებოდა, მერე კი ისევ ყვირილით გამოხტებოდა თავისი ჯიხურიდან: „რუსეთი დაიშლება!“ მერე მსხლებით სავსე დიდი თეფში მომიტანა:. — ოღონდ არ გეწყინოთ. მე სანახევროდ რუსი შვილიშვილი მყავს, პეტერბურგში ცხოვრობს. უბრალოდ დიდი ხანია რუსეთიდან ჩამოსული ადამიანი არ მინახავს.

მსხალი გემრიელი იყო და ინტერნეტისთვისაც საეჭვოდ ცოტა ფული გამომართვეს.

„რატომ არ გიყვართ საქართველო?“ — ეს საყვედური გამუდმებით თან მდევდა საქართველოს უძველეს მიწაზე.

როგორც კი გზისპირა ჯიხურში ერთ ბოლთ „ბორჯომს“ ვიკითხავდი, პასუხად იმ წუთში შემომაგებებდნენ: „აა, ესე იგი, მაინც სვამთ? მაშასადამე, კარგი წყალი ყოფილა!“ მაგრამ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი რუსეთიდან ჩამოსული სტუმრის საპატივცემულოდ აუცილებლად რუსულ სიმღერას ჩაგირთავს. „Черные глаза-ს ან რაიმე ასეთს. კიდევ ძალიან პოპულარულია სიმღერა „შავ ბუმერზე“. დილით, როდესაც ძველი თბილისის უბნებში ახლადგამომცხვარი ლავაშის სუნი ტრიალებს, ღია ფანჯრებიდან ყველგან ისმის: „Я вырос на окраине рабочей городской...“ ჯერჯერობით მაინც ძალიან ახლობლები ვართ. მაგრამ ერთმანეთის უკვე თითქმის აღარ გვესმის. და საქმე აქ სიყვარულში სულაც არ არის. სიყვარული სწორედაც რომ დარჩა.

სააკაშვილის მმართველობის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. გზები უკეთესი გახდა. დასავლეთ საქართველოშიც კი ტრასები სწორი ახალი ასფალტით ახარებს თვალს. აღარც ხარბი ავტოინსპექტორები არიან ჩასაფრებულები ყველა მოსახვევში, მძღოლებს ფულს რომ სძალავდნენ. საგზაო პოლიცია ახალი ავტომანქანებით მოძრაობს, დამრღვევებს ქვითრებს უწერენ. მარტო რუსეთელი მშვიდობისმყოფელებისთვის არ შეცვლილა არაფერი ზუგდიდში: მათი შტაბისკენ მიმავალი გზის გარემონტებას არავინ აპირებს, ისე ატომური ომივით საშინელია. ღრანტეები წვიმის წყლით სავსე უზარმაზარ თხრილებად ქცეულა. ტაქსისტები მხოლოდ დამატებითი საფასურის შემთხვევაში თანხმდებიან აქ წამოსვლაზე,

### მინისტრის ცოლი და „სიკვდილის ესკადრონები“

**თბილისში სიცხისგან ასფალტი დნება. ქალაქის მცხოვრებლები ცდილობენ დღისით გარეთ არ გამოვიდნენ. დედაქალაქი მარტო საღამოსკენ ცოცხლდება. ძველი ქალაქის შუკებში მუსიკა ისმის, პატარ-პატარა მაგიდებთან პირდაპირ ღია ცის ქვეშ „საფერავს“ ძირითადად უცხოელები და ახალი ქართული ელიტის წარმომად**გენლები სვამენ. აქვეა დახლები, სადაც კერამიკას, ხანჯლებსა და სხვა სუვენირებს ყიდიან. იქვე გვერდით კი, „მაიდანის“ „რევოლუციური“ ატრიბუტიკით ვაჭრობენ. დაგვახსოვრდა მაისურები წარწერებით: „Russian страшен“ და „Чечен вечен“.

ერთ-ერთ ამ „რესტორნების უბანში“ მდებარეობს მაღალი თანამდებობის ქართველი მოხელეების საყვარელი დასასვენებელი ადგილი — ბარი „შარდენი“. ეს ბარი საქართველოს საგარეო დაზვერვის ყოფილი უფროსის ავთანდილ იოსელიანის ქალიშვილს ეკუთვნის. რუსეთში ცოტა დაიწერა იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც აქ ახლახან დატრიალდა, არადა ეს ისტორია შეიძლება სააკაშვილისთვის იგივე გახდეს, რაც ღონღაძის საქმე გახდა კუჩმასთვის. ანუ მისი მმართველობის დასასრულის დასაწყისი.

ახლახან საბრალდებო სკამზე ბანკის 28 წლის თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ბრალდებით საქართველოს შსს-ს ოთხი თანამშრომელი აღმოჩნდა. იანვარში გაერთიანებული ქართული ბანკის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი სანდრო გირგვლიანი ყელგამოჭრილი იპოვეს თბილისის შემოგარენში მდებარე სასაფლაოზე. შიშველ სხეულზე მას წამების კვალი აჩნდა. რომ არა ოპოზიციური ტელეარხი „იმედი“, შეიძლება საქმე სასამართლომდე არც მისულიყო, მაგრამ ამბავი გახმაურდა.

სანდრო გირგვლიანის მეგობარი გოგონა შსს-ს მინისტრის ვანო მერაბიშვილის ცოლთან მეგობრობდა. ტრაგედიის დღეს ჭაბუკმა თავისი მეგობარი გოგონა კაფე „შარდენში“ მინისტრის მეუღლის თაკო სალაყაიას, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის დათა ახალაიას, მისი მოადგილის ოლეგ მელნიკოვის, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის ვასილ სანოძისა და შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელის მერაბ დონაძის საზოგადოებაში ნახა. სანდრომ სცენა მოაწყო, ამასთან ერთ-ერთი იქ მყოფთაგანის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზეც მიანიშნა გადაკვრით. როდესაც ის თავის მეგობართან ერთად ბარიდან გამოვიდა, ახალგაზრდები მანქანაში შეყარეს, სასაფლაოზე წაიყვანეს და ცემა დაუწყეს. მეგობარმა გაქცევა მოახერხა, სანდრო მოკლეს.



სპეციალური რეპორტაჟი

# კანონიერი ვარდები

## საქართველოში „სიკვდილის ბრიგადები“ მოქმედებენ



საზოგადოებრიობა და მოკლულის ოჯახი დარწმუნებულები არიან, რომ მკვლელები იმ მაღალი თანამდებობის პირებმა გამოიძახეს, რომლებიც ბარში ისხდნენ, და მათ გასამართლებას მოითხოვენ. მინისტრის ცოლსაც ადანაშაულებენ. მაგრამ ყველამ იცის, რომ მერაბიშვილი თავად პრეზიდენტის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ისინი სამუდამოდ არიან შეკრულები საქართველოს პრემიერის ზურაბ ჟვანიას სიკვდილის საიდუმლოთი. სწორედ მერაბიშვილმა გაახმოვანა მაშინ ოფიციალური ვერსია და გამოძიებასაც ოფიციალურად ის კურირებდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების ახალგაზრდა წარმომადგენლები აწყობენ მიტინგებს მერაბიშვილის გადადგომის მოთხოვნით. ოპოზიცია ირწმუნება, რომ საქართველოში მინისტრის უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედებენ „სიკვდილის ბრიგადები“, რომელთა ამოცანაში არასასურველთა მოშორება შედის. მერაბიშვილის ხალხი უმცირესი ეჭვის შემთხვევაში პირდაპირ ქუჩაში ესვრის და კლავს ადამიანებს.

— მათ ნებისმიერის მოკვლა შეუძლიათ, — ამბობს მოძრაობა „ანტისოროსის“ ხელმძღვანელი მაია ნიკოლეიშვილი, — მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, დილის 10 საათზე რამდენიმე ადამიანი ადგილზევე ჩაცხრილეს სასამართლოსა და გამოძიების გარეშე! გამოაცხადეს, თითქოს ისინი კრიმინალები იყვნენ და ნარკოტიკების ყიდვას აპირებდნენ, ანუ ადამიანს დანაშაული ჯერ არცკი ჰქონდა ჩადენილი, და მხოლოდ აპირებდა ამას, ის კი უკვე მოკლეს! ყოველივე ეს პრეზიდენტის წაქეზებით ხდება.



### „კაპიტან გრანტის შვილები“

თბილისის უნივერსიტეტი გარედან სოლიდურად გამოიყურება, შიგნით კი ყველაფერი მოშლილია. ამოვარდნილი პარკეტი, უზარმაზარი მახინჯი მერხები.



ეზოში ჟანგიანი მონსტრი — პირველი საბჭოთა ავტომობილი „ზის“-ი ჩამალულა: ვიღაცამ ეს დრომოჭმული რეკვიზიტი კინოსტუდიიდან მოათრია. საშინელ, ბნელ, სარდაფის ნესტის სუნით გაჟღენთილ ფარდულებში ლაბორატორიებია შეყუჟული. აქ ატარებენ ექსპერიმენტებს, აკეთებენ მეცნიერულ აღმოჩენებს. ცხადია, ასეთ პირობებში მუშაობა მხოლოდ მესანგრეებს თუ შეუძლიათ. მაგრამ საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ ის მცირედიც კი არ დაუტოვა ამ ხალხს, რაც მათ რჩებოდათ: სამეცნიერო მუშაობის შესაძლებლობა. ახლახან განათლების სამინისტრომ, რომელსაც სოროსის ფონდის საქართველოს განყოფილების ყოფილი უფროსი კახა ლომაია ხელმძღვანელობს, უნივერსიტეტის რეფორმა წამოიწყო. რეფორმა ორ ეტაპად ჩატარდა. ჯერ მთელი სამეცნიერო ნაწილი შეამცირეს — დაიხურა ლაბორატორიები, შეწყდა მეცნიერული კვლევების სახელმწიფო დაფინანსება, 1500-მდე მეცნიერ-თანამშრომელი ქუჩაში გააგდეს. მერე პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაც დაითხოვეს. ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადდა კონკურსი, ამასთან დათხოვნილებს შესთავაზეს საერთო საწყისებზე მიეღოთ კონკურსში მონაწილეობა. კონკურსის შედეგების მიხედვით გადაწყვეტილებებს უმთავრესად ძალზე ახალგაზრდა ადამიანები იღებდნენ, ისინი, ვის კომპეტენციაშიც პროფესორებსა და აკადემიკოსებს დიდი ეჭვი ეპარებოდათ. მთელ ამ ახალგაზრდობას აქ „კაპიტან გრანტის შვილებს“ ეძახიან — რადგან ისინი დასავლური გრანტების ხარჯზე ცხოვრობენ. ძველი თანამშრომლების უმრავლესობამ ეს სამარცხვინოდ მიიჩნია და კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ხელისუფლებამ რექტორიც შეცვალა. ახალი რექტორი „ზევიდან“, სამეცნიერო საბჭოს, ანუ უნივერსიტეტის ლეგიტიმური ხელისუფლების გვერდის ავლით დაინიშნა. მასწავლებლებმა საპროტესტო აქცია დაიწყეს.

— მარტო სამეცნიერო საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს, ვინ მიიღოს მასწავლებლად, ვინ აირჩიოს რექტორად, — ამბობს აქციის ერთ-ერთი მონაწილე, ექსპერიმენტული ლაბორატორიის თანამშრომელი — ახლანდელი რექტორი არაკანონიერად არის დანიშნული. სამეცნიერო საბჭოს წევრები — ანუ პროფესორები, აკადემიკოსები, სერიოზული ადამიანები — მივიდნენ მასთან კაბინეტში და თავისი ნებით წასვლა შესთავაზეს. მან კი პასუხად პოლიცია გამოიძახა და ეს ხანდაზმული ადამიანები, რომელთა შორის მსოფლიოს სახელის მქონე მეცნიერებიც არიან, ხულიგნობაში დაადანაშაულა.

ამბობენ, რომ რექტორის პოსტის დაკავება მთელ მსოფლიოში ცნობილ ქართველ ფიზიკოსს გია დვალს უნდოდა. მაგრამ რეფორმატორებს ეს კანდიდატურა ხელს არ აძლევდა. მეტისმეტად დამოუკიდებელი რექტორი მათ არ სჭირდებათ.

— საქმე ის არის, რომ ჩვენს ხელისუფლებას და იმ ძალებს, რომლებიც მათ უკან დგანან, საქართველოში უნივერსიტეტი არ სჭირდებათ, — ამბობს პროფესორი, ფიზიკოსი ჯიმშერ ჯავახიშვილი. — თუ ადრე ფიზიკის ფაკულტეტზე 400-მდე თანამშრომელი იყო, დღეს 23-ია. თანაც უნივერსიტეტი სამეცნიერო ლაბორატორიების გარეშე უნივერსიტეტი არ არის. აქ ხომ მთელი სამეცნიერო სკოლები იყო, ჩვენი კურსდამთავრებულები ნებისმიერ ქვეყანაში ადვილად იკავებდნენ ნებისმიერ პოზიციას.

— ახლა კი ახალი პროგრამებით მეორე კურსის დონე დაახლოებით საშუალო სკოლის მე-11 კლასის დონესავით იქნება! — მხარს უბამენ ფიზიკოსს კოლეგები. — ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს რეფორმა კი არ არის, არამედ უნივერსიტეტის შეგნებული განადგურება.

— მსოფლიო ომი მიდის, — ამბობს ახალგაზრდა მეცნიერი გიორგი, — აქ კი ჩვენიანებმა ყველაფერი ნახეს. მოსკოვთან დაკავშირებით საქართველოში ილუზიები აღარავის აქვს. როცა ჩვენ აქცია დავიწყეთ, მათ სტუდენტების ყიდვა სცადეს. ფული და რაღაც მაისურები დაურიგეს. კახა ლომაია ინკოგნიტოდ მოვიდა, პირველკურსელებთან ჩაიკეტა — უფროსკლასელებთან მისვლის შეეშინდა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ უეცრად აღმოჩნდა, რომ აქ ნებისმიერ სფეროში მეცნიერების ერთი კანდიდატი მაინც არის. ეტყობა, ეს ვიღაცას არ მოეწონა. დასავლური ცივილიზაცია ძალიან ეჭვიანია.

ალექსანდრ ნეველის ტაძარში, რომელსაც რუსულ ეკლესიას ეძახიან, ცოტა ხალხია.

— დღესასწაულებზე აქ ფეხის დასადგმელი ადგილიც კი არ არის ხოლმე, ჯერ ყველა რუსი არ წასულა საქართველოდან, — ამბობს ხნიერი ქალი ანგელინა, — მე კი წავიდოდი, მაგრამ იქ არავინ მყავს, ვისთან წავიდე. აქ დავიბადე, დედაჩემიც აქ არის დაბადებული. აქვეა დამარხული. ბებიაჩემი 33 წელს, რეპრესიების დროს ჩამოვიდა ყუბანიდან. მეფსალმუნე იყო. მთელი ჩვენი ოჯახი ეკლესიასთან არის დაკავშირებული. მაშინ ჩვენიანებს გამოვექეცით და უცხოებმა შეგვიკედლეს. ახლა გასაქცევი არსად გვაქვს.

— ჩვენ პრობლემა გვაქვს: რუსულ კლასებს ხურავენ, — მეუბნება ალა სტეპანოვნა. — ამბობენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ რუსული კლასები საერთოდ აღარ იქნება. მე სომეხი ვარ, მაგრამ რუსულენოვანი, ჩემი შვილიშვილებიც რუსულად სწავლობდნენ, თუმცა დედა ქართველი ჰყავთ. ისინი მე-7 გიმნაზიაში დადიან, მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან იქ რუსული კლასები აღარ იქნება. უნდა მოვიფიქროთ, მერე როგორ მოვიქცეთ. მათ რუსულად უნდათ სწავლა, თუმცა ქართულიც სრულყოფილად იციან.

ახალგაზრდობას საქართველოში რუსული აღარ ესმის. გასაგებია, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება სწორედ ამის მიღწევას ცდილობს, მაგრამ მოსკოვს რატომღა არ აღელვებს ეს? შეიძლება საქართველოში მორიგი გადამწყვეტი მოვლენების წინ რუსეთმა სიტუაციაზე ზემოქმედების ბოლო ბერკეტებიც დაკარგოს. მგონი, როგორც იქნა, მოსკოვშიც მიხვდნენ ვიღაცები, რომ მასაც შეუძლია ისე იმოქმედოს, როგორც მოქმედებენ ცივილიზებული დასავლური ქვეყნები საკუთარი ინტერესების დასაცავად. გასული წლის დამდეგს აქ პირველად გაიხსნა რუსეთის ფონდი „კავკასიის დემოკრატიის ინსტიტუტი“, მაგრამ ამჟამად მისი საქმიანობა რატომღაც შეჩერებულია.

პროდასავლური ოპოზიცია, ისევე, როგორც 2003 წელს, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ემზადება. ეს ოპოზიცია სააკაშვილს ექსტრავაგანტური გამოხდომებისა და არადემოკრატიულობის გამო აკრიტიკებს, მაგრამ თავადაც იმ კურსით გაუძღვება საქართველოს, რომლითაც ის უძღვებოდა. ახლა ბევრი მარჩიელობს, ვისზე ჩამოვა ფსონს რუსეთი ამ არეულობაში, რაში მდგომარეობს „რუსული პროექტი“ საქართველოში? აქ აზრადაც არავის მოსდის, რომ არ არსებობს არავითარი „რუსული პროექტი“ და რუსეთის კაცი, მოსკოვს წარმოდგენა არა აქვს, რა უყოს საქართველოს. ალბათ, კრემლის ყველაზე საშინელი საიდუმლოც სწორედ ამაში მდგომარეობს.

**მარინა პერევოზკინა,**
თბილისი-მოსკოვი.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

## კალათბურთი

# ალემანებმა წაიფორხილეს

**იაპონიაში გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 24 გუნდი მონაწილეობს.**

მესამე ტურის მატჩებიდან გამორჩეული იყო B ჯგუფში ესპანეთისა და გერმანიის შეხვედრა. წინა მსოფლიო ჩემპიონატზე ალემანებმა პირენეელები მეოთხედფინალში ჩამოაშორეს კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას. ხოლო შარშან კონტინენტის პირველობაზე ნახევარფინალში დაამარცხეს. ფორტუნამ ამჯერად ისინი ჯგუფურ ტურნირში დააჯახა ერთმანეთს. ესპანეთი მაგრად დაუხვდა მეტოქეს – ოთხივე პერიოდი მოუგო (26:22, 22:19, 24:19, 20:11) და ზედიზედ მესამე გამარჯვება (92:71) იზეიმა ჩემპიონატზე, რითაც ფლეი-ოფში გასვლაც გაინაღდა. ამ ჯგუფში მსგავს წარმატებას მიაღწია ანგოლამაც, რომელმაც ახალ ზელანდიას სძლია 95:73. გულშემატკივრები გაახარეს იაპონელებმა. მასპინძლებმა პანამას დაამარცხეს ფარ-ხმალი – 78:61.

A ჯგუფში კვლავ უპრობლემოდ მიიწევს წინ არგენტინა, მესამე ტურში ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ვენესუელა დაჯაბნეს – 96:54, თუმცა იმ დღეს თამაშის იშტაზე არ იყო არგენტინელთა ლიდერი ჯინობილი, რომელიც მხოლოდ 5 ქულით შეეწია თანაგუნდელებს.

პირველი გამარჯვება იზეიმეს მსოფლიო ჩემპიონებმა – სერბებმა. წინა ორ ტურში განცდილი მარცხისთვის ჯავრი ლიბანელებზე იყარეს – 104:57. საფრანგეთმა ნიგერიას მოუგო – 64:53.



## მშვილდოსნობა



ხათუნა ნარიმანიძე

# ჩუბინები საევროპოდ ემზადებიან

**ბათუმში ანგისას სასროლეთზე დამთავრდა მშვილდოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად თბილისისა და სომხეთის გუნდებმაც იასპარეზეს.**

ქალთა ინდივიდუალური შეჯიბრების ფინალში ხათუნა ნარიმანიძემ დაძაბულ ორთაბრძოლაში ქრისტინე ესებუას სძლია 104:102 და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე იყო ასმათ დიასამიძე, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში ოლგა ლადიგინას აჯობა 104:103.

გუნდურ ჩათვლაში ხელვაჩაურელებმა იმარჯვეს, მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, გავიდნენ თბილისისა და საქართველოს ნაკრები – ნინო უბირიას (აფხაზეთი), ნინო მაღრაძის (თბილისი), ნათია ცინცაძის (აჭარა) შემადგენლობით.

ვაჟებში ჩემპიონობა სომხებს ხვდათ. პირად პირველობაში უძლიერესი გახლდათ ანდრანიკ შაჰნაზარიანი. მან ფინალში ლადო ბოლქვაძე დაჯაბნა – 109:101. მესამე ადგილიც სომეხ არშაკ პეტროსიანს ხვდა.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. სომხეთი, 2. ხელვაჩაური, 3. თბილისი.

ქართველი მშვილდოსნები ახლა ემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც ათენი უმასპინძლებს.

**გიორგი გაგუა**

## მძლეოსნობა

# ჩემპიონი ტურნირზე არ დაუშვეს



**„გრან-პრის“ სერიის მძლეოსნური შეჯიბრების ორგანიზატორებმა ავსტრიის ლინცში ტურნირზე არ დაუშვეს ებრაელი ჭოკით მხტომელი ალექსანდრ ავერბუხი.**

მასპინძლებმა თავი იმით იმართლეს, რომ ვერ შეძლებდნენ ავსტრიაში ყოფნის დროს სპორტსმენის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის გეტერბორგში, ერთი კვირის წინათ დამთავრებულ მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე, თუმცა მოეწყო ათასკაციანი აქცია ჩემპიონატზე ისრაელის დაშვების წინააღმდეგ და ამ ქვეყნის დროშაც კი დაწვეს, ალექსანდრ ავერბუხი მაინც გახდა კონტინენტის ჩემპიონი. მხოლოდ ის გადახტა ყველაზე მაღლა – 5,70 მეტრი.

## ორბიტაზეა

# იუშჩენკო ფეხბურთელებს აჯილდოებს

**უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე მაღალი სპორტული შედეგებისთვის, გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გამარჯვებისკენ ლტოლვისათვის ქვეყნის მაღალი ჯილდოები გადასცა უკრაინის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელებსა და ფეხბურთელებს.**

იაროსლავ ბრძენის მეხუთე ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდნენ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი.

მეორე და მესამე ხარისხის ორდენებით „დამსახურებისთვის“ დაჯილდოებულნი არიან ნაკრებთან მომუშავე მწვრთნელები: ვლადიმირ ვერემეევი, ოლეგ კუზნეცოვი და ანდრეი ბალი. ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი, მათ შორის ანდრეი შევჩენკო, დაჯილდოებულია მესამე ხარისხის ორდენით „მამაცობისთვის“.



ამას გარდა, პრეზიდენტმა მედლით „შრომისა და მამაცობისთვის“ დააჯილდოვა ნაკრების ის ფეხბურთელები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში არ მონაწილეობდნენ.

# მეკარე – რეკორდსმენი გოლეადორი

**„კრუზეიროს“ კარში ორი ბურთი რომ გაიტანა, ბრაზილიური კლუბის „სან-პაულუს“ მეკარემ როჟერიუ სენიმ მათი რიცხვი 64-მდე აიყვანა და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე უხვგოლიანი გოლკიპერი გახდა. მან დაამხო ადრინდელი რეკორდი, პარაგვაის ნაკრების მეკარეს ხოსე ლუის ჩილავერტს რომ ეკუთვნოდა – 62. ამ შეხვედრისას სენიმ თავად მოიგერია თერთმეტმეტრიანი საჯარიმოც.**

თავისი სადებიუტო გოლი სენიმ ჯერ კიდევ 1997 წელს გაიტანა სან-პაულუს შტატის ჩემპიონატზე „უნიაუ სან-ჟოზეს“ კარში. მას შემდეგ მეტოქის კარი 41-ჯერ საჯარიმოდან აიღო, ხოლო 23-ჯერ – პენალტებით. როგორც ჩანს, 36 წლის მეკარე ამით არ დაკმაყოფილდება.

ახლა ხომ სამხრეთამერიკული ქვეყნის გამალებული ეროვნული ჩემპიონატია. სატურნირო ცხრილს სენის გოლების წყალობით სათავეში სწორედ „სან-პაულუ“ უდგას 17 ტურიდან 34 გოლით.



## ჭადრაკი

# ანა არ ხუმრობს

**თელაველმა დიდოსტატმა ანა მათნაძემ ბოლო დროს ვაჟთა ტურნირებში თამაშს მოუხშირა და წარმატებებსაც აღწევს.** ერთ-ერთზე ამას წინათ გაუწყეთ. ახლა ანა ბანეოლისის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს და 5 ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს. მესამე ტურში გაჰოლანდიელებული სერგეი ტივიაკოვი ძლივს გადაურჩა ანასთან მარცხს.

შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა და, იმედია, ქართველი დიდოსტატი საბოლოო შედეგითაც გაგვახარებს.

# ერთი პრიზიც საქმეა

**სამი ქართველი დიდოსტატი (ზურაბ სტურუა, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი) მონაწილეობდა აბუ-დაბის დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც პირველი თხუთმეტი ადგილი საპრიზო იყო. ელიტაში მხოლოდ ზურაბ სტურუა მოხვდა, რომელმაც 5,5 ქულით ზუსტად მე-15 ადგილი დაიკავა. არადა, მას ბოლო ორ ტურში საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა ირანელი ეჰსან გაემ მაგემისა და აზერბაიჯანელი რაუფ მამედოვის სახით. სტურუა ორივეს დაუზავდა.**

მაია ლომინეიშვილმა და ლელა ჯავახიშვილმა ასპარეზობა 5-5 ქულით დაასრულეს, რაც ქალთა შორის პირველი ადგილისთვისაც არ აღმოჩნდა საკმარისი – ქართველ დიდოსტატებს ნახევარი ქულით უკრაინელმა ანა უშენინამ გაუსწრო.



აბუ-დაბის ტურნირი 6,5 ქულით აზერბაიჯანელმა ვუგარ გაშიმოვმა მოიგო, რომელსაც 4000 ევრო ხვდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილზე სომეხი აშოტ ანასტასიანი გავიდა. ერთბაშად 8 მოჭადრაკემ 6-6 ქულით III-X ადგილები გაიყო.

# ალიოხინსაც აჯობა



ამერიკელმა მოჭადრაკემ და თეორეტიკოსმა, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტმა (1930-1940 წ.), საერთაშორისო დიდოსტატმა (1950), საჭადრაკო ლიტერატორმა, პროფესიით ფსიქოლოგმა როიბენ ფაინმა (1914, ნიუ-იორკი) ჭადრაკის თამაში 8 წლისამ დაიწყო.

17 წლისამ ნიუ-იორკის შტატის ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა, საერთაშორისო ტურნირებზე 9-ჯერ მოუწია თამაში ლეგენდარულ ა. ალიოხინთან და საერთო ანგარიშით – 5:4. გაიმარჯვა (3 2 4).

ფაინი აშშ-ს გუნდის შემადგენლობაში მსოფლიო ოლიმპიადების სამგზის გამარჯვებულია (1933, 1935, 1937), 1937 წელს კი II დაფაზე საუკეთესო შედეგი (11,5 ქულა 15 შესაძლებლიდან) აჩვენა.

1948 წელს უარი განაცხადა მსოფლიო პირველობის მატჩ-ტურნირებში მონაწილეობაზე.

ფაინის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, რომლებშიც საჭადრაკო პრობლემატიკის საკითხებია განხილული.

**თამაზ შენგელია**



 რ. ფაინი – მ. ბოტვინიკი
1938 წ.

შავები ნებდებიან მეტოქის აშკარა პოზიციური და მატერიალური უპირატესობის გამო

20. ეd4 ლe7 21. ეd6 a4 22. ლe3 ეa7 23. მd2 a3 24. c4 კa4 25. ef ლ:f6 26. ე:a3 ეa8 27. h3 ეaa8 28. მf3 ლb2 29. მe5 ლb1 30. მფh2 ლf5 31. ლg3 1:0.

# ემოციების გავლენა ავადმყოფობათა განვითარებაზე



**სულიერი განცდები, სტრესების შედეგები არცთუ იშვიათად ფსიქიკურ დაავადებებად კი არ „გადმოილვრება“, არამედ შინაგანი ორგანოების ავადმყოფობებად ინილბება. მოვიშველიოთ ციფრიც: ქრონიკულ სნეულებათა 70 პროცენტი თურმე ნერვულ ნიადაგზე წარმოიქმნება.**

ნებისმიერ ადამიანს დაბადებითვე დაჰყვება რაიმე „ბზარი“ ორგანიზმის ერთ ან რამდენიმე სისტემაში. ვიღაცის სუსტი ადგილი თავია, ვიღაცისა – ყელი, კუჭი და ასე შემდეგ. ჰოდა, დროის გავლასთან ერთად, სტრესების დაგროვება, გინდა რაიმე მკვეთრი ბიძგი (მწუხარება, კონფლიქტი ან მძაფრი სიხარულიც კიძ გზას იკვლევენ „სუსტ რგოლში“ და კაცი ავადდება.

ბუნებრივია, სენისადმი მიდრეკილება არ ნიშნავს, რომ ის უთუოდ წამოგეწევათ. ეგ კია, რომ გაფრთხილება შეიარაღებასავით არის.

# კიბოს „გამორთვა“ შესაძლებელია

**მას შემდეგ, რაც მოისმინეს ციმბირის (ტომსკისძ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტის ვასილი მანსკიხის მოხსენება ევოლუციურ ონკოლოგიაზე, რუსეთის დედაქალაქის მეცნიერები კიბოს მკურნალობაში შესაძლო წინსვლაზე ალაპარაკდნენ.**

ახალი ჰიპოთეზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ორგანიზმში არსებობს არა მარტო ისეთი სისტემები, რომლებიც გაჩენილ მუტანტურ უჯრედებს სპობს, არამედ „გადამრთველი მექანიზმიც“. ეს მექანიზმი განსაზღვრავს, რომელ დონეზე განხორციელდება გენეტიკური დეფექტების მოცილება: დნმ-ს დონეზე, უჯრედის დონეზე თუ ერთბაშად მთელი ორგანიზმის დონეზე (კიბოთი სიკვდილიძ. თუ მოხერხდა იმის გარკვევა, თუ რატომ ხდება ეს გადართვა, მაშინ შეუქცევადი პროცესების მართვა შესაძლებელი გახდება.

ვ. მანსკიხის ახალი ჰიპოთეზა კიბოს განიხილავს როგორც პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის პოპულაციის გაწმენდას გენომის დარღვევების მქონე არსთაგან, – მიაჩნიათ ცნობილ რუს ბიოქიმიკოსებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ამ ჰიპოთეზის შეფასებას ერთ თვეში შეძლებენ.

# ასთმატიკებს ბოროტება არ ახსოვთ



**ბრონქოფილტვური პრობლემები დამახასიათებელია ფაქიზი და გაუბედავი ბუნების ადამიანთათვის. ისინი მუდამ დაეჭვებულნი არიან თავიანთი ქცევის სისწორეში, სკრუპულოზურად „გადახარშავენ“ საუბრებსა და გარემოებებს.**

**თვითჩხრეკისკენ იხრებიან.** იშვიათად მიდიან ღია კონფლიქტებზე და თუ ასეთი რამ შეემთხვევათ, დიდხანს ვერ პოულობენ ადგილს. ისინი ზედაპირულად კეთილმოსურნენი არიან, ოღონდ სულით ბნელნი – ყველაზე ახლობელთათვისაც კი.

**ნერვული და ჭირვეული ბუნებისანი.** ასეთები ვერ ახერხებენ სტრესის მოცილებას, რაც ქოშინსა და სულის ხუთვის პროვოცირებას ახდენს.

**ბავშვთა ფსიქოლოგები ამბობენ, ასთმოიდური მდგომარეობები იმ მოზარდებს უვითარდებათ, რომლებიც ოჯახში დაძაბულობისა და რაღაც შეფარული, მაგრამ მკვიდრი დაპირისპირების ვითარებაში გაიზარდნენ, ოღონდ გარეგნული კეთილდღეობის ფასადით.**

# ინფარქტები დესპოტებსა და გულკეთილებს ემუქრებიან

**რუსეთელი ფსიქიატრიის პროფესორის მიხეილ ვინოგრადოვის მონათხრობით, გულის პრობლემებისკენ მიდრეკილნი არიან ორი სრულიად სხვადასხვა ტიპის ადამიანები.**

● **დიქტატორული შტრიხების მქონე აგრესიული პიროვნებები** მაღალ რისკს სწევენ მოულოდნელი



ინფარქტის „საშოვნელად“. კარიერაზე გაფაციცებულნი, მიზნის მისაღწევად არც თავს ზოგავენ და არც გარშემო მყოფთ. სასტიკნი არიან ახლობლებთან, თუმცა თვითონაც იტანჯებიან შეუსმენლობისა და მარტოობისაგან. ფხუკიანები და მოწყვლადები არიან და ფრიად დამოკიდებულნი სხვათა აზრებზე. ამასთან სავსებით არ იციან მოდუნება.

● გულის სნეულებები არცთუ იშვიათად დააწვებათ ხოლმე იმათ, ვინც უშუალოდ, მწვავედ განიცდის თავის და სხვათა პრობლემებსაც. ეს გახლავთ **კეთილ, მაგრამ სუსტ და უმოქმედო ადამიანთა ტიპი.** ასეთებს არა აქვთ გამოკვეთილი ცხოვრების პოზიცია, მთელ მსოფლიოს თანაუგრძნობენ, მაგრამ არ ცდილობენ რაიმეს შეცვლას.

# E-MAIL-ით ველარ მოიტყუებით

**ამერიკული კომპანია SAS Institute სპეციალისტები ახალ პროგრამაზე მუშაობენ. როგორც კომპანიის მენეჯერი პიტერ დორინგტონი ამბობს, ეს სისტემა თავიდან ტექსტს აანალიზებს და ადგენს მის ძირითად ფორმას: სიტყვების თანამიმდევრობას წინადადებაში, კონსტრუქციების გამოყენებას და სასვენი ნიშნების განლაგებას. ამის შემდეგ იგი პოულობს ტექსტის იმ ნაწილებს, რომლებიც ნაწერის საერთო სტილს არ შეესაბამება. პროგრამაში ჩადებულია აგრეთვე სწორი და მცდარი ფრაზების შემცველ მონაცემთა ბაზები.**

დორინგტონის თქმით, სწორი ფრაზები, როგორც წესი, ლაკონური და მარტივია, ხოლო როცა ადამიანი ცრუობს და ცდილობს პასუხს გაექცეს, ის უფრო მაღალფარდოვნად წერს, რაღაც რთულ, ნაკლებად ხმარებულ სიტყვებსა და კონსტრუქციებს ხმარობს.

ჯერჯერობით პროგრამა ტესტირებას გადის: მაგალითად, დგინდება ნაწერის მინიმალური ზომა, რომლის დროსაც შესაძლებელია ყალბი ფრაზების გამოვლენა. სისტემის ამოქმედების საბოლოო იარაღი ჯერ არ არის დადგენილი, თუმცა კომპანიის ანალიტიკოსები დარწმუნებულები არიან, რომ მასზე დიდი მოთხოვნილება იქნება.

# ვენის მცხოვრებმა ქუჩის ტუალეტში 80 საათზე მეტი გაატარა



**63 წლის ვენის მცხოვრები საღამოხანს ქუჩაში მიდიოდა, როდესაც ხულიგნები დაესხნენ თავს. მაგრამ მან იმდენი მოახერხა, რომ თავდამსხმელებს გაექცა, ეს უკანასკნელები გაეკიდნენ და მანამდე სდიეს, ვიდრე ის ქუჩის ტუალეტის კაბინაში არ შევარდა. ხულიგნებმა ვერაფრით ვერ გააღეს კარი და გაგულისებულებმა კაბინა გადაატრიალეს ისე, რომ მისი კარი ქვევით მოექცა.**

ავსტრიელი ყვიროდა, შველას ითხოვდა, კაბინის კედლებზე აბრახუნებდა, მაგრამ მისი არავის ესმოდა, რადგან გზაჯვარედინზე, სადაც ტუალეტი იდგა, გაცხოველებული მოძრაობა იყო. საბრალომ ტყვეობას მხოლოდ 80 საათის შემდეგ დააღწია თავი, მას მერე, რაც სავენტილაციო ნახვრეტის ჩატეხვა და გამვლელებისთვის ტანსაცმელში ხელის ჩავლება შეძლო. როგორც ირკვევა, პლასტმასის ტუალეტის შიგნით, სადაც დაზარალებული იჯდა, ტემპერატურა 30 გრადუსს აღწევდა.

# ლიდერთა ტკივილიანი თირკმელები



**თირკმელთა დაავადებებისკენ იხრებიან ლოგიკური მომართულების ადამიანები, ბუნებით ლიდერები. გონებით ემოციებს ითრგუნავენ და ხშირად თავსაც იბორკავენ. გერმანელი სპეციალისტი ვალტერ პელდინგერი იმით ხსნის თირკმელებში კენჭების წარმოქმნასა და ამგვარ მოვლენებს, რომ კაცი იხშობს ემოციებს და არც სიხარულს, არც რისხვას გასაქანს არ აძლევს.**

ადამიანთა ასეთი ტიპი მიდრეკილია ქრონიკული თავის ტკივილებისა და შაკიკებისაკენ. ეს ხალხი ცდილობს ყველაფრის აღებას თავის თავზე, სხვათა მაგიერ გადაწყვეტილების მიღებას. ძნელ ამოცანებს დაიყენებენ, ოღონდ სხვათაგან განსხვავებით ჯიქურ კი არ აწვებიან, არამედ ეშმაკური ლაბირინთებით მიძვრებიან. წარუმატებლობებსა და დანაკარგებს მძიმედ განიცდიან, მაგრამ ყოველთვის პოულობენ ძალებს შესამართად და გზის გასაგრძელებლად.

# საქორწილო ატელიედან პირდაპირ NASA-ში

**აერონავტიკის და კოსმიური სივრცის ეროვნული სამმართველოს (NASAძ სპეციალისტები ისეთ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჭეშმარიტად კარგი სკაფანდრის დამზადება მხოლოდ იმ მკერავ ქალებს შეუძლიათ, რომლებიც საქორწილო კაბებს კერავენ. სკაფანდრებზე იდეალური ნაკერები უნდა იყოს, რადგან კოსმონავტების სიცოცხლე ბევრად არის დამოკიდებული ტანსაცმლის ჰერმეტულობაზე.**



აღმოჩნდა, რომ ყველაზე უკეთესი სკაფანდრები იმ მკერავ ქალებს გამოსდით, რომელთა სპეციალობა საქორწინო კაბების კერვაა. ისინი შეჩვეულები არიან საპატარძლოების ჭირვეულობას და ნერვულობას, რომლებსაც შეუძლიათ უმცირესი უზუსტობის გამო კაბა ხელახლა შეაკერინონ. ამიტომაც ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კაბის უმცირეს დეტალებსაც კი, მათ შორის ნაკერებს. როგორც გამოირკვა, სკაფანდრებისა და კოსმონავტების სხვა აქსესუარების კერვისას ეს თვისება შეუცვლელია. ამიტომაც ფირმას, რომელიც უჰაერო სივრცეთა დამპყრობელთა ტანსაცმლის მიწოდებას აწარმოებს, სამუშაოზე მხოლოდ საქორწილო ატელიების მკერავები აჰყავს. მომდევნო ხუთ წელიწადში ამერიკელები ღია კოსმოსში 150-ზე მეტ გასვლას გეგმავენ, ისე რომ NASA-ს სპეციალისტებს საქორწილო ატელიეების ჩამოვლა მოუწევთ.

# სკამი ინტერნეტში გასვლით

**მალე სუფოლკის პარკებში მაღალტექნოლოგიური სიახლე გამოჩნდება. ადამიანს შეეძლება ჩრდილში სკამზე ჩამოჯდეს და მისი საშუალებით თავისი ლეპტოპი ინტერნეტში ჩართოს და ისევე იმუშაოს ბუნებაში, როგორც ოფისში.**

სკამების შექმნის მონაწილე კომპანია Microsoft-ის სპეციალისტები ამბობენ, რომ მათ უნდათ ახალი გამოგონების საშუალებით ინტერნეტით სარგებლობა „უფრო ბუნებრივ და ნატურალურ გარემოში“ გადაიტანონ. პირველი ასეთი სკამი დაიდგმება Abbey Gardens-ში, სადაც წმინდა ედმუნდის სააბატოს ნანგრევებია. სწორედ აქ მოეწერა ხელი 1215 წელს თავისუფლების დიდ ქარტიას. მაღალტექნოლოგიური სკამის შემქმნელთა განცხადებით, ადგილი შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული, რადგან სწორედ აქ იქნა მიღებული ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი „ადამიანის უფლებათა შესახებ“.



# ცოცხალი ცხედარი

**თქვენ როგორ მოიქცეოდით, ადამიანის დასაფლავებაზე, ეს ადამიანი უკნიდან რომ მოგხტომოდათ და მხარზე ხელი დაეკრა? არ იცით? არც იმ 58 წლის ნიკარაგუელის შოკირებულმა ნათესავებმა იცოდნენ, რომელიც იმ მომენტში გამოეცხადა იმათ, როდესაც ისინი კრემატორიუმის დარბაზში სრულიად უცნობი ადამიანის ცხედრის დასაწვავად შეიკრიბნენ.**

ერთი კვირით ადრე სახლიდან გამქრალმა ცეზარ აგილერამ, დაბრუნებისას აღმოაჩინა, რომ შინ არავინ იყო და სახლში მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გლოვა იყო გამოცხადებული. როგორც კი მიხვდა, თუ რაში იყო საქმე, აგილერა ქალაქის ერთადერთ სასაფლაოზე გავარდა. სწორედ იქ იხილა ცეზარმა ნათესავების ატირებული პროცესია, რომლებსაც მისი დაბრუნების იმედი გადასწურვოდათ და სასოწარკვეთილებს მორგში ვიღაც უცნობის დასახიჩრებული გვამი მისი ჰგონებიათ. პირველი ელდის შემდეგ გონს მოსულმა ნათესავებმა და მეგობრებმა ცოტა ხანში ცეზარის „საიქიოდან“ დაბრუნების აღსანიშნავად დიდი ზეიმი გამართეს.

**ყველაფერი ყველაფერზე**

## რაისას ახირებით

**რუსეთში აგვისტოს პუტჩის მე-15 წლისთავზე იქაურ პრესაში კვლავ გახმიანდა ყირიმში ფოროსის აგარაკის სახელი („ფოროსი“ ძველბერძნული სიტყვა ყოფილა და „გადასახადს“, „გამოსაღებს“ ნიშნავს). მის მშენებლობის საგულისხმო ისტორიას გვიამბობს თავის დროზე პროცესის კურატორი, ყოფილი სკკპ ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანი ლეონიდ გრაჩი:**



— ეს საბედისწერო აგარაკია, ნიშანდებული, დალაქავებული. ადგილიც დაწყევლილია და გაუგებარია, რეზიდენციად რომ იყენებენ. ბევრი პომპეზურობა, მარმარილო, მეშჩანური გადანამეტი, რაღაც უსარგებლო ესკალატორები აგარაკიდან პლაჟზე გადასაადგილებლად... მანამდე ამ ადგილას ხშირი ბუჩქნარი იყო და ვის მოაფიქრდებოდა მთავარი სახელმწიფო დასასვენებლის აგება, მაგრამ რაისა მაქსიმოვნა, ცხონებული, ნებისყოფიანი და ცოტა ახირებული ქალი ბრძანდებოდა, უარს ამბობდა მთელ საბჭოთა წარსულზე, რაც ფილოსოფიასავით ჰქონდა გამჯდარი.

მთელ ყირიმში ყოფილ ბრეჟნევის აგარაკზე „Нижняя Дреанда“-ზე უკეთეს ადგილას ვერ მონახავთ. რაისა გორბაჩოვამ კი შიშველ კლდოვან გრუნტზე ფოროსის აგარაკის აშენების ამოცანა დასვა. ჰოდა, ათასობით თვითმცლელმა აზიდა მიწა სერპანტინის აყოლებით... სამხედროები აშენებდნენ იმ სასტუმროსთან ერთად, რომელიც ბელბეკის სამხედრო აეროდრომზე პირველი პირის მისაღებად იყო განკუთვნილი. აგარაკის მთავარი სამუშაოთა მწარმოებელი იყო სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი — თვით დიმიტრი იაზოვი.

ფოროსი იდეალური ადგილი აღმოჩნდა დასაპატიმრებლად, „სამდღიანი ოქროს გალია“ რომ უწოდეს შემდგომ. მას აქეთ არც ლეონიდ კრავჩუკი, არც ლეონიდ კუჩმა, არც ვიქტორ იუშჩენკო ოჯახებით ამ „გალიას“ არ გაკარებია...

## ძუ მგლის ბავშვობა



**ამელი ნოტომბის ორი ახალი რომანი რუსულად პირველად გამოდის. ეს ბელგიელი პროზაიკოსი ქალი რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე მოდური ევროპელი ავტორია, წერს ფრანგულად და კატასავით ნაყოფიერია — ყოველ წელიწადში თითო რომანი მისთვის ნორმაა.**

ნოტომბის სტილი ბრიყვულ გაკრიალებულ ენის მოჩლექაში როდი გადაგვარდება, სიუჟეტებსაც ეგრე ადვილად ვერ გამოუცნობ: ხან ნობელის ლაურეატთან ინტერვიუს მოდელირებას მიმართავს, ხან ზღაპრუნას გიამბობს, ხანაც ბრუტალურ ქალურ პროზას.

„საზღვარგარეთულ ლიტერატურაში“ (ჟურნალშიძ გამოსული ის ორი ახალი რომანი — „შიმშილის ბიოგრაფია“ და „სიყვარულის საბოტაჟი“ — გასაკვირად ტრადიციულია. ორივეს მოქმედების დრო და ადგილი აქვს საერთო 1970-იანი წლები, ჩინეთი და იაპონია. მწერალი მოგვითხრობს დიპლომატის შვიდი წლის გოგონას ამბავს, რომელსაც ეპოქის ილუზიები და კომპლექსები შეუწოვია. ის ელჩების შვილთა სასტიკ ომში (კაპქვეყნები სოცბანაკის წინააღმდეგძ მონაწილეობს, სადაც შეღავათი არც ასაკზე კეთდება და არც იდეოლოგიურ ქალწულობაზე. გმირ გოგონას ქვეშევრდომებით გარშემორტყმული პატარა ცეზარივით უჭირავს თავი. ადგილ-ადგილ ნაღდი ძუ მგელივით გამოიყურება...

## ლოგინში... სიდედრთან

**პოლონელ სექსოპათოლოგს ლევ ზბიგნევ-სტაროვიჩს თავის წიგნში მოჰყავს ერთი შემთხვევა, როგორც მეუღლეთა შორის ღალატის არიდების უნიკალური ხერხი.**



ვარშავაში მცხოვრებ ცოლ-ქმარს მიჩისლავ და გენია პეტკოვებს ძალიან ეშინოდათ ერთმანეთის ღალატისა. ასე გრძელდებოდა ერთხანს და ვინ იცის, როგორ დამთავრებულიყო საქმე, რომ არ ჩარეულიყო სიდედრი. გულკეთილმა ქალბატონმა საყვარელ სიძეს შესთავაზა — ცოლს ჩემთან უღალატეო...

შპს „ქ. თბილისის მერიის საგარეო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ცენტრის“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით დაიწყო საზოგადოების ლიკვიდაცია.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოვგმართოთ საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, გალაქტიონ ტაბიძის № 2. სალიკვიდაციო კომისია, ტელ: 98-79-02.

**სასამართლო**

# 10 წლით ჩასვეს

**7 წლის წინათ საქართველოს მოქალაქეზე გოჩა ბახუნდარაშვილზე რუსეთის პოლიციამ ძებნა გამოაცხადა. მის მიმართ ქალაქ პერმის პროკურატურამ ანა დროზდოვას მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა, დააკავებით კი მხოლოდ 5 წლის შემდეგ, 2004 წლის 24 აპრილს დააკავა. ის საქართველოში იმალებოდა და ციხეში ქართველმა სამართალდამცველებმა ჩასვეს. გამოძიებას თელავის რაიონული პროკურატურა აწარმოებდა. მას ბრალი დაედო ყაჩაღობაში, ადამიანის ანგარებით განზრახ მკვლელობაში...**

1999 წელს გოჩა ბახუნდარაშვილი, უმუშევრობის გამო, ბედის საძებრად, რუსეთში წავიდა. ის დროებით საცხოვრებლად პერმში დაბინავდა, სადაც ანა დროზდოვა გაიცნო. მისი ქონება ბახუნდარაშვილისთვის იმდენად მაცდური აღმოჩნდა, რომ მეგობარი ქალის მოკვლასაც არ მოერიდა. ერთ საღამოს სახლში დაბრუნებულმა, წინასწარ შერჩეული ქალის საყელური ანას მოულოდნელად ყელზე გაუკეთა და გაგუდა. შემდეგ მისი ბინიდან ძვირფასი ტექნიკა, ოქროული და ტანსაცმელი გაიტაცა.



თავიდან ბახუნდარაშვილი დანაშაულს უარყოფდა, თუმცა მისი დაკავებისას ბინიდან პოლიციამ მამაკაცის ის „დუბლიონკა“ და ფოტოაპარატი ამოიღო, რომელიც დროზდოვას ბინიდან გაიტაცა, მეუღლის — ლარისა კუზნეცოვას განმარტებით, ის „დუბლიონკა“ გოჩას საქართველოში დაბრუნებისას ეცვა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით ბახუნდარაშვილს დანაშაული საბოლოოდ დაუმტკიცდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას თავისუფლება 10 წლით აღუკვეთა. ახლახანს უზენაესმა სასამართლომ ეს განაჩენი უცვლელად დატოვა.

ასე რომ, 5-წლიანმა „დამალობანამ“ ბახუნდარაშვილს ვერაფერი უშველა. და თუ სიმართლეს ვიტყვით, არც უნდა ეშველა. იმ ქალმა გაჭირვებულს ხელი გაუწოდა, სახლში შეიფარა, პატივი სცა, ამ უბედურმა კი — ქალის საყელურით გაგუდა.

**ლელა მანავლიშვილი**

## NON-STOP

### „ირანს ძალის ენაზე ლაპარაკის არ ეშინია“



**ისლამური რესპუბლიკის ლიდერმა, ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ ახმადინეჟადმა განაცხადა, რომ „ჩემი ქვეყანა არ დაეთანხმება მისთვის ძალით თავსმოხვეულ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას“. ამასთან დაკავშირებით მან ასევე თქვა:** „გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მთხოვა, მეპასუხა დიდი სახელმწიფოების ამ წინადადებისთვის. მე მას ვუპასუხე, რომ ეს ბატონები ცდებიან, მიიჩნევენ რა, რომ შესაძლოა, რეზოლუციის გამოყენება როგორც ხელკეტის. ირანი მთლიანად დაეუფლა ატომური სათბობის გადამუშავების ციკლს და ვერავინ შეძლებს მასზე გარედან ზემოქმედების მოხდენას“.

შეგახსენებთ: თეირანის ატომურ პროგრამასთან დაკავშირებით აშშ-ს, რუსეთის, საფრანგეთის, ჩინეთისა და გერმანიის მიერ შემუშავებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია მიღებულია 31 ივლისს. მასში, კერძოდ, ნათქვამია ირანში ურანის გამდიდრებისა და ატომური გამოკვლევების შეწყვეტის აუცილებლობაზე ერთი თვის ვადაში.

### სკოტლანდ-იარდმა კვალი აიღო

**დიდ ბრიტანეთში დააკავეს ჰაერში ტერაქტის მომზადების კიდევ ერთი შესაძლო მონაწილე.**



დაპატიმრებული, რომლის ვინაობას ჯერჯერობით არ იტყობინებიან, პოლიციამ დააკავა ლონდონის შემოგარენში. ამჟამად ამ გახმაურებული საქმის გამო პატიმრობაშია 24 ადამიანი. ამავე დროს დიდი ბრიტანეთი ცდილობს შეთქმულების სავარაუდო ლიდერის, 25 წლის რაშიდ რაუფის, წარმოშობით ბირმინგემელის, პაკისტანიდან სასწრაფო ექსტრადიციას. ამჟამად ის პატიმრობაში იმყოფება ისლამაბადში, სადაც მოსალაპარაკებლად უკვე გაფრინდნენ სკოტლანდ-იარდის თანამშრომლები.

რაუფის ძმა, 21 წლის ტაიბი, წინა კვირაში შეერთებულ სამეფოში ანტიტერორისტული რეიდების მიმდინარეობისას ერთ-ერთი დაკავებულთაგანია.

**წლებს რას უზამ...**

## ექს-პრეზიდენტი ფორდი ჰოსპიტალშია



**თეთრი სახლის ყოფილი თავკაცი ჯერალდ ფორდი სამშაბათს ქალაქ როჩესტერში (მინესოტას შტატიძ მაიოს კლინიკაში დააწვინეს.**

93 წლის ჯერალდ ფორდის ჰოსპიტალიზაციის მიზნად ასახელებენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის „გამოკვლევასა და შეფასებას“. 5 წლის წინათ ფორდმა ორი ინსულტი გადაიტანა, წლეულს, იანვარში კი 12 დღე ეიზენჰაუერის ცენტრში გაატარა, სადაც მიიყვანეს „ფილტვების ანთების“ დიაგნოზით. ივლისში ის ქოშინმა შეაწუხა და კოლორადოს შტატის ვეულველის სამედიცინო ცენტრში რამდენიმე დღე დაჰყო.

**გამოსათხოვარი**

## ლევან ზაქარეიშვილის ხსოვნას



**ლევან, ჩემო ლამაზო კაცო,**

შენმა გარდაცვალებამ უამრავ ადამიანს დასცა თავზარი. ამ ქვეყნიდან წახვედი კაცი, რომელიც დააკლდი ქალაქს, ქვეყანას, მოყვასს. შენი ცხოვრების წესმა, საქვეყნო სატკივარზე გულისტკივილმა, ქალაქელობამ, რაც შენთვის უპირველესად ღირსეულ მოქალაქეობას ნიშნავდა, სულიერებამ, ზნეობამ, ნიჭიერებამ, შენმა შემოქმედებამ, რომელმაც თვალსაჩინო ხელოვანის სახელი მოგიხვეჭა, გამოიწვიეს სხვადასხვა ფენის, მდგომარეობის, სტატუსის, ასაკის ადამიანების უსაზღვრო მწუხარება შენი იმ ქვეყნად წასვლის გამო. ამ ქვეყნად დარჩენილთა ნუგეში კი ისაა, რომ ბოლოს ყველა „წავალთ მას საუკუნოსა...“ და მარადიულ სასუფეველში ჩვენი სულები კვლავ შეერთდებიან.

**გ**ეთხოვები **უ**საზღვრო **რ**აინდული **ა**მაღლების
**მ**უხტით **ი**მედმოცემული,
**შენი ახლო ნათესავი და მეგობარი**



შვილი რობიკო შოთაძე, რძალი ლია თევზაძე, შვილიშვილები ნანა, თამარი, შვილთაშვილი მარიამი, სიძე შოთა სულხანიშვილი, ცოლისძმა რომან აროშიძე ოჯახით, მძახლები თამილა, გურამ თევზაძეები, დალი, გია სულხანიშვილები, შოთა, თამარ, თინათინ, ირა შოთაძეები, კუკური, გოგი, მაია ლაფერაძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიული შოთაძე

პანაშვიდი: 24, 25 VIII 17 სთ. გამოსვენება 26 VIII 15 სთ საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სასწავლო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, აკადემიური პროცესების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება

გიული შოთაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოხატავს და უთანაგრძობს სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ქალბატონ ნანა ხუნდაძეს, ძმის

თემურ ხუნდაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი კინორეჟისორი

ლევან ზაქარეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# NON-STOP

## გარდაიცვალა „აბა, დამაცადეს!“ მხატვარი



**მოსკოვში თითქმის 84 წლისა გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი-მულტიპლიკატორი სვეტოზარ რუსაკოვი.**

ომგადახდილმა მხატვარმა ვიაჩესლავ კოტენოჩკინთან ერთად მოიგონა და დახატა მგელი და კურდღელი ერთობ პოპულარული მულტსერიალიდან „აბა, დამაცადე!“ იგი ასევე ცნობილია ანიმაციური ფილმების ოქროს ფონდის ისეთი ნაწარმოებებით, როგორიცაა „შაიბა, შაიბა!“, „მატჩ-რევანში“, „ბურატინოს თავგადასავალი“ – სულ 50-მდე.

## ანეკდოტები

მამაკაცი მაღაზიაში:
– თუ შეიძლება, მომეცით სანთლები ტორტისთვის, ჩემი ცოლის დაბადების დღეა.
– რამდენი მოგართვათ?
მამაკაცმა ამოიოხრა:
– როგორც ყოველთვის, ოცდაათი!

* * *

ქმარი წასასვლელად ემზადება, სარკის წინ ტრიალებს, სუნამოც იპკურა. ცოლი ეკითხება:
– საით გაგიწევია?
– დოლზე.
– მაშინ აჩქარდი, შენმა ცხენმა უკვე ორჯერ დარეკა.



* * *

– ვინ უფრო კმაყოფილია – მამაკაცი, რომელსაც ექვსი შვილი ჰყავს თუ მამაკაცი, რომელსაც ექვსი მილიონი დოლარი აქვს?
– მამაკაცი, რომელსაც ექვსი შვილი ჰყავს.
– რატომ?
– მამაკაცს, რომელსაც ექვსი მილიონი აქვს, კიდევ მეტი უნდა.

* * *

ადრე მშობლები შვილის კითხვაზე, „საიდან გავჩნდი?“ უპასუხებდნენ: „მაღაზიაში გიყიდეთ“, „კომბოსტოში გიპოვეთ“, „წერომ მოგიყვანა“, ახლა კი უპასუხებენ, „ინტერნეტიდან გადმოგქაჩეთ!“

* * *

– ალო, ეს სეიფების გამღები სერვისია?
– ხომ არ გაგიჟდით? ღამის ორი საათია.
– აბა, რამდენი უნდა იყოს? სწორედ ახლაა მაგის დრო.

* * *

ქალი:
– ძვირფასო, შენ ისეთი ძლიერი, ლამაზი ხარ... იცი, რა კარგია ძლიერ, ლამაზ მამაკაცთან წოლა?
კაცი (მცირე ჩაფიქრების შემდეგ:
– არა, არ ვიცი!

## ლარის კურსი

**23 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3090 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7480 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2540 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0655 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9758 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4360 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5155 ლარი. |

## დარია თუ ავდარია

# ამინდი 23 აგვისტოს



**დასავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +31⁰ – +35⁰, ღამით +25⁰ – +28⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +32⁰ – +36⁰, ღამით +26⁰ – +28⁰.

**თბილისში** – მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +29⁰, დღისით +36⁰.

**ბათუმი** – ღ. +28⁰, დ. +35⁰; **სოხუმი** – ღ. +26⁰, დ. +34⁰; **ქუთაისი** – ღ. +27⁰, დ. +35⁰, **ოზურგეთი** – ღ. +26⁰, დ. +35⁰, **ზესტაფონი** – ღ. +28⁰, დ. +34⁰; **რუსთავი** – ღ. +29⁰, დ. +36⁰, **ფოთი** – ღ. +26⁰, დ. +34⁰; **მესტია** – ღ. +14⁰, დ. +23⁰; **სტეფანწმინდა** – ღ. +15⁰, დ. +21⁰; **თელავი** – ღ. +28⁰, დ. +35⁰; **გორი** – ღ. +26⁰, დ. +34⁰; **ახალციხე** – ღ. +21⁰ დ. +34⁰; **ბორჯომი** – ღ. +27⁰, დ. +35⁰; **ცხინვალი** – ღ. +19⁰, დ. +32⁰; **სამტრედია** – ღ. +27⁰, დ. +35⁰; **ზუგდიდი** – ღ. +28⁰, დ. +36⁰; **ჭიათურა** – ღ. +24⁰, დ. +35⁰.


**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576


## კადრი



ჯემალ კასრაძის ფოტო

## ყველაფერი ყველაფერზე

### უხუცესი ადამიანი 115 წლისაა



**გინესის რეკორდების წიგნის ვერსიით, პლანეტის ყველაზე ხანდაზმულმა მცხოვრებმა, პუერტორიკოელმა ემილიანო მერკადო დელ ტორომ 115 წლისთავი იზეიმა. ის პუერტორიკოს ჩრდილო-დასავლეთით, სანაპირო ქალაქ ისაბელაში ცხოვრობს ძმისწულთან ერთად.**

ქალაქის მოედანზე, სადაც მის იუბილეს აღნიშნავდნენ, საპატიო მოხუცი სასწრაფო დახმარების კარეტით მიიყვანეს. იქ ქალაქის მერთან ერთად უამრავი ხალხი შეკრებილიყო...

„ბედნიერი ვარ, – თქვა იუბილარმა, – არასოდეს მიფიქრია, რომ ასე დიდხანს ვიცოცხლებდი“.

გინესის რეკორდების წიგნის რედკოლეგიამ იგი დედამიწის ყველაზე უხნეს მცხოვრებად აღიარა. ის პატარა ბიჭი იყო, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1898 წლის ომის დროს პუერტო-რიკო ესპანეთს წაართვა.

მერკადოს ყურს აკლია და 4 წლის წინათ მხედველობაც დაკარგა. მხოლოდ ჯანსაღ საკვებს ეტანებოდა, ალკოჰოლს კი არ ეკარებოდა. ის 76 წლის მანძილზე ეწეოდა, და მხოლოდ 90 წლისამ მიატოვა ის.

### კრაზანების მსხვერპლი

**კრაზანების გაავებული გუნდის მსხვერპლი გახდა მოსკოვის მახლობლად, ოდინცოვის რაიონის პენსიონერი, სოკოს მოყვარული 74 წლის მოხუცი ქალი. სოკოების ნაცვლად ის კრაზანების ბუდეს გადააწყდა და ზოლიანმა „მხეცებმა“ ის თითქმის მიასიკვდილეს.**

ქალს თან მახლობელ ტყეში ნათესავი მამაკაცი ახლდა. მოსაღამოვებისას მას უცებ ქალის სასოწარკვეთილი კივილი მოესმა. მისაშველებლად მისული თითქოს გაქვავდა. ქალი კრაზანებით იყო დაფარული. ასეულობით მწერი კი იქვე დაზზუოდა.



კაცმა ქალს წყალი გადაასხა, რათა კრაზანები დაეფრთხო, შემდეგ კი მობილური ტელეფონით „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახა.

ქალი გონზე არ იყო. არტერიული წნევა ნულს უტოლდებოდა.

ექიმების თქმით, ფუტკრის და კრაზანის ნაკბენი საშიში მარტო იმ შხამით კი არ არის, რომელიც ორგანიზმში ხვდება, არამედ ალერგიული რეაქციითაც, რაც ანაფილაქტურ შოკსაც იწვევს. ეცემა სისხლის წნევა და ადამიანი გრძნობას კარგავს. შესაძლოა ლეტალური შედეგიც.

## სხვისი კარიკატურა








საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლებანიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობილ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.